პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებებლი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ხუთშაბათი, 28 თებერვალი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 47 (2393)

დღიური

- ფრანგული გაზეთები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ.
- გაიხსნა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მეხუთე ყრილობა.
- საბერძნეთ-თურქეთის მოლაპარაკების კომენტარიები.
- დააპატიმრეს „იუმანიტე"-ს რედაქტორი ამხ. კოტიური.
- პოლონეთ-რუმინეთს შორის მიღწეულია შეთანხმება საკონსულო კონვენციის დადების შესახებ.
- პროფ. სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი შვეიცარიაში.
- სპარსეთ-საბჭოთა შეთანხმება კალიასთან ბრძოლის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკარნოს ილუზიების დამსხვრევა

საფრანგეთ - ბელგიის საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება, რომლის შინაარსი ჰოლანდიურ გაზეთ „უტრეხტ დაგებლატ"-მა გამოაქვეყნა, ახალ შუქს ჰფენს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას. იმპერიალისტები ხელს აწერენ კელოგის პაქტს ომის აკრძალვის შესახებ, ისინი თვალთმაქცურად ლაპარაკობენ განიარაღებისა და მშვიდობიანობაზე, მაგრამ ყველაფერი ეს მათ ესაჭიროებათ თავისი მტაცებლური ზრახვების დასაფარავად და მასების მოსატყუებლად. სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები გამალებით აძლიერებენ შეიარაღებას, ადიდებენ სამხედრო ბიუჯეტებს და კრავენ სამხედრო კავშირებს. ხდება იმპერიალისტურ ძალთა გადაჯგუფება და წარმოებს მზადება ახალი, უფრო საშინელი საერთაშორისო ხოცვა - ჟლეტისათვის. თუ წინედ ლაპარაკობდენ მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდზე, ეხლა ამ გამოთქმამ უკვე დაკარგა თავისი აზრი, და ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით ახალი ომების ხანაში. კაპიტალისტურ სახელმწიფოებ შორის წინააღმდეგობათა გაღრმავება, შეიარაღების ზრდა და სამხედრო კავშირების სისტემა, რომელიც ფართედაა გავრცელებული, ამას უდავოდ ხდიან. საფრანგეთ - ბელგიის ხსენებული ხელშეკრულებაც ამ მხრივ კიდევ ერთი გამაფრთხილებელი ფაქტთაგანია.

ეს ხელშეკრულება კერძოდ სვამს გერმანია - საფრანგეთის ისედაც უკიდურესად გამწვავებულ ურთიერთობის საკითხს. ამ ხელშეკრულების თანახმად, მისი მონაწილენი კისრულობენ ვალდებულებას ერთი მეორის განკარგულებაში გადასცენ თავისი სამხედრო ძალები, თუ რომელიმე მათგანი ომს დაიწყებს გერმანიასთან; ბელგია ვალდებულია გაიწვიოს არა ნაკლებ 600.000, ხოლო საფრანგეთი —არა ნაკლებ 1.200.000 ჯარისკაცისა. მობილიზაციის შემდეგ ორივე ქვეყნის გაერთიანებულმა ძალებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ შეტევა.

ეს ხელშეკრულება დადებული ყოფილა 1920 წელს, როცა გათავებული იყო მსოფლიო ომი, რომელსაც ყოველი ჯურის „პაციფისტები" უკანასკნელ ომად აცხადებდნენ. უკვე მაშინაც იმპერიალისტები ითვალისწინებდნენ ახალი ომის აუცილებლობას და მისთვის ემზადებოდნენ. შეიძლება გულუბრყვილო ვინმემ სთქვას, რომ იმ დროს, მიუხედავად ვერსალის „ზავისა", საფრანგეთ - გერმანიის ურთიერთობა სრულიად არ იყო მოწესრიგებული, რომ შემდეგში ამ მხრით მდგომარეობა შეიცვალა და აღნიშნულ ხელშეკრულებას საგრძნობლად დაეკარგა ღირებულებაო. ასეთი მსჯელობა, რა თქმა უნდა, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მართალია, ამის შემდეგ თითქო დადგა გერმანია - საფრანგეთის დაახლოვების პერიოდი. დადებულ იქნა ლოკარნოს ხელშეკრულება, რომლის ძალით გერმანიამ აღიარა ვერსალის „ზავით" დაწესებულ დასავლეთის საზღვრების ხელუხლებლობა. ამასთან, გერმანია შევიდა ერთა ლიგაში. ყველაფერ ამას ვითომ ხელი უნდა შეეწყო ორივე ქვეყნის შორის არსებულ უნდობლობის გაფანტვისა და გერმანიის შელახულ უფლებების აღდგენისათვის. სწორედ ასეთ იმედებს ამყარებდენ გერმანელი ლოკარნოელები დასავლეთის ორიენტაციაზე, რომელსაც გერმანიაა დაადგა.

მაგრამ ამ ორიენტაციის მომხრეებს და დამცველთ საქმის ვითარებამ არა ერთხელ დაუმსხვრია ილუზიები. თუმცა გერმანიამ ლოკარნოში დიდი ვალდებულებები იკისრა საფრანგეთის მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ მან არაფერი მიიღო. რეინის ოლქი ისევ უპყრიათ საფრანგეთ - ინგლისის ჯარებს; პარიზი და ლონდონი არაფერს სთმობენ რეპარაციების საკითხში და გერმანიასაგან მოითხოვენ კონტრიბუციის უთვალავი რაოდენობით გადახდას; შეიქნა ინგლის-საფრანგეთის ახალი ანტანტა, რომელიც გერმანიის დამონებასაც ისახავს მიზნად. ყველაფერი ეს გვეუბნება, რომ ლოკარნოს პოლიტიკამ, გერმანიის მხრით მოკავშირეების გულის - მოგების ცდამ არამც თუ არ გააუმჯობესა მისი საერთაშორისო მდგომარეობა, არამედ უფრო გააუარესა.

თუ კიდევ საჭირო იყო ზედმეტი საბუთი ლოკარნოს პოლიტიკის აპოლოგეტების გამოსაფხიზლებლად, საფრანგეთ - ბელგიის სამხედრო ხელშეკრულება ამ მხრივ მეტად მჭერმეტყველური დოკუმენტია. თუმცა იგი, როგორც ვსთქვით, დადებულია 1920 წ., მაგრამ ხაზგასასმელი ის გარემოებაა, რომ 1927 წლის ივლისში, ე. ი. უკვე მას შემდეგ, რაც ლოკარნოს პაქტი დიდი ხნის დადებული იყო და გერმანიაც ერთა ლიგაში შესული, საფრანგეთი და ბელგია, სამხედრო ხელშეკრულების დამატების სახით, სდებენ ახალ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ომს გერმანიის (და სხვა მის შესაძლებელ მომხრეთა) წინააღმდეგ და რომელშიაც დამუშავებულია ამისათვის საჭირო ღონისძიებები, მათ შორის რურის ოლქში შეჭრა (1923 წლის რეციდივი!) ასეთია დასავლეთის ორიენტაციის შედეგი გერმანიისათვის.

გასაგებია, რომ პარიზი - ბრიუსელის სამხედრო ხელშეკრულების გამომჟღავნებამ გერმანიაში ულრმესი აღშფოთება გამოიწვია. გაზეთები სწერენ დასავლეთის სახელმწიფოებთან დაახლოვების პოლიტიკის „სრულ დამარცხებაზე", „თვალსაჩინო გაკვეთილზე, რომელსაც შეუძლია სინამდვილეს დაუბრუნოს ჯიუტი ფანტაზიორებიც კი", „ლოკარნოს ლანდად გადაქცევაზე" და სხ.

მაგრამ გამოფხიზლდებიან კი „ჯიუტი ფანტაზიორები", რომელთა შორის პირველი ადგილი სოციალ - დემოკრატებს უკავიათ. უკანასკნელთა მიმართ ეს საეჭვოა. გერმანელი მენშევიკები რჩებიან დასავლეთის ორიენტაციის ყველაზე ერთგული დამცველნი, და ეს იმიტომ, რომ ამ გზით ისინი ფიქრობენ გერმანიის ჩაბმას ანტისაბჭოთა კომბინაციებში, თუნდაც ეს დამღუპველი შეიქნეს თვით გერმანიისათვის.

გერმანიის ფართე მასებისა და თვით ბურჟუაზიულ წრეების უფრო გონიერ ნაწილისთვისაც კი საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო ხელშეკრულება, ვიმეორებთ, კიდევ ახალი გაკვეთილია იმის ნათელსაყოფად, რომ გერმანიისათვის დასავლეთისაკენ აღებულ ცალმხრივ ორიენტაციას მხოლოდ ზიანი მოაქვს და რომ მისი უფრო დაახლოვება საბჭოთა კავშირთან აუცილებელია ამ ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის.

ლენინის დროშით

გუშინ მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე დამთავრდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა პარტიის ც. კ. მოხსენების გარშემო. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად მიღებულ რეზოლუციის დასკვნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი პარტიისათვის.

მე-15 პარტყრილობამ დასახა სოციალისტური შეტევის გარკვეული გენერალური ხაზი, ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებით ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით გაბედული შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე.

მას შემდეგ გავიდა ერთი წელიწადი. მოსკოვის ორგანიზაციამ—საკავშირო კომპარტიის უდიდესმა ორგანიზაციამ პარტიული კონფერენციის სახით ჯამი გაუკეთა მე-15 პარტყრილობის ხაზის გატარებას ერთი წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში პარტიამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ სოციალისტურ მშენებლობის საქმეში, ამ ძირითად ამოცანის გარშემო მასების დარაზმვაში. მაგრამ ამასთან ერთად თავისი მუშაობა გააცხოველეს კლასობრივმა მტრებმა—ნეპმანმა, კულაკმა, მათ გააძლიერეს იერიშები იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიზნათ ისახავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალიზმის ფესვების ამოგდებას. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და სამეურნეო ფრონტზე აუცილებელი სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია რეკონსტრუქციასა და ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპთან, იწვევს მერყეობას მუშათა კლასის და ჩვენი პარტიის ცალკე ფენებში. აღმოჩნდნენ ამხანაგები, რომლებიც დააფრთხო და შეაშინა სიძნელეებმა, კულაკის შემოტევამ; ამხანაგები რომლებმაც საეჭვოდ გახადეს მე-15 პარტყრილობის გენერალური ხაზის სისწორე.

მოსკოვის ბოლშევიკებმა, რომელნიც კონფერენციაზე მოვიდნენ დიდი გამოცდილებით, რომლებმაც ვრცლად და სერიოზულად განიხილეს ცკას მოხსენება, ერთხმად მოიწონეს პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი და მუშაობა ცენტრალური კომიტეტისა, რომლის ხელმძღვანელობითაც მთელი პარტია და მასთან ერთად მოსკოვის ორგანიზაცია ახორციელებს მე-15 პარტყრილობის დადგენილებებს, ერთად-ერთ სწორ დადგენილებებს, რომლებიც წარმოადგენს სწორად აღებულ გეზს სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისაკენ.

სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანმა სიძნელეებმა ერთი ნაბიჯითაც ვერ გადაგვახვევინა მე-15 პარტყრილობის ლენინურ ხაზიდან. პირიქით, გასულმა წელიწადმა სინამდვილეში გვიჩვენა ყრილობის მიერ გამომუშავებული ხაზის სისწორე, გასული წელი იყო გამარჯვებების და წარმატებების წელი სოციალისტურ მშენებლობაში.

ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის განხორციელება წარმოადგენს აუცილებელ პირობას სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის, თუ ჩვენ გვინდა წინსვლა, ამისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა გვქონდეს ნათელი და გარკვეული ხაზი ჩვენი პოლიტიკის ამ ძირითად საკითხში. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ძირითად საკითხში პარტია თავის რიგებში წააწყდა ზოგიერთ მემარჯვენე ხასიათის მერყეობას. ეს მერყეობა გამოიხატა მისწრაფებაში—შეენელონ პარტიის მიერ აღებული ინდუსტრიალიზაციის ტემპი იმ მოსაზრებით, რომ თავიდან ავიცილოთ სამეურნეო სიძნელეები. (მითითება ვიწრო ადგილებზე სახალხო მეურნეობაში და სხვ.). ნამდვილად, სამეურნეო სიძნელეების დაძლევა, რომლებიც არსებითად ჩვენი ზრდით გამოწვეულ სიძნელეებს წარმოადგენენ, შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით, ამ ინდუსტრიალიზაციისათვის გაძლიერებული მუშაობის წარმოებით.

ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელება იქნებოდა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის ფაქტიური შესუსტება მრეწველობაში, ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელება უთუოდ შეანელებდა სოფლისათვის საწარმოო საშუალებების მიწოდებას, შეაფერხებდა მე-15 პარტყრილობის ხაზის გატარებას სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში, ე.-ი. გამოიწვევდა მრეწველობის როლის შესუსტებას სახალხო მეურნეობაში, მუშათა კლასის ხელმძღვანელობის შესუსტებას გლეხობასთან კავშირში.

პარტია არ წავიდა და არც წავა ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელების გზით. მოსკოვის კონფერენციამ გარკვევით განაცხადა, რომ „პარტიის ცენტრალური კომიტეტი, გამოდიოდა რა ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობიდან, სწორად ატარებდა ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის და მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის პოლიტიკას", და რომ „აუცილებელია მთელი ჩვენი სიმტკიცით და თანამიმდევრობით გავაგრძელოთ ქვეყნის ტეხნიკური რეკონსტრუქცია და ელექტროფიკაცია, ვიხელმძღვანელოთ ლენინის ლოზუნგით—დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად კაპიტალისტურ ქვეყნებს". პარტია დაუნდობლად უკუაგდებს ყველა იმას, ვინც შემდეგში ეცდება რევიზია გაუკეთოს მე-15 პარტყრილობის დადგენილებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, პარტია გაბედულად ამხელს ყველას, ვინც გამოიჩენს მიუტევებელ მერყეობას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხში, რა პანიკური ლაპარაკითაც არ უნდა იფარებოდეს ეს მერყეობა, იქნება ლაპარაკი ვიწრო ადგილების გამოსწორებაზე სახალხო მეურნეობაში, თუ სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ.

მეორე საკითხი, რომელიც მოსკოვის ბოლშევიკებმა შეამოწმეს, ეს არის ჩვენი პოლიტიკა სოფლად. ერთი წლის მუშაობამ საგრძნობი შედეგები მოგვცა. მიუხედავად სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენილობისა და დაქუცმაცებისა, გაიზარდა სათესი ფართობი და ტეხნიკურ კულტურებით დაკავებული ფართობი, გაიზარდა სოციალისტური სექტორი სოფლის მეურნეობაში. (კოლექტიური მეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი). ლაპარაკი სოფლის მეურნეობის დეგრადაციის, „ფეოდალური ექსპლოატაციის" შესახებ ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ნამდვილ ფაქტებს, წარმოადგენს ცილისწამებას და გამოხატავს კულაკურ განწყობილებას, კულაკის, რომელიც უკმაყოფილოა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით.

მაგრამ სოფლის მეურნეობის ზრდის მეტისმეტად ნელი ტემპი წარმოადგენს დამაბრკოლებელ პირობას პარტიის მიერ აღებულ ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისათვის. ერთეულ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ასაღორძინებლად გატარებული მთელი რიგი ღონისძიებები დღევანდელ პირობებში უკვე საკმაო არ არის, ტეხნიკურად ჩამორჩენილ და დაქუცმაცებულ სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის რადიკალურ ღონისძიებას წარმოადგენს გლეხური მეურნეობის გადაყვანა მსხვილ კოლექტიურ წარმოებაზე ტეხნიკის უმაღლეს საფუძველზე. მე-15 პარტყრილობამ სწორედ ასე დასვა საკითხი გლეხობასთან კავშირის შესახებ ახალ პირობებში, სოციალისტური რეკონსტრუქციის პირობებში. მე-15 ყრილობის დადგენილებანი სასოფლო პოლიტიკის შესახებ აბსოლუტურათ სწორი აღმოჩნდა.

ამ გზაზე წინ წასაწევად შემდგომისათვის საჭიროა გლეხობასთან კავშირის განმტკიცების წინანდელ ფორმებთან ერთად (კოოპერატიული საქონლის ბრუნვა), მაქსიმალურათ გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ გლეხობასთან კავშირის ახალი ფორმები—კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. მოსკოვის კონფერენციამ განაცხადა, რომ „მხოლოდ ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელებას, გეგმის, რომლის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, შეუძლია საფუძვლიანათ ააღორძინოს სოფლის მეურნეობა, აამაღლოს გლეხობის ძირითადი მასის ნივთიერი და კულტურული დონე, მოსპოს მოჯამაგირისა და ღარიბი გლეხის კულაკური ექსპლოატაცია, აღმოფხვრას სოფლის საუკუნოებრივი მოწყვეტა-ჩამორჩენა ქალაქისაგან".

მემარჯვენე ელემენტები, რომლებიც ემყარებიან შემცდარ დებულებას კულაკის შეზრდის შესახებ სოციალიზმში, რომლებიც ვერ ხედავენ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას სოფლად და ნამდვილად უარს ამბობენ კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ შეტევაზე, ცდილობენ გადაახვევინონ პარტიას მიღებულ გენერალურ ხაზიდან. „კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, განაცხადა კონფერენციამ,—განსაკუთრებით მავნებელია მერყეობა ორ შეურიგებელ,—ერთიმეორის მოწინააღმდეგე ხაზს შორის: კულაკობაზე და კაპიტალისტურ ელემენტებზე გაძლიერებული შეტევის პოლიტიკისა და სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანი შეზრდის თეორიის შორის, რაც სინამდვილეში ნიშნავს უარის თქმას კულაკობის წინააღმდეგ შეტევაზე, წარმოადგენს კაპიტალისტური ელემენტებისათვის ხელფეხის გახსნას. რასაც შედეგათ მოჰყვება ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენა". პარტია დაუნდობლათ მოიგერიებს მემარჯვენე ოპორტუნისტულ ელემენტებს, რომლებიც შეეცდებიან ლენინის კოოპერატიული გეგმის ჩაშლას.

პარტიამ მიაღწია წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიული მასა და მუშათა კლასი აქტიურად იბრძოდა იმისათვის, რომ განეხორციელებინა პროლეტარიატის უფრო და უფრო ფართო მონაწილეობა სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის საქმეში.

ეს წელიწადი პარტიისა და მუშათა კლასისათვის თვითკრიტიკის გაშლისა და გაღრმავების წელიწადია. მემარჯვენე ელემენტების განცხადება—პარტიის ბიუროკრატიზაციის, ჩაზნეობის შესახებ და სხვა. ცილისწამებაა, რომელიც არაფრით განსხვავდება ტროცკისტულ ცილისწამებიდან— ეს ელემენტები იჩენენ პარტიულ ცხოვრებიდან და იმ მუშათა კლასისაგან ჩამოშორების ნიშნებს, რომელიც აქტიურად აშენებს სოციალისტურ მეურნეობას. მასების კულტურულ დონის თანდათანობითი ამაღლებით, თვითკრიტიკის გაღრმავებით, საბჭოების და პროფკავშირების მუშაობის ყოველმხრივ გამოცოცხლებით. პარტია შემდეგშიდაც ფართოდ ჩააბამს მუშათა კლასს და საშუალო და ღარიბ გლეხობას სოციალისტურ მშენებლობაში, პარტია არავის მისცემს ნებას შეასუსტოს მისი ხელმძღვანელობა მუშათა კლასზე და ორგანიზაციულად შეებრძოლება ყოველგვარ ცდებს დაუპირდაპირონ პარტიას პროფკავშირები.

კონფერენციამ ჯამი გაუკეთა მუშაობას პარტიის შიგნით. ყრილობის გადაწყვეტილებით ტროცკისტული ოპოზიცია გაძევებულ იქნა პარტიიდან. გასულმა პერიოდმა გვიჩვენა, თუ როგორ დაიწყო ტროცკისტულმა ოპოზიციამ პარტიის გენერალური ხაზის კრიტიკით, როგორ გადავიდა შემდეგ ფრაქციულ მუშაობაზე და დასასრულ როგორ გადაიქცა თანდათანობით თითქმის მენშევიკურ ორგანიზაციათ, რომლის გარშემო იკრიბებიან პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ სამტროდ განწყობილი ძალები. პარტიამ, მასთან ერთად, პირველ რიგში მოსკოვის ორგანიზაციამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ტროცკისტებს, იგი შემდეგშიაც გამოაშკარავებს და ამხელს ტროცკიზმის კონტრრევოლუციონურ ბუნებას და დაუნდობლად შეებრძოლება ჩვენს პარტიაში ტროცკისტულ იდეოლოგიის აღორძინების ცდებს. მაგრამ ამ წელს, ნაყოფიერი სოციალისტური შეტევის წელს ჩვენ წავაწყდით მეორე საშიშროებას, ამ ეტაპის მთავარ საშიშროებას—მემარჯვენე გადახრის საშიშროებას ჩვენს პარტიაში. სამეურნეო სიძნელეებმა და კულაკების შემოტევამ პარტიის მერყევ წევრებში წარმოშვეს მემარჯვენე განწყობილება. ცალკე იდეები და მერყეობა თანდათან უფრო ყალიბდებოდა და ყალიბდება მემარჯვენე გადახრის გარკვეულ პლატფორმად, რომელიც ჰპირდება კაპიტალისტურ ელემენტებს ხელფეხის გახსნას ჩვენს ქვეყანაში.

მერყეობასა და შემარიგებლობას მემარჯვენე სტიქიის მიმართ ადგილი ჰქონდა მოსკოვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში.

ლენინის ერთგული— მოსკოვის ბოლშევიკები არ შეუშინდნენ სიძნელეებს, არ მიეცნენ პანიკას და ბრწყინვალედ ჩააბარეს გამოცდა, კიდევ უფრო შეამჭიდროვეს თავისი რიგები ლენინიზმისათვის, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელმა პარტიამ და პირველ რიგში მოსკოვის ორგანიზაციამ ერთსულოვნად მოიგერია მემარჯვენე გადახრა და შემარიგებლობა ამ გადახრის მიმართ.

მოსალოდნელი იყო, რომ მერყევი ელემენტები დამორჩილდებოდნენ პარტიის დისციპლინას, ყურს დაუგდებდნენ პარტიას და გამოასწორებდნენ თავიანთ შეცდომებს, მაგრამ უკანასკნელი დღეების ფაქტები მოწმობენ მემარჯვენეთა მიერ ბრძოლის გაძლიერებას პარტიის ხაზის დარღვევით, კრიზისის წინასწარმეტყველებით მემარჯვენე ელემენტები დგებიან საფრთხის წინაშე — ფრაქციული ბრძოლის გზაზე დაქანების წინაშე.

კონფერენციამ ბოლშევიკურად დასვა საკითხი იმის შესახებ რომ ცენტრალურმა კომიტეტმა „ამ მძიმე მომენტში უზრუნველყოს ყოველი წევრის მიერ ბოლშევიკური რკინის დისციპლინის დაცვა, რა პოსტზედაც არ უნდა იდგეს ეს წევრი". ეს უნდა მოასწავებდეს პარტიის ყოველი წევრის მიერ, მათ შორის ცენტრალურ კომიტეტის წევრების მიერ მათზე დაკისრებული მუშაობის აუცილებელ შესრულებას პარტიისა და მის ცკას ხელმძღვანელობის და კონტროლ ქვეშ.

პარტიას სამართლიანად შეუძლია უთხრას მემარჯვენეებს და შემარიგებელთ: ამ პარტიასთან, უხმოთ შეასრულე მისი დადგენილებანი და დისციპლინა და დაიცავი მისი დისციპლინა, ან მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც, როგორც ყოველგვარი სხვა გადახრა, ოპორტუნისტულ ჭაობისაკენ მიექანება. მესამე გზა არ არის და არც შეიძლება იყვეს. პარტია დაუნდობლად ამხელს მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებელ დამოკიდებულებას.

წინ დიდი სიძნელეები გვიძევს, პარტია მათ არ მალავს: მაგრამ დროებითი აუცილებელი სიძნელეები ჩვენ ვერ გადაგვახვევინებს ლენინური გზიდან.

მთელი პარტია გასწევს წინ ახალი გამარჯვებისაკენ, შემჭიდროვებული ბოლშევიკური რიგებით, ლენინიზმის დროშით და მის პირველ რიგებში, როგორც ყოველთვის, იქნება მოსკოვის ბოლშევიკების ორგანიზაცია.

„პრავდა", 27 თებერვალი.

უცხოეთის პრესა საფრანგეთ-ბელგიის საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ

ჰოლანდიის პრესა პროტესტს აცხადებს ჰოლანდიის ნეიტრალიტეტის მოსალოდნელი დარღვევის გამო

ამანულა-ხანის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ქაბულზე

ამანულას მომხრე ტომები 30 კილომეტრით დაუახლოვდნენ ქაბულს

საფრანგეთ-ბელგიის საიდუმლო ხელშეკრულების გარშემო

საფრანგეთი უარჰყოფს

პარიზი, 26 თებერვალი. ჰავასი იუწყება: „საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ სიცრუეს წარმოადგენს სამხედრო ხელშეკრულების ის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნდა საზღვარგარედ და რომელიც ვითომ დადებულ იქნა 1920 წელს საფრანგეთსა და ბელგიას შორის; სიცრუეს წარმოადგენს აგრეთვე ამ ხელშეკრულების 1927 წლის დამატებითი დადგენილების ტექსტი. სამინისტრო აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა და ბელგიამ 1920 წლის 2 ნოემბერს აცნობეს ერთა ლიგას ის მიმოწერა, რომელიც მათ ჰქონდათ 1920 წლის სამხედრო შეთანხმების შესახებ. ეს შეთანხმება ისახავს თავდაცვას და ეხება მხოლოდ პროვოკაციით არ გამოწვეული თავდასხმის შემთხვევებს. მას შემდეგ ამ ორ სახელმწიფოს შორის არავითარი ხელშეკრულება არ დადებულა (ადს).

ბრიანის უარყოფა

პარიზი, 26 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ჰოლანდიის საელჩომ პარიზში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა წინადადება საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო ხელშეკრულების გამო.

ბრიანმა თავის პასუხში აღნიშნა ოფიციალური უარყოფა, რომელიც ამ საკითხზე იყო გამოქვეყნებული (ადს).

ინგლისის მთავრობის უარყოფა

ბერლინი, 2 თებერვალი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ინგლისის მთავრობამ გერმანიის მთავრობას დიპლომატიური გზით წარუდგინა განცხადება იმ მასალების შესახებ, რომლებიც ჰოლანდიურ გაზეთ „უტრეხტ დაგბლად"-ში იყო გამოქვეყნებული. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ინგლის-ბელგიის შეთანხმება, რომელიც მოხსენებულია ჰოლანდიის გაზეთის ცნობაში, არ არსებობს. ასევე არ არსებობს რაიმე შეთანხმება ინგლისის და ბელგიის გენერალურ შტაბებს შორის (ადს).

ლოკერ ლემპსონის განცხადება

ლონდონი, 27 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „თემთა პალატის დღევანდელ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლეპსონმა უპასუხა მთელ რიგ შეკითხვებზე საფრანგეთ-ბელგიის და ინგლის-ბელგიის სამხედრო შეთანხმებათა ცნობების შესახებ. ლოკერ ლეპსონმა განაცხადა, რომ ინგლისსა და ბელგიის შორის ომის დამთავრების დროიდან ლოკარნოს ხელშეკრულების გარდა არ დადებულა არც ერთი შეთანხმება, რომელიც სამხედრო ვალდებულებებს ითვალისწინებდეს. ლოკერ ლეპსონმა დასძინა, რომ იმ ნოტების ტექსტი, რომლებიც ერთი-მეორეს გადასცეს საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებმა, ერთა ლიგის რეგისტრაციაში გატარდა 1922 წლის 4 ნოემბერს. ეს ნოტები შეიცავდნენ სამხედრო კონვენციის დადასტურებას, რომელიც დაიდო 1922 წ. 7 სექტემბერს და რომლის მიზანი იყო ერთა ლიგის წესდებიდან გამომდინარე მშვიდობიანობის და უშიშროების გარანტიების გაძლიერება. დასასრულ ლოკერ ლეპსონმა განაცხადა, რომ მას არ უნახავს სამხედრო შეთანხმების ტექსტი, რომელიც ნამდვილად არ გამოქვეყნებულა.

მუშათა პარტიის წევრი ვეჯვუდი შეეკითხა: უნდა ვიფიქროთ თუ არა, რომ ინგლისი სამხედრო საკითხებზე მოლაპარაკებას არ აწარმოებს არც საფრანგეთთან და არც ბელგიასთან, იმ პირობის გარეშე, რომ ასეთი მოლაპარაკება არ იქნას წარმოებული ამავე დროს გერმანიასთან, რათა ინგლისის ვალდებულებანი ლოკარნოს ხელშეკრულების გამო მტკიცედ იქნას დაცული. ამავე ლოკერ ლემპსონმა უპასუხა, რომ ვეჯვუდი სრული დამშვიდებული შეიძლება იყოს, რადგან მთავრობა არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ლოკარნოს ხელშეკრულებას. მაშინ ვეჯვუდი შეეკითხა: იღებს თუ არა მთავრობა ზომებს ამ „აშკარა სიყალბის" ავტორის აღმოსაჩენად? ლემპსონმა ამ შეკითხვაზე არ უპასუხა. (ადს)

ჰოლანდიის მთავრობის შეკითხვა

ბერლინი, 26 თებერვალი. ჰოლანდიიდან მიღებული ნახევრად ოფიციალური ცნობების მიხედვით, ჰოლანდიის მთავრობამ დაავალა თავის საელჩოებს პარიზსა და ბრიუსელში— შეეკითხონ საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობებს—აუტენტიურია თუ არა ბელგია - საფრანგეთის სამხედრო ხელშეკრულების ტექსტი.

გაზეთი „უტრეხტ დაგბლად"-ის ცნობამ ბელგია-საფრანგეთის ხელშეკრულების არსებობის შესახებ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჰოლანდიაში. გაზეთები ათავსებენ მოწინავე წერილებს, რომლებიდანაც სჩანს, რომ ისინი დიდად არიან გულგატეხილნი.

„ალგემეინ ხანდელსბლატ"-ი სწერს: „ჰოლანდიამ, რომელმაც იმდენი შესძლო, რომ თავიდან აიცდინა გერმანიის ჯარის შეჭრა მის ტერიტორიაზე, სასტიკი პროტესტი უნდა განაცხადოს იმის წინააღმდეგ, რომ მას უყურებენ, როგორც მსხვერპლს იმ შემთხვევაში, თუ ბელგია-საფრანგეთი თავს დაესხმიან გერმანიას".

სოციალ- დემოკრატიული „ჰეტ ფოლკ" სწერს: „ინგლისი, ბელგია და საფრანგეთი მშვიდობიანობის დროს სწერენ ხელშეკრულებას იმის შესახებ, რომ, თუ წარმოიშვა ახალი ომი გერმანიის წინააღმდეგ, თავხედურად და უსინდისოდ დარღვეულ იქნას ჰოლანდიის ნეიტრალიტეტი. განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ ინგლისი, რომელმაც 1914 წელს ხელზე დაიხვია ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა და ამ საბაბით მიიღო მონაწილეობა ომში, დღეს სკანდალურად ითვალისწინებს ხელშეკრულებაში ჰოლანდიის ნეიტრალიტეტის დარღვევას".

მემარჯვენე-რადიკალური ამსტერდამის „სტანდარტ"-ი მოითხოვს ჰოლანდია-ბელგიის მოლაპარაკების მოსპობას (ადს).

„უტრეხტ დაგბლატ"-ის ცნობების გამო

ბერლინი, 26 თებერვალი. კომპარტიის ორგანო „როტე ფანე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბელგია-საფრანგეთის სამხედრო ხელშეკრულების არსებობა გამოაშკარავდა სწორედ მაშინ, როდესაც პარიზში შეგროვდნენ მსოფლიო კაპიტალის წარმომადგენლები იმისათვის, რათა, საფრანგეთის მთავრობის სიტყვით, „დაამყარონ მშვიდობიანობა სარეპარაციო საკითხის საბოლოო გადაჭრით". „სამხედრო კავშირები და იმპერიალისტების შეთანხმებები გააფთრებული. შეიარაღება და იმპერიალისტური საიდუმლო დიპლომატიის გაძლიერებული აქტივობა, — სწერს გაზეთი, — საბოლოოდ ნათელჰყოფენ მშვიდობიანობის შესახებ იმპერიალისტების ფრაზების სიყალბეს" (ადს).

ლონდონი, 26 თებერვალი. ინგლისის გაზეთები ეხებიან გაზეთ „უტრეხტ დაგბლატ"-ის ცნობას საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულების შესახებ საფრანგეთსა და ბელგიის შორის.

„ტაიმს"-ი სწერს:

„ცნობასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჰოლანდიასა და ბელგიას შორის არსებობენ ისეთი საკითხები, რომლებიც ელიან გადაწყვეტას, ასეთია განსაკუთრებით ნაოსნობის საკითხი მდინარე შელდაზე სწორედ ეს საკითხები ახდენენ უარყოფით გავლენას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაზე".

„დეილი ტელეგრაფ"-ი სწერს:

„მოელიან, რომ ჩემბერლენი არ დააყოვნებს ავტორიტეტული განცხადების შეტანას თემთა პალატაში. იგი უეჭველია გადაჭრით უარჰყოფს იმას, რომ 1927 წ. ინგლისმა სამხედრო კონვენცია დასდო საფრანგეთისა და ბელგიასთან".

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიან"-ის ეჭვი შეაქვს იმაში, რომ „უტრეხტ დაგბლატის" ცნობა სინამდვილეს შეეფერებოდეს.

„მაგრამ, — სწერს გაზეთი, — ძალაუნებურად მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ ინგლისში გაიმარჯვა ახალმა თვალსაზრისმა; ამ თვალსაზრისს ლოკარნოს ისეთ შეთანხმებად მიაჩნია, რომელიც ცალმხრივ ვალდებულებებს შეიცავს. შეიძლება ინგლისსა და საფრანგეთს შორის არ არსებობდეს დაწერილი სამხედრო შეთანხმება, მაგრამ აშკარაა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის გენერალური შტაბები მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან ჩვენ არა გვწამს ცნობის სინამვილე, მაგრამ ლონდონიდან, პარიზიდან და ბრიუსელიდან მოველით უფრო დამაჯერებელ განმარტებებს იმ განმარტებებთან შედარებით, რომლებიც იძლეოდნენ ისინი დღემდე. (ადს).

ბერლინი, 26 თებერვალი. გაზეთი „უტრეხტ დაგბლატ"-ი, რომელმაც გამოაქვეყნა ბელგია-საფრანგეთის საიდუმლო სამხედრო შეთანხმების ტექსტი, აცხადებს, რომ საფრანგეთის, ბელგიისა და ინგლისის მთავრობების განცხადებები ვერ უარჰყოფენ სამხედრო შეთანხმების გამოქვეყნებულ ტექსტს. სამხედრო შეთანხმების ტექსტის გამოქვეყნება მოხდა მას შემდეგ რაც რედაქციამ უეჭველად სარწმუნო წყაროებიდან მიიღო დოკუმენტის სინამდვილის დადასტურება.

გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ „უეჭველად სარწმუნო წყაროდ" ნაგულისხმევია ჰოლანდიის მთავრობა. (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

შეტევა ქაბულზე

თერმეზი, 26 თებერვალი. ყანდაგარის გზაზე ღაზნის მხრივ დაიწყო შეტევა ქაბულზე.

ქაბულში ავრცელებენ პროკლამაციებს, რომლებშიაც ამტკიცებენ, რომ ამანულა უკვე იმყოფება ღაზნში და თითქოს მისი რაზმები უკვე შევიდენ გილზაების მონათესავე ტომის ვარდაკის ტერიტორიაზე: ამ ტომს მიწები აქვს სამხრეთ-დასავლეთით ქაბულის ოლქიდან.

ხაკიმი ქალაქ მაიდანის მაზრის უფროსი, რომელიც იქ დანიშნა ქაბულის მთავრობამ. მოჰკლეს და ქალაქი ამანულას ვარდაკელმა რაზმებმა დაიჭირის. ქაბულიდან მაიდანის მიმართულებით დასახმარებლად გაგზავნეს სასწრაფოდ სამი პოლკი.

მაიდანი 30 კილომეტრის მანძილზე იმყოფება ქაბულის სამხრეთ-დასავლეთით ყანდაგარის და გერატის გზების ხაზზე. (ადს).

ინგლისის იმედები

ლონდონი, 26 თებერვ. გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" აცხადებს, რომ ნადირ-ხანის ჩასვლა ავღანისტანში იმედს [illegible]-ის ვფიქრობთ, რომ მისი იქ ყოფნა შეაჩერებს ანარქიას ავღანისტანში. გაზეთი ნადირ-ხანს უწოდებს ავღანისტანის ყველაზე უფრო გავლენიან მოღვაწეს და დასძენს, რომ თუმცა ნადირ-ხანმა განაცხადა, რომ არ სურს დაიჭიროს ავღანისტანის ტახტი, მაგრამ მას შეუძლია შესცვალოს თავისი პოზიცია.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ"-ის ბომბეელ კორესპონდენტთან საუბარში ნადირ-ხანმა განაცხადა, რომ ჯელალაბადში მისვლის შემდეგ მას განზრახვა აქვს ყანდაგარში იმგზავროს ამანულასთან სათათბიროთ. ნადირ ხანს განზრახვა აქვს მოიწვიოს ავღანისტანში მებრძოლი ყველა ჯგუფების თათბირი და შუამავლის როლი იკისროს.

ნადირ ხანი შეეხო ავღანისტანში შემოღე[illegible]ბს და განაცხადა, რომ ამანულამ აჩქარებით გა[illegible] ეს რეფორმები.

ნადირ ხანმა განაცხადა, რომ ის თვითონ სავსებით უჭერს მხარს განათლების გავრცელების იდეას და აღნიშნა, რომ როგორც გაუმჯობესდება განათლების სისტემა ავღანისტანში, ეს აუცილებლათ გამოიწვევს დანარჩენ ღონისძიებებს კულტურისა და ცივილიზაციის განსამტკიცებლად ამ ქვეყანაში. მაგრამ კორესპონდენტის სიტყვით, მან აღნიშნა, რომ რეფორმისაკენ ლტოლვა ნებაყოფლობით უნდა იყოსო.

ნადირ-ხანის გარშემო

ლონდონი, 26 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ის პეშევარელი კორესპონდენტი სწერს, რომ ყველა მხრიდან მოდის ცნობები, ვითომც ავღანისტანის ყველა ტომები მზად არიან მხარი დაუჭირონ ნადირ ხანს, მაგრამ აფრიდების ტომი არ მიემხრობა, მას, თუ ნადირ ხანი არ დასთანხმდება მხარი დაუჭიროს ამანულას.

კორესპონდენტის სიტყვით, პეშევარში ნადირ ხანს დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს.

„ტაიმს ოფ ინდია" იხილავს ავღანისტანის რესპუბლიკის დაარსების შესაძლებლობას ნადირ-ხანის მიერ, თუ იგი ავღანისტანის ტომებს მისცემს თვითგამორკვევის უფლებას

ნადირ-ხანის განცხადება

ლონდონი, 27 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ის ალახაბადელი კორესპონდენტი იუწყება, თითქოს ნადირ-ხანმა განაცხადა, რომ იგი არ დამშვიდდება, სანამ ამანულა კვლავ არ დაიჭერს ტახტს. „ტაიმს"-ის პეშავარელი კორესპონდენტის ცნობით, ინგლის-ინდოეთის მთავრობა ნადირ-ხანს არ მისცემს არავითარ განსაკუთრებულ შეღავათებს და მას უკვე აგრძნობინეს, რომ მისი არავითარი პოლიტიკური მოღვაწეობა არ იქნება დაშვებული ინდოეთში. მაგრამ რამდენადაც იგი ავღანელია, არავითარ დაბრკოლებას ავღანისტანში დაბრუნებისათვის არ შეუქმნიან და მას მიეცემა საშუალება თვითონ აირჩიოს მარშრუტი.

„ტაიმს"-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ავღანისტანის ელჩი ლონდონში ჯელანი-ხანი გაწვეულია და მოსკოვის გზით გაემგზავრება ავღანისტანში (ადს).

ფონ-პლესენის გამგზავრების მიზანი

ლონდონი, 26 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტის ცნობით, გერმანიის ელჩი კალკუტაში (ინდოეთი) ფონ პლესენი, რომელიც გერმანიის საქმეთა რწმუნებულად დაინიშნა ავღანისტანში, ინგლისური ჰაეროპლანით გაფრინდა ქაბულში. ფიქრობენ, რომ ფონ-პლესენი ქაბულში იმ მიზნით გაემგზავრა, რომ ხაბიბულასთან (ბაჩე საკაო) აწარმოოს მოლაპარაკება ქაბულში დაპატიმრებული ზოგიერთი გერმანელი საქმიანი პირების განთავისუფლების შესახებ (ადს).

რეიტერის ცნობა

ლონდონი, 27 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ნიუ-დელიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ ქაბულში განწყობილება ამანულას სასარგებლოდ შეიცვალა". ყანდაგარის მოსახლეობამ დაარწმუნა ამანულა, რომ გერატში გამგზავრების ნაცვლად სჯობია ქალაქში დარჩენა. მოსახლეობას ალბად ეშინია, რომ ამანულას წასვლის შემდეგ დაიწყება უკანონობის და ანარქიის ხანა (ადს).

კამათი კომპარტიის შეკითხვის გამო

ბერლინი, 26 თებერვალი. რეიხსტაგში დაიწყო კამათი კომუნისტური პარტიის შეკითხვის გამო. შეკითხვა შეეხება გერმანიის სამხედრო მინისტრის გრენერის მემორანდუმს გერმანიის საზღვაო შეიარაღების შესახებ, რომელიც ამას წინედ გამოაქვეყნა ინგლისის პრესამ. შეკითხვის დასასაბუთებლად სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტ დეპუტატმა შტეკერმა, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა გერმანიის იმპერიალიზმის შეიარაღების პოლიტიკა და კერძოდ სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა სამხედრო საკითხში. შტეკერმა რეიხსკანცლერ მიულერს ახსნა-განმარტება მოსთხოვა ჯავშნოსნების აგების გამო და გააფრთხილა, რომ მუშათა კლასი მკაცრად იბრძოლებს გერმანიის მთავრობის შეიარაღების პოლიტიკის განხორციელების წინააღმდეგ.

შტეკერის ინტერპელაციის საპასუხოდ რეიხსკანცლერმა მიულერმა განაცხადა, რომ გრენერის მემორანდუმი შეეხება მხოლოდ გერმანიის ნეიტრალიტეტის დაცვას. გერმანია, მიულერის სიტყვით, არავითარ სამხედრო პოლიტიკას არ აწარმოებს და სურს მშვიდობიანობის განმტკიცება. მიულერმა განაცხადა, რომ გერმანია, კერძოდ, არავითარ სამხედრო ზრახვებს არ ისახავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამას ნათლად მოწმობს, მიულერის სიტყვით, საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარის კალინინის განცხადებები, რომლებიც მან გააკეთა იმ დროს, როცა რწმუნებათა სიგელი გადასცა გერმანიის ახალმა ელჩმა მოსკოვში ფონ-დირკსენმა.

სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა შტამფერმა გვერდი აუხვია კომუნისტური ფრაქციის კრიტიკაზე პირდაპირი პასუხის გაცემას და თითქმის არ შეხებია სამხედრო პოლიტიკის საკითხს. იგი შეეცადა კამათი გადაეტანა ნაციონალისტებთან პოლემიკაზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გრენერის მემორანდუმი ინგლისელებს გადასცა მწერალმა ქალმა ვალენტინმა სოციალ-დემოკრატი პოლიტიკური მოღვაწეების თანხმობით.

შტამფერი განსაკუთრებით ენერგიულად უარჰყოფდა ნაციონალისტების მიერ წამოყენებულ ბრალდებას სოციალ-დემოკრატების სახელმწიფო ღალატის შესახებ და ხაზი გაუსვა სოციალ-დემოკრატების დამსახურებას (ადს).

ლაიდონერი ესტონეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

რეველი, 26 თებერვალი. გენერალმა ლაიდონერმა აგრარიების კონგრესზე წარმოსთქვა სიტყვა ესტონეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ლაიდონერმა აღნიშნა, რომ ესტონეთმა კარგი ურთიერთობა უნდა დაამყაროს იმ სახელმწიფოებთან, რომელთა მხრივაც მას მოელის საფრთხე.

პირველ რიგში, ლაიდონერის სიტყვით, ეს შეეხება საბჭოთა კავშირს და გერმანიას.

„ამჟამად,—განაცხადა ლაიდონერმა,— ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს საბჭოთა კავშირთან, მაგრამ არ ვიცით, გაგრძელდება თუ არა მომავალში ასეთი მდგომარეობა. გერმანია ამჟამად შევიწროებულ მდგომარეობაშია, მაგრამ მომავალში გერმანელი ხალხი გააძლიერებს თავის გავლენას და რადგან გერმანია მიისწრაფის აღმოსავლეთისაკენ, აქ შეიძლება წარმოიშვას სიძნელენი".

ლაიდონერი ხაზს უსვამს ესტონეთის და პოლონეთის ინტერესთა ერთობას და მოუწოდებს ინგლისის ორიენტაციისაკენ, რომელიც, მისი სიტყვით, განსაკუთრებით დაინტერესებულია ესტონეთის არსებობით".

პოლონეთი და რუმინეთი შეთანხმდნენ

ვარშავა, 26 თებერვალი. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მირონესკუს მოთხოვნის გამო ვარშავაში გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ მირონესკუს შეხვედრა ჰქონდა ზალესკისთან და იგი მიიღო პრეზიდენტმა მოსციცკიმ, პილსუდსკიმ და ბარტელმა. საუბარში გამოირკვა პოლონეთისა და რუმინეთის მთავრობების ერთსულოვნება ყველა საკითხებში. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ დაიდოს პოლონეთ-რუმინეთის საკონსულო კონვენცია, შეთანხმება იურიდიული დახმარების აღმოჩენის შესახებ, აგრეთვე სარკინიგზო შეთანხმება და შეთანხმება ადგილობრივი მიმოსვლის შესახებ სანაპირო რაიონში. შეთანხმების ძალით, რუმინეთი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს იმ პოლონელ მესაკუთრეთა პრეტენზიების განხილვას, რომელთაც ქონება ჩამოერთვათ ბესარაბიაში (ადს).

„ლიუმანიტე"-ს რედაქტორის დაპატიმრება

პარიზი, 26 თებერვალი. დაპატიმრებულია „ლიუმანიტე"-ს რედაქტორი კოტიური იმ საქმის გამო, რომელიც მის წინააღმდეგ არის აღძრული 1927 წელში ჩინეთის შესახებ წერილის გამოქვეყნებისათვის (ადს).

„ამუნდსენის ზღვა"

ოსლო, 26 თებერვალი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ნორვეგიის სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელიც სამხრეთ ზღვებში იმყოფება ვეშაპების დამჭერ გემ „ნორვეგია"-ზე, პეტრე პირველის კუნძულზე აღმართა ნორვეგიის დროშა და კუნძულის ირგვლივ მყოფ ზღვას უწოდა „ამუნდსენის ზღვა".

შენიშვნა: პეტრე პირველის კუნძული იმყოფება სამხრეთის ყინულოვან ოკეანეში და აღმოჩენილ იქნა 1821 წელს რუსი მოგზაურის ბელინსჰაუზენის მიერ (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას დეკლარაცია

პარიზი, 26 თებერვალი. საფრანგეთის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა დეკლარაცია საერთაშორისო ანტიფაშისტური კონგრესის გამო, რომელიც მარტში იქნება მოწვეული ბერლინში. ცეკა აღნიშნავს, რომ კონგრესი არ არის მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული, მაგრამ პარტია მხარს დაუჭერს მას იმდენად, რამდენადაც იგი ხელს უწყობს პროლეტარიატის ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, მით უფრო, რომ მეორე ინტერნაციონალი ამ კონგრესს ბოიკოტს უცხადებს (ადს).

საფრანგეთის გაზეთები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ

პარიზი, 26 თებერვალი. მემარცხენე გაზეთი „პარი სუარი" ჩამოსთვლის საბჭოთა კავშირის ეკონომიური პოლიტიკის გამოცოცხლების მთელ რიგ ნიშნებს და ხაზს უსვამს გერმანია-საბჭოთა ეკონომიური შეთანხმებების და იმ ხელშეკრულებების მნიშვნელობას, რომლებიც უკანასკნელ დროს დაიდო საბჭოთა მთავრობასა და ამერიკულ ტრესტებს შორის. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისელი მრეწველობის დელეგაციის გამგზავრებას საბჭოთა კავშირში.

გაზეთი შიშობს, რომ საფრანგეთი, რომელიც სხვა ქვეყნებს აძლევს საშუალებას აღადგინონ ეკონომიური კავშირი საბჭოთა სახელმწიფოსთან, დაჰკარგავს იმ სარგებლობას, რომელსაც სხვა ქვეყნები მიიღებენ (ადს).

კრასინელები საზღვარგარეთ

ბერლინი, 26 თებერვალი. ბერნიდან მიღებული ცნობებით, სამოილოვიჩის და ჩუხნოვსკის მოხსენებებს, რომლებიც საზღვარგარეთთან კულტურული დაახლოების საკავშირო საზოგადოებამ მოაწყო, აღფრთოვანებით შეხვდნენ მთელ შვეიცარიაში. ყველა მიმართულების გაზეთები აქვეყნებენ წერილებს საბჭოთა ექსპედიციის შესახებ. პირველ მოხსენებას, რომელიც შვეიცარიის პარლამენტის დარბაზში გაიმართა, დაესწრო ათასზე მეტი მუშა. მოხსენება ჟენევაში გაიმართა ერთა ლიგის დარბაზში, რომელიც 2.000 მსმენელს იტევს. მოხსენებებს ყველა ქალაქში მოუთმენელი ხალხი აწყდებოდა, მაგრამ უადგილობის გამო ბევრი ვერ დაესწრო. ყველა ქალაქში, სადაც მოხსენებები გაიმართა, შესდგა საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების სხდომები სამეცნიერო წრეებისა და პრესის წარმომადგენელთა თანდასწრებით. სხდომებზე წარმოთქმულ სიტყვებში ხაზს უსვამდნენ საბჭოთა კავშირის კულტურულ მიღწევას და აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა ექსპედიციის ხელმძღვანელთა ყოფნას შვეიცარიაში დიდი მნიშვნელობა აქვს შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის დაახლოების საქმეში. გერმანული გემის „მონტე სერვანტეს"-ის მგზავრებმა (ამ გემის ბაქანზე იმყოფებოდა 75 შვეიცარიელი), რომლებიც ყინულის მჭრელმა „კრასინ"-მა გადაარჩინა, არა ერთხელ გამოუცხადეს მადლობა საბჭოთა ექსპედიციის ხელმძღვანელებს.



უოენ იუნგი
ექსპერტთა კონფერენციის თავმჯდომარე

შვეიცარიიდან სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი პარიზში მიემგზავრებიან (ადს).

კრასინელები პარიზში

პარიზი, 26 თებერვალი. პარიზში ჩამოვიდა პროფ. სამოილოვიჩი, მფრინავი ჩუხნოვსკი და ყინულის მჭრელი „კრასინ"-ის ექიმი სრედნევსკი. ხვალ სამოილოვიჩი მოხსენებას გააკეთებს კრებაზე, რომელსაც მოაწყობს პარიზის უნივერსიტეტი საფრანგეთ-რუსეთის სამეცნიერო კავშირის კომიტეტის ინიციატივით. პარიზში სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი მთელ რიგ მოხსენებებს წაიკითხავენ (ადს).

„ფოსიშე ციტუნგი" შტრეზემანის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 27 თებერვალი. „ფოსიშე ციტუნგ"-ის ცნობით, შტრეზემანის იმ სიტყვის ოფიციალური ანგარიშიდან, რომელიც მან გუშინ წარმოსთქვა სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, გამოტოვებულია ის ადგილი, სადაც იგი ლაპარაკობს თავისი ჯანმრთელობის შესახებ. გაზეთის სიტყვით, შტრეზემანმა „ისარგებლა ისეთი გამოთქმით, რომელიც იმგვარად შეიძლება გავიგოთ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მან შესაძლოა სასურველად სცნოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით თავი დაანებოს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას".

საღამოს გაზეთი „ველტ ამ აბენდ" სცნობს, რომ შტრეზემანის ახალმა განცხადებამ განამტკიცა მისი მოწინააღმდეგეების პოზიცია სახალხო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. „სახალხო პარტიის პარტიული ბიუროკრატია,—სწერს გაზეთი,—აშკარად შეეხო ხვალინდელი დღის მესვეურების საკითხს, რომლებიც მსხვილი კაპიტალის პოლიტიკის გამწვავებულად გატარების მომხრენი არიან".

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა საქმე

მოსკოვი, 27 თებერვალი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება:

გერმანიის ხელისუფლების თხოვნის თანახმად პარიზის პოლიციამ დააპატიმრა ბარონი შტეინტალი. შტეინტალი ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა შაიკის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. 1925 წელს შტეინტალი ემიგრანტ ქართველებთან ერთად გაემგზავრა მიუნხენში, სადაც ისინი დაუკავშირდნენ ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა ერთ-ერთ აქტიურ წევრს, ფაშისტურ ორგანიზაციის წარმომადგენელს — ვებერს.

ამის შემდეგ შტეინტალი გენერალ გოფმანთან ერთად გაემგზავრა ლონდონში, სადაც მათ ინახულეს საბჭოთა კავშირის მოსისხლე მტერი, ცნობილი ნავთის მრეწველი დეტერდინგი. 1927 წლის ნოემბერში, როდესაც გერმანიის პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა ორგანიზაცია და დააპატიმრა ამ ორგანიზაციის ზოგიერთი მონაწილე, შტეინტალი გაიპარა გერმანიიდან საფრანგეთში. შტეინტალი დეტერდინგთან გაგზავნილი იყო ბაქოს ყოფილ ნავთის მრეწველთა დავალებით. ქართული ემიგრაციის მენშევიკურ ბანდებში ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა დაპატიმრებამ დიდი არევ-დარევა შეიტანა.

სასამართლოს მუშაკთა აზრით შტეინტალის დაპატიმრებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოაშკარავებულ იქნას მთელი რიგი ახალი და საყურადღებო ფაქტები.

ანრი ბარბიუსი საქართველოს შესახებ

(საუბარი ჩვენს კორესპონდენტთან)

მოსკოვი, 27 თებერვალი. საქართველოდან მოსკოვში ჩამოვიდა ანრი ბარბიუსი. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში თავის მოგზაურობის შესახებ ანრი ბარბიუსმა შემდეგი განაცხადა:

„საბჭოთა ხელისუფლების მტრები, როცა ისინი ჩვეულებრივ სწამებენ ცილს მუშებისა და გლეხების მთავრობას, ხშირად მიუთითებენ საქართველოზე, რომელიც, თითქოს, ეროვნულ ჩაგვრას განიცდის. ამიტომ იმ წიგნში, რომელიც დავწერე საბჭოთა კავშირში ნახულისა და გაგონილის შესახებ, საქართველოს მე განსაკუთრებული ადგილი დაუთმე. აქ მე ვადარებ საქართველოს ეხლანდელ მდგომარეობას, მეფისა და მენშევიკების რეჟიმის დროს არსებულ მდგომარეობასთან. დღეს ბრმაც კი ხედავს, რომ საბჭოთა საქართველო სამეურნეო და კულტურულ აყვავების გზაზე დგას.

ჩემი წიგნი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ გამოვა პარიზში არა უგვიანეს მიმდინარე წლის მაისის თვისა. ვფიქრობ, რომ ამჟამად, როცა დასავლეთის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება, ჩემი წიგნის გამოსვლა დროული იქნება.

რა გვიჩვენა 800 დაწესებულების მოულოდნელმა შემოწმებამ

მოსკოვი, 27 თებერვალი. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოაწყო სამას დაწესებულებათა მოულოდნელი შემოწმება. შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო უმთავრესად დაზგის მუშებმა. წინასწარ შედგენილ იქნა იმ დაწესებულებათა სია, რომელთაც უნდა შეხებოდა შემოწმება. მათში შედიოდა სახალხო კომისარიატები, საგუბერნიო და რაიონის სასამართლოები, ამბულატორიები, შრომის ბირჟა და სხვა. სულ შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო 1.500 მუშამ, რომლებიც დაწესებულებაში შედიოდნენ არა როგორც ოფიციალური კონტროლიორები, არამედ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქენი. მოულოდნელ შემოწმებას ხელმძღვანელობდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ასამდე წევრი.

შემოწმებამ გამოაშკარავა ბიუროკრატიზმის, მოქალაქეთა მიმართ უხეში მოპყრობის, სამსახურში დაგვიანების, ნათლიმამობის და სხვა უმსგავსოებათა მრავალი ფაქტი. ყველა მასალები გადაეცა მუშათა და გლეხთა ინსპექციას. ამ დღეებში მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შესდგება გაფართოებული თათბირი, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ ფაბრიკა - ქარხნების წარმომადგენლები. თათბირის მოწვევის მიზანია იმ მასალების საჯაროდ განხილვა, რომელიც შეგროვილ იქნა დაწესებულებათა მოულოდნელი შემოწმების დროს.

„პრავდა" ამხ. ნ. კრუპსკაიას შესახებ

მოსკოვი, 27 თებერვალი. ამხ. ნ. კრუპსკაიას დაბადებიდან სამოცი წლის შესრულების გამო „პრავდა"-მ გამოუშვა მთელი ფურცელი, რომელშიაც გაშუქებულია ამხ. კრუპსკაიას რევოლუციონური მოღვაწეობა. ფურცელში მოთავსებულია ამხ. ბუხარინის, პოკროვსკის, ლუნაჩარსკის და ზინოვიევის წერილები. გარდა ამისა დაბეჭდილია ამხ. იაროსლავსკის სიტყვა მოსკოვის პარტკონფერენციაზე ამხ. ნ. კრუპსკაიას შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი და სიძნელენი

ამხ. მოლოტოვის მოხსენება მოსკოვის XVII საგუბერნიო პარტკონფერენციაზე 23 თებერვალს

მოსკოვი, 26 თებერვალი. ამხანაგებო, ერთ წელიწადზე მეტი გავიდა პარტიის მეხუთმეტე ყრილობიდან და დღეს იკრიბება მე-17 საგუბერნიო კონფერენცია. განვლილი პერიოდი საკმაოა, რომ შევაფასოთ პარტიის მეხუთმეტე ყრილობის ძირითადი დირექტივები და ამ დირექტივების გატარების შედეგები. უკვე მეხუთმეტე ყრილობაზე პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა ეხლანდელი პერიოდის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის განსაკუთრებული სიძნელენი. მიუხედავათ ამისა, თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ წარსულს, დავინახავთ, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის პოზიცია ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად განმტკიცდა და ჩვენ უშუალოდ შეუდექით სოციალიზმის მშენებლობის ძირითადი ამოცანების გადაჭრას ჩვენს ქვეყანაში. განვიხილოთ, პირველ ყოვლისა, ის საერთაშორისო პირობები, რომლებშიაც ხდებოდა საბჭოთა კავშირის განვითარება ამ პერიოდში.

1. კაპიტალიზმის სტაბილიზაციის თანამედროვე ეტაპი და საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობა

კომინტერნის მეექვსე კონგრესმა წარსული წლის შემოდგომაზე ჯამი გაუკეთა მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარებას ომის შემდეგ. მეექვსე კონგრესმა აღნიშნა, რომ მსოფლიო კაპიტალიზმმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია ტეხნიკის ზრდაში, სამრეწველო რაციონალიზაციის გატარებაში და ახალ, კიდევ უფრო ძლიერ კაპიტალისტურ გაერთიანებების (კარტელები და ტრესტები) შექმნაში და საერთოდ ის გასცილდა ომის წინადროინდელ დონეს. საერთაშორისო რეფორმიზმის დახმარებით ბურჟუაზიამ საგრძნობ წარმატებას მიაღწია, და თუ ცალკე ქვეყნებში (ინგლისი) კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ვერ მივიდა ომის წინადროინდელ დონემდე, სამაგიეროთ მთელ რიგ სხვა ქვეყნებში (განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში) ადგილი აქვს კაპიტალიზმის ეკონომიკის შემდგომ ზრდას. მეექვსე კონგრესმა ამასთანავე ერთად აღნიშნა, რომ კაპიტალისტური ტეხნიკის ზრდა, კაპიტალისტური რაციონალიზაციის გაძლიერება, ახალი ძლიერი კარტელებისა და ტრესტების შექმნა, კაპიტალისტური ორგანიზაციების თანდათანობით შეზრდა ბურჟუაზიულ სახელმწიფო სისტემასთან ვერაფერით შემთხვევაში ვერ მოსპობენ იმ წინააღმდეგობებს, რომლებსაც ადგილი აქვთ კაპიტალისტურ განვითარებაში. მსოფლიო კაპიტალიზმის თანამედროვე ეტაპის („მესამე პერიოდი") წინააღმდეგობების შესახებ უკანასკნელი მსოფლიო კომუნისტური კონგრესის დადგენილებებში ნათქვამია, შემდეგი: „ეს მესამე პერიოდი, რომელმაც განსაკუთრებით გაამწვავა წინააღმდეგობა საწარმოო ძალთა ზრდასა და შეზღუდულ ბაზრებს შორის, ნიადაგს უმზადებს ახალ იმპერიალისტურ ომებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მათი ჰეგემონიისათვის, ომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ეროვნულ განმათავისუფლებელ ომებს იმპერიალიზმისა და იმპერიალისტების ინტერვენციის წინააღმდეგ, ნიადაგს უმზადებს გიგანტურ კლასობრივ ბრძოლებს. ეს პერიოდი ამწვავებს ყველა საერთაშორისო წინააღმდეგობას (წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის, ჩრდილოეთ ჩინეთის სამხედრო ოკუპაცია, როგორც ჩინეთის დაყოფის დასაწყისი და სხვ.), ამწვავებს შინაგან წინააღმდეგობებს კაპიტალისტურ ქვეყნებში (მასების გამემარცხენების პროცესი, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება), ხელს უწყობს კოლონიალური მოძრაობის განვითარებას (ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე, სირია) და კაპიტალისტურ სტაბილიზაციის წინააღმდეგობათა შემდგომი განვითარების გზით ნიადაგს უმზადებს კაპიტალისტურ სტაბილიზაციის შემდგომ შერყევას და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავებას".

განვლილი წლის ამბები სავსებით ადასტურებენ კაპიტალიზმის განვითარების ამ შეფასების სისწორეს. კაპიტალისტურ ქვეყნების საშინაო მდგომარეობის თვალსაზრისით ამ ქვეყნების უმრავლესობისათვის დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს უმუშევრობის ზრდა. უმდიდრეს კაპ. ქვეყანაში, შეერთებულ შტატებში 1923 წელს მრეწველობაში ჩაბმული ყოველი ასი მუშიდან 1928 წელს სამუშაო ჰქონდა მხოლოდ 85 კაცს, მაშასადამე, ყოველი ასი მუშიდან ხუთი წლის განმავლობაში სამუშაო დაჰკარგა 15 კაცმა. მარტო ჩრდილოეთ ამერიკაში ამჟამად არის არა ნაკლებ 3—4 მილიონი უმუშევარისა. უმუშევრობა არაჩვეულებრივად გაიზარდა აგრეთვე მთელ რიგ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. გერმანიაში უმუშევართა რიცხვი აღწევს ერთ-ნახევარ—ორ მილიონს. ასეთივე სურათია ინგლისში. გარდა მცირე გამონაკლისისა (საფრანგეთი), უმუშევრობის საკითხი გამწვავებულია სხვა ქვეყნებშიაც. უმუშევრობის ამ ზრდაში მკაფიო გამოხატულებას ჰპოვებს კაპიტალიზმის კრიზისის გაძლიერება. მეორე მხრით, ამასთან მჭიდროთ დაკავშირებულია მასების გამემარცხენების ზრდა და მებრძოლი პროლეტარული მოძრაობის გაცხოველება. განვლილი წლის ზოგიერთი ფაქტები მოწმობენ, რომ მუშათა მოძრაობაში იზრდება ახალი რევოლუციონური აზვირთების ელემენტები. ისეთი ამბები, როგორც ლოძის ფეიქართა გაფიცვის გადაქცევა საყოველთაო გაფიცვად, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ას ორმოცდაათი ათასი მუშა, და ისეთი ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რურში, სადაც ლოკაუტის საპასუხოდ მოხდა 200 ათასი მეტალისტის გამოსვლა, და აგრეთვე მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი გაფიცვები გერმანიაში, საფრანგეთში და ჩეხო-სლოვაკიაში მოწმობენ, რომ ევროპის მუშათა კლასში არაჩვეულებრივად იზრდება რევოლუციონურ ძალთა აქტივობა. მუშათა მოძრაობა ევროპაში თავდაცვითი ბრძოლებთან ერთად გადადის ახალ საფეხურზე და სოციალ-დემოკრატებისა და რეფორმისტულ პროფკავშირების სურვილის წინააღმდეგ ალაგ-ალაგ ნამდვილ შეტევითი ხასიათს ღებულობს. ასეთია კაპიტალისტური სტაბილიზაციის თანამედროვე ეტაპის შინაგან წინააღმდეგობების დამახასიათებელი მხარეები.

კოლონიალურ და იმპერიალიზმისაგან დამოკიდებულ ქვეყნების შესახებ უნდა ითქვას, რომ აქ არის უდიდესი რევოლუციონური შესაძლებლობანი, რომლებიც შეიძლება ახლო მომავალში იჩინონ თავი. მართალია, ჩინეთის რევოლუცია დამარცხდა 1927 წელს, მაგრამ ყველაფერი იმას მოწმობს, რომ პრობლემები, რომლებიც ჩინეთის რევოლუციის წინაშე იდგა 1926—27 წლებში, გადაუწყვეტელი რჩება, და ამან თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობის ახალ აზვირთებაში. ჩინეთის ეროვნულ გაერთიანების ამოცანები გადაუჭრელ რჩება. ფორმალურად გომინდანის დროშა გაბატონდა ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ნამდვილად კი ჩინეთში არ არსებობს მთლიანი ხელისუფლება და ნამდვილი ეროვნული გაერთიანება არ მომხდარა. ფორმალური ურთიერთობა ნანკინის მთავრობასა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის გაუმჯობესდა, ხოლო ნამდვილად იმპერიალისტური სახელმწიფოები კვლავ მბრძანებლობენ ჩინეთში, აქამდის ჩინეთის უდიდესი პროვინცია მანჯური დაკავებულია იაპონიის ჯარების მიერ. იმპერიალისტური სახელმწიფოები ფორმალურად სცნობენ ჩინეთის საბაჟო ავტონომიას, ხოლო სინამდვილეში ჩინეთის მთავრობას არა აქვს საშუალება გამოიყენოს ეს უფლება ნაციონალური მრეწველობის დასაცავად იმპერიალისტური სახელმწიფოების კონკურენციისაგან. უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმების საკითხი ფაქტიურად მოხსნილია, მოლაპარაკება სწარმოებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებების ნაწილობრივ გადათვალიერების შესახებ. აგრარული პრობლემა და გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქების ამოცანა გადაუწყვეტელი რჩება; ჩინეთის გაპარტახებულ ტერიტორიაზე დამშეულია 20 მილიონზე მეტი მოსახლე. არ გაუმჯობესებულა აგრეთვე მუშების მდგომარეობა. ამგვარად, ჩინეთის რევოლუციის პრობლემები გადაუწყვეტელი რჩება. ჩინეთის მდგომარეობა გვაგონებს იმას, რასაც ჩვენ რუსეთში ვხედავდით 1905 წლის დამარცხების შემდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუშათა და გლეხთა მოძრაობის ახალი აზვირთება ჩინეთში აუცილებელია და ეს ახალი რევოლუციონური ტალღა, ეჭვს გარეშეა, მომაკვდინებელ ლახვარს ჩასცემს სამხედრო-მემამულეთა-ბურჟუაზიულ ბლოკს, რომელიც ამჟამად ხელისუფლების სათავეში სდგას, და იმპერიალიზმს, რომელიც ნამდვილად ბატონობს ჩინეთში.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ რევოლუციონური მოძრაობა ინდოეთში დღითი-დღე ძლიერდება და მუშებისა და გლეხების სულ ახალი და ახალი ფენები ებმებიან მასში.

ამას განსაკუთრებით მოწმობს რევოლუციონური გაფიცვები ბომბეიში, რევოლუციონური მოძრაობის გაძლიერება გლეხთა მასებში, ამგვარად, აღმოსავლეთში იზრდება რევოლუციონური ძალები იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

რაც შეეხება თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოების ურთიერთობას, აქაც ფაქტები მოწმობენ, რომ იზრდება და მწვავდება წინააღმდეგობანი. ამას ნათლად მოწმობს შეიარაღების გაძლიერება და სამხედრო ბიუჯეტების ზრდა. მიუხედავად ერთა ლიგის „სამშვიდობო" მუშაობისა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს კელოგის პაქტს ომის უარყოფის შესახებ, კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტები და არმიები გასცილდნენ ომის წინადროინდელ დონეს და შეურჩერებლივ იზრდებიან. სახელმწიფოები ურთიერთ შორის სდებენ ახალ და ახალ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებს. ორი მთავარი იმპერიალისტური გიგანტის—ინგლისის და შეერთებულ შტატების ბრძოლა თანდათან უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ამასთან დაკავშირებულია ის ფაქტი, რომ ინგლისმა იაპონიასთან დასდო ხელშეკრულება შეერთებულ შტატების წინააღმდეგ [illegible] აღმოსავლეთში, აქ ინგლისი იაპონიასთან ერთად იცავს ჩინეთზე ბატონობის უფლებას. ამავე დროს, წარსული წლის ზაფხულში ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაიდო სამხედრო-საზღვაო შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ანტანტის შექმნის ცდას. ეს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ ახალი იმპერიალისტური ომის დროს საფრანგეთის ჯარისკაცები ამავე დროს ინგლისის ჯარისკაცებად იქცევიან, ხოლო ინგლისის მეზღვაურები—საფრანგეთის მეზღვაურებად. ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ საწარმოო ძალთა ზრდა კაპიტალიზმის ქვეყნებში ამწვავებს ბრძოლას ბაზრებისათვის, იწვევს მუშების არაჩვეულებრივად შევიწროვებას, აძლიერებს იმპერიალისტური ყაჩაღობისა და ძალადობის პოლიტიკას კოლონიებში და ნიადაგს უმზადებს ახალ იმპერიალისტურ ომებს. იმპერიალისტური ომების და საბჭოთა კავშირზე პირდაპირი თავდასხმის საფრთხე თანდათან უფრო აქტუალური ხდება და გამომდინარეობს იქიდან, რომ, მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა კაპიტალისტურ ეკონომიკაში, კაპიტალიზმის კრიზისი თანდათან უფრო ღრმავდება და კაპიტალიზმის ბატონობას თანდათან უფრო ეცლება ნიადაგი. ეს მკაფიოდ აღნიშნა კომინტერნის უკანასკნელმა კონგრესმა.

ყველაფერი ზემოთ ნათქვამი ახასიათებს საერთაშორისო მდგომარეობას, რომელშიაც ამჟამად საბჭოთა კავშირი იმყოფება. აქედან გამომდინარეობს ის, რომ საჭიროა ენერგიული ბრძოლა სამშვიდობო პოლიტიკისათვის ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ კაპიტალისტურ ქვეყნების წინაშე გადაჭრით დასვა საკითხი განიარაღების შესახებ. საბჭოთა მთავრობამ ამხილა იმპერიალისტების თვალთმაქცური ლაყბობა მშვიდობიანობის და განიარაღების შესახებ და ერთა ლიგის მონაწილე სახელმწიფოებს წარუდგინა პროექტი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, ხოლო შემდეგ, მინიმუმის სახით, პროექტი ყველა ქვეყნის თანდათანობით განიარაღების შესახებ. დამახასიათებელია, რომ ამ ენერგიულმა წინადადებებმა ნამდვილი განიარაღების შესახებ აიძულა იმპერიალისტები მრავალ თვეების განმავლობაში შეეწყვიტათ თვალთმაქცური მასლაათი განიარაღებაზე.

საბჭოთა მთავრობის დემონსტრატიული სამშვიდობო ნაბიჯი, რომელმაც მსოფლიოს მშრომელთა უდიდესი თანაგრძნობა გამოიწვია, იმპერიალისტურ მთავრობებს უნდოდათ დაეფარათ სხვა აქტით. ცნობილია, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ სხვა სახელმწიფოებს წარუდგინა თავისი პაქტი ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღის, უარყოფის შესახებ. მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმმა ვერ მოახერხა მშვიდობიანობის ინიციატორად მოეჩვენებინა თავი კაცობრიობისათვის. მან წარმოადგინა კელოგის პაქტი „ომის უარყოფის შესახებ", მაგრამ ამავე დროს კიდევ უფრო გაადიდა თავისი სამხედრო ბიუჯეტი და გააძლიერა ახალი საზღვაო სამხედრო გემების მშენებლობა.

საბჭოთა მთავრობამ თავის მხრივ არა თუ ხელი მოაწერა კელოგის პაქტს, არამედ აიღო თავის თავზე ინიციატივა—გამოეყენებინა კელოგის პაქტი ამ სახელმწიფოების სამხედრო ზრახვების წინააღმდეგ, რომლებიც განსაკუთრებით სცდილობენ დააჩქარონ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა პოლონეთს დაუყოვნებლივ შესულიყო ძალაში კელოგის პაქტი საბჭოთა კავშირის და პოლონეთის ურთიერთობაში, პოლონეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ე. წ. მოსკოვის ოქმზე, მიუხედავად იმისა, რომ მან არა ერთხელ უარჰყო საბჭოთა კავშირის წინადადება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ. პოლონეთმა ესტონეთისა, ლატვიასა და რუმინეთთან ერთად ხელი მოაწერა მოსკოვის ოქმს, რითაც საზოგადოებრივ აზრის წინაშე თავის თავზე მიიღო ერთგვარი მორალური ვალდებულებანი, რომლებმაც არ შეიძლება არ შეუშალონ ხელი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ზრახვებს. ეს აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ერთგვარ ხელსაყრელ პირობად საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი განვითარებისათვის, შემდგომი სოციალისტური მშენებლობისათვის.

განვლილი პერიოდი შეიძლება დახასიათებულ იქნეს მთელ რიგ ფაქტებით. ეს ფაქტები პირველ ყოვლისა მოწმობენ, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობენ შეავიწროვონ ჩვენი ქვეყანა. იმპერიალისტური პრესა ცდილობს ჩვენი სამეურნეო დაბრკოლებები გამოიყენოს იმისათვის, რომ მოაწყოს იმპერიალისტურ სახელმწიფოების საერთო შეტევა ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის ხაზით. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ამერიკული ბანკების მიერ საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების შეწყვეტაში. გერმანიის ზოგიერთი ბანკები შევიდნენ კრედიტორთა საერთაშორისო გაერთიანებაში საბჭოთა კავშირზე ზეგავლენის გასაძლიერებლად. ამავე გერმანიაში დაარსდა „რუსეთის კომიტეტი" საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობისათვის, რაც გამოხატავდა ზოგიერთი იმპერიალისტურ წრეების ცდას გაეძლიერებინათ ბრძოლა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ. საფრანგეთის მხრივ განვლილ წელს არ ჰქონია ადგილი ორი წლის წინათ შეწყვეტილი მოლაპარაკების განახლების ცდას. კონსერვატორების მთავრობა ინგლისში დაჟინებით განაგრძობს საბჭოთა კავშირისადმი მტრულ პოლიტიკას და ამჟამად ახალ ინტრიგებს აწყობს ჩვენს წინააღმდეგ აღმოსავლეთ საზღვარზე. ინგლისის აგენტებმა ბევრი მუშაობა გასწიეს ავღანისტანში ამ მიმართულებით და ხელი შეუწყვეს საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ბუხარის ემიგრაციის გამოცოცხლებას, შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი ამბები (ტელეფონის სადგურის ხელში ჩაგდება, რეპრესიები პროფკავშირების წინააღმდეგ და სხვ.) მოწმობენ, რომ იმპერიალისტური ძალები არ სცხრებიან და ყოველნაირად ცდილობენ საბჭოთა კავშირის შევიწროვებას.

მაგრამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნის ცდა აქამდის ვერ მოხერხდა. არის ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სრულიად საწინააღმდეგოს. ასე, მაგალითად, ამერიკაში ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა ამ ბოლო დროს გაუმჯობესდა. ამას მოწმობს კერძოდ „ჯენერალ ელექტრიკ"-თან დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჩვენ მივიღეთ 60 მილიონ მანეთზე მეტი გრძელვადიანი კრედიტი. ჩვენი მოლაპარაკება გერმანიასთან, სავაჭრო ხელშეკრულების პრაქტიკულად განხორციელების და აგრეთვე გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის სადაო საკითხების გადაჭრის შესახებ, დამაკმაყოფილებლად დამთავრდა. თვით ინგლისის სამრეწველო წრეებშიაც კი შემჩნეულია ერთგვარი გარდატეხა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღსადგენად. ამას მოწმობს ინგლის-რუსეთის კომიტეტის შექმნა და ის, რომ მარტში განზრახულია მრეწველთა დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა კავშირში კრედიტების შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად. როგორც სჩანს, შუბლმაგართა პოლიტიკა ვერ აკმაყოფილებს ინგლისის მრეწველობას, რომელსაც ესაჭიროება ბაზრები. ამიტომ ინგლისის ბურჟუაზიულ მოღვაწეთა გამოსვლებში ჩვენ გვესმის ახალი ხმები. მაგალითად, ხაზინის კანცლერის ჩერჩილის საპარლამენტო მდივანი ბუტბი იძულებული იყო განეცხადებინა შემდეგი: „ჩვენ ხშირად გვეუბნებიან, რომ საბჭოთა მთავრობის არსებობას მალე მოეღება ბოლო. მე გულახდილად ვაცხადებ, რომ ეს სრულიად არ მწამს. ეხლანდელ მთავრობას მოსკოვში ხელთ უპყრია უზენაესი სამხედრო და ეკონომიური ძალა-უფლება და, ჩემის აზრით, სრულიად წარმოუდგენელია ამ ძალა-უფლების მისი ხელიდან ძალით გამოგლეჯა".

ასეთივე აზრი გამოთქვა „ინგლიშ რევიუ"-ს რედაქტორმა ჯერვინმა. მან განაცხადა, რომ ინგლისში „მოხერხებული უცხოელი წრეები დაჟინებით ავრცელებენ ხმებს, თითქოს საბჭოთა მთავრობა უფსკრულის წინაშე იმყოფება და მალე იძულებული გახდება მუხლმოდრეკით ითხოვოს შველა. ეს ხმები უმთავრესად გამომდინარეობს ბერლინიდან. სამწუხაროა, რომ მაშინ, როცა ჩვენ ვაფერხებდით ჩვენი საკუთარი ინტერესების დაცვას, გერმანიამ ერთ-ორად გააძლიერა ენერგია რუსეთის ბაზრის დასაპყრობად და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია". ამგვარად, კიდეც რომ გავითვალისწინოთ ერთგვარი პოლიტიკური მანევრები განცხადებებში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ, (პარლამენტის მომავალი არჩევნების გამო), მაინც ზემოთმოყვანილ გამოსვლებიდან სჩანს, რომ ინგლისის სამრეწველო წრეებში გაძლიერდა განწყობილება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების სასარგებლოდ. ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ დადებითი ფაქტი საბჭოთა კავშირისათვის.

მთელი საერთაშორისო მდგომარეობიდან ჩვენთვის გამომდინარეობს შემდეგი ძირითადი დასკვნები, პირველი: საბჭოთა კავშირმა შემდეგშიაც გადაჭრელად და მტკიცედ უნდა გაატაროს სამშვიდობო პოლიტიკა და ამ საფუძველზე საბჭოთა კავშირის ირგვლივ უნდა დარაზმოს მშრომელი მასები ყველა ქვეყანაში, მეორე: საჭიროა ყოველმხრივ გამოვიყენოთ სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი; ამაში დაინტერესებულია არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებსაც განსაკუთრებით ესაჭიროებათ ბაზრები. მესამე: კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარი და კიდევ უფრო გავაძლიეროთ მზრუნველობა ჩვენი წითელი არმიის მიმართ. დღეს, წითელი არმიის 11 წლის თავზე განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს საბჭოთა კავშირზე ახალი იმპერიალისტური თავდასხმის შესაძლებლობა. ამ პოლიტიკის გატარებით ჩვენ განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის, როგორც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ავანპოსტის, საერთაშორისო როლს.

2. მიღწევები სამეურნეო მშენებლობაში და ჩვენი შემდგომი ამოცანები

მე-15 ყრილობის შემდგომ პერიოდში ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწიეთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარების საქმეში. ამას მოწმობს ჩვენი მრეწველობის საგრძნობი ზრდა. გასულმა 1927—28 სამეურნეო წელმა დაგვანახვა, რომ ჩვენ სწრაფი ტემპით განვაგრძობთ მრეწველობის განვითარებას და ამ მხრივ სინამდვილემ გაცილებით გადააჭარბა მოლოდინს. გასულ სამეურნეო წელში ჩვენი მრეწველობის პროდუქცია 23 პროცენტით გაიზარდა ნავარაუდევ 16 პროცენტის ნაცვლად. ამასთან ერთად განსაკუთრებით ნათელი გახდა ჩვენი ჩამორჩენილობა მძიმე მრეწველობის მხრივ. ჩვენ ეხლაც ვერ მივაღწიეთ ომის წინადროინდელ დონეს, თუჯისა და ფოლადის წარმოებაში. აქ ჩვენ გადამწყვეტი გარდატეხა უნდა მოვახდინოთ უახლოეს წლებში. წარსული სამეურნეო წლის დიდ მიღწევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შრომის ნაყოფიერებამ პირველად გადააჭარბა სამუშაო ხელფასის ზრდას. ამით ჩვენ მივაღწიეთ თვითღირებულების შემცირებას დაახლოებით 5 პროცენტამდე.

1928—29 წლის სამეურნეო გეგმამ უნდა უზრუნველჰყოს ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა. უდიდეს წარმატებას ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარებაში წელს წარმოადგენს კაპიტალური მშენებლობის შესამჩნევი ზრდა მრეწველობაში. წარსულ წელთან შედარებით აქ ჩვენ კიდევ 30 პროცენტით გადავდგით წინ ნაბიჯი. მიმდინარე წელს საგრძნობლად გაიზარდა ყურადღება მძიმე მრეწველობის განვითარებისადმი, მისი ტემპის ზრდა განზრახულია 25 ნახევ. პროცენტით იმ დროს, როდესაც მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპი ნავარაუდევია 18,2 პროცენტით. მიმდინარე სამეურნეო წლის უმძიმეს ამოცანას წარმოადგენს თვითღირებულების შემდგომი შემცირება 7 პროცენტით. ეს დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების საკონტროლო გადიდებასთან 17 პროცენტით, ე. ი. შრომის ნაყოფიერების გაზრდაზე 17 პროცენტით იმასთან შედარებით, რასაც მივაღწიეთ ამ მხრივ წარსულ წელში. მაგრამ არ შეიძლება მრეწველობის დარგში მიღწეული წარმატების ზედმეტად შეფასება, იშვიათ გამონაკლისის გარდა. (ქვა-ნახშირი, ჭარხალის შაქარი) საბჭოთა კავშირის წილი მსოფლიო პროდუქციაში საგრძნობლად ნაკლებია ომის წინადროინდელ წელთან შედარებით. თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ შეურჩერებლივ ვამაღლებთ ჩვენი პროდუქციის პროცენტს მსოფლიო წარმოებაში, მაგრამ ეს პროცენტი ჯერ კიდევ მეტად დაბალია (ფოლადისათვის—3,9 პროცენტი, თუჯისათვის—3,8 პროცენტი).

ამიტომ ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის საკითხების მომავალ განხილვას საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე და საბჭოთა ყრილობაზე. ჯერ ჩვენ არა გვაქვს მთავრობის მიერ დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმა, ჩვენ გვაქვს მხოლოდ მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ გამომუშავებული წინასწარი პროექტი მრეწველობის დარგში. შემდეგში მე მოვიყვან რამდენიმე მნიშვნელოვან ციფრს ამ ხუთწლიანი გეგმიდან. დამახასიათებელია აქ ის ფაქტი, რომ წარსულში ცხოვრება ყოველთვის უსწრებდა წინ ხუთწლედით დასახულ გეგმებს. მაგალითად სინამდვილემ საგრძნობლად გადააჭარბა 1926 წელში გამომუშავებულ გეგმას. ამ გეგმით 1926—27 წელში მრეწველობის ზრდა ნავარაუდევი იყო 17 პროცენტით, ფაქტიურად კი ამ ზრდამ მიაღწია თითქმის 20 პროცენტს. იმავე გეგმის მიხედვით, მრეწველობის ზრდა 1927—28 წ. ნავარაუდევი იყო 12 პროცენტით ცოტათი მეტით, ფაქტიურად კი, როგორც ვიცით, მან თითქმის ორჯერ გადააჭარბა ნავარაუდევ ტემპს და მიაღწია თითქმის 23 პროცენტს. მიმდინარე წლისათვის წარსული გეგმით ზრდა ნავარაუდევი იყო 10 პროცენტით, ჩვენი დღევანდელი ვარაუდით კი ზრდა მიაღწევს თითქმის 22 პროცენტს. ეს იმას ამტკიცებს, რომ სოციალისტურ მრეწველობაში დიდი შესაძლებლობანი მოიპოვება საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და რომ ჩვენ უკანასკნელ დრომდე არ გვქონდა საკმაოდ ნათელი წარმოდგენა იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც ჩვენ გვაქვს.

როგორია დღევანდელი ვარაუდი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხუთწლიანი გეგმის მიხედვით? მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მეტად მნიშვნელოვან ციფრს.

ხუთწლიანი გეგმით სამრეწველო პროდუქციის ზრდა ნავარაუდევია 268 პროც.—ორნახევარჯერ უფრო მეტად, მძიმე მრეწველობის ზრდა 321 პროც. — სამჯერ უფრო მეტად. მსუბუქი მრეწველობის ზრდა—230 პროც.—ორჯერ უფრო მეტად. ამ გეგმის განხორციელება ნიშნავს იმას, რომ ხუთწლედის ბოლოში ჩვენი სამრეწველო პროდუქცია თითქმის სამჯერ მეტი იქნება მრეწველობის ომის წინადროინდელ პროდუქციაზე. ეს ლაპარაკობს იმ გრანდიოზული მუშაობის შესახებ, რომელიც მოგველის ინდუსტრიის დარგში. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევია თვითღირებულების შემცირება 32 პროც. და საქონლის გასაცემი ფასების შემცირება 24 პროცენტით. ეს ნიშნავს იმას, რომ საჭირო იქნება მუშათა კლასის ძალთა უდიდესი დაძაბვა დასახული პროგრამის განსახორციელებლად. მოვიყვან აგრეთვე იმ ცნობებს, რომლებიც უშუალოდ ეხებიან მუშათა კლასის მდგომარეობას. მუშათა კლასის რაოდენობა, ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, უნდა გაიზარდოს 740 ათასამდე, რეალური შრომის ხელფასი—56 პროცენტით, საბინაო სივრცე თითოეულ მუშაზე 5,6-დან უნდა აიწიოს 6 კვადრატულ მეტრამდე. ბოლოს, ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში სავსებით უნდა დამთავრდეს მთელი ჩვენი მრეწველობის გადასვლა შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ხუთწლიანი გეგმის განხორციელება დაკავშირებულია მუშათა კლასის მდგომარეობის საგრძნობ გაუმჯობესებასთან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, თუ რამდენად შესისხლხორცებულია ერთმანეთში სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესებთან. ჩვენ გრანდიოზულ ამოცანებს ვისახავთ მრეწველობის განვითარების დარგში. ეს გარემოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მთელ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს მეურნეობის მართველობის მხრივ. დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით საჭიროა მუშაობის გაძლიერება ორი მიმართულებით; პირველი, მრეწველობაში რაციონალიზატორული მუშაობის ყოველმხრივი გაძლიერების მიმართულებით, ხოლო, მეორე, შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ამაღლებისა და ამასთან დაკავშირებით შრომის დისციპლინის გაძლიერების მიმართულებით.

წარსული დროის განმავლობაში ჩვენ განსაზღვრულ წარმატებას მივაღწიეთ რაციონალიზაციის საქმეში. მაგალითად, ჩვენი ნავთის მრეწველობის უმეტესმა ნაწილმა უკვე დღეს მიაღწია მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნების დონეს. ქვა-ნახშირის მრეწველობის დარგში (დონბასი) ჩვენ საგრძნობლად წავიწიეთ წინ მუშაობის მექანიზაციის გზაზე, მექანიზაციის პროცენტი (მიმდინარე წელს განზრახულია მისი აწევა 32 პროცენტით) უკვე შესამჩნევად სჭარბობს სათანადო პროცენტს ინგლისის ქვა-ნახშირის მრეწველობაში (20 პროცენტი). ჩვენ გვაქვს მიღწევები კონვეიერის სისტემაზე გადასვლის საქმეში. 80-მდე საწარმო ასე თუ ისე უკვე ატარებს ამ სისტემას. მე არ ვლაპარაკობ აქ იმ საწარმოებზე, სადაც ეს უწინ აუცილებლივ იყო დაკავშირებული წარმოების პროცესთან.

რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას, აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ საქმე ვერ არის სასურველ მდგომარეობაში. მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში გაცილებით უფრო ნაკლებად გადიდდა ნაყოფიერება, ვიდრე ეს გეგმით იყო ნავარაუდევი (12 პროცენტი—17 პროცენტის ნაცვლად). ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია არასასურველი მდგომარეობა შრომის დისციპლინის მხრივ. შრომის დისციპლინის გაძლიერების საკითხი ამჟამად დიდ მნიშვნელობას ღებულობს. ამ საკითხმა გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული მიმართვა ყველა პარტორგანიზაციისადმი. ფაქტები მოწმობენ, რომ შრომის დისციპლინის დაცემა ჰპოულობს თავის გამოხატულებას, ერთის მხრივ, ადმინისტრატიულ-ტეხნიკური ხელმძღვანელობის შესუსტებაში, ხოლო მეორეს მხრივ, არასაკმარის ყურადღებაში ამ საქმისადმი ჩვენ პროფესიონალურ და აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციების მხრივ. მუშათა დიდი უმრავლესობა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებებს შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.

მაგრამ წარმოებებში ხშირად შევხვდებით განსაზღვრულ ჯგუფებს და ცალკე ელემენტების, რომლებიც დეზორგანიზატორულ გავლენას ახდენენ მთელ წარმოებაზე. აქ თავს იჩენს ისიც, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენს მრეწველობას შემატა მრავალი ახალი მუშა. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩვენს წარმოებებში მარტოოდენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მრეწველობაში მოვიდა 1.057. ათასი ახალი მუშა. მათში მრავლად მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული სოფელთან. უკანასკნელის ინტერესები ხშირად უფრო ახლოა მათთვის, ვიდრე სოციალისტური ინდუსტრიის ინტერესები. წარმოებებში მოვიდა ისეთ პირთა განსაზღვრული ნაწილი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მუშაობდნენ დამოუკიდებელ შინამრეწველთა სახით. დღეს მუშათა შორის შეხვდებით ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც გამოვიდნენ გალატაკებულ ბურჟუაზიულ ფენებიდან. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩვენ პროფკავშირებს დღემდე არ ჩაუტარებია მუშათა შემადგენლობის სულ უბრალო შესწავლაც. აგრეთვე სუსტადაა დაყენებული სოციალისტური-აღმზრდელი მუშაობა მუშათა ახალ ფენებს შორის.

ყოველივე ეს გვაიძულებს ხაზი გაუსვათ მრავალ ისეთ ფაქტს, რომლებიც მოწმობს შრომის დისციპლინის პირდაპირ გახრწნას და მუშათა ცალკე პატარა ჯგუფების სრულიად დაუშვებელ დამოკიდებულებას თავიანთ მოვალეობებისადმი წარმოებაში. პროფკავშირების ამოცანას წარმოადგენს მუშათა მატერიალურ და ყოფა-ცხოვრებითი ინტერესების ყოველმხრივი დაცვა. ამ ამოცანას შეადგენს აგრეთვე ყოველმხრივი გაძლიერება მუშათა მონაწილეობისა მრეწველობის მართვა-გამგეობის საქმეში, სამეურნეო ორგანოებში არსებულ ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან ბრძოლის საქმეში, მუშა-გამომგონებელთათვის დახმარების აღმოჩენისა და სხვ. საქმეში. ამასთან ერთად მუშათა სოციალისტური აღზრდის საქმე დღევანდელ პირობებში დაკავშირებულია ყოველმხრივ ბრძოლასთან შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, სამუშაო დროს გაცდენის აღმოსაფხვრელად, მოწყობილობისა, ინსტრუმენტებისა და მექანიზმებისადმი უგულო მოპყრობის წინააღმდეგ, ისეთი მორალური განწყობილების შესაქმნელად წარმოებებში, როცა სამუშაო დროს გამცდენი და დეზორგანიზატორული ელემენტები წარმოებაში წინასწარ განკიცხულად და განმარტოებულად იგრძნობენ თავს პროლეტარულ მასაში. ამ მხრივ ჩვენი პროფესიონალური, აგრეთვე პარტიული ორგანიზაც. მუშაობა ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

შრომის დისციპლინას წარმოებებში აშკარა გაუარესების ტენდენცია ემჩნევა. სამუშაო დროს გაცდენასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ფაქტებს, როგორიც არის სამუშაოზე დაგვიანება, ძილი მუშაობის დროს, მთვრალი მოსვლა სამუშაოზე და სხვა. მსხვილ საწარმოთა ცხოვრებიდან შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ საქმე ამ მხრივ ვერ არის სასურველ მდგომარეობაში. ცალკე შემთხვევებში ადგილი აქვს აშკარა გახრწნას მუშათა ცალკე ჯგუფებს შორის, ასე, მაგალითად, „ტორგოვო-პრომიშლ. გაზეტა"-ს ცნობით, რომლის სისწორე დღემდის არ არის უარყოფილი, „ამ რამდენიმე ხნის წინად აგებულ „კრასნი პოსტავშჩიკი"-ს ქარხანაში (მოსკოვი) მუშათა ცალკე ჯგუფებს შორის გამეფებულია სრული გახრწნილობა. შრომის დისციპლინის ტლანქი, უხეში დარღვევა, მთვრალები საწარმოში, სამუშაო დროის სისტემატიური გაცდენა ჩვეულებრივ და ყოველდღიურ მოვლენას წარმოადგენს ქარხანაში... მუშათა უდიდეს ნაწილს შეადგენენ ყოფილი შინამრეწველები, რომელთა გარდაქმნაც მეტად ძნელი აღმოჩნდა". ეს მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია უკანასკნელი პერიოდისა. რა თქმა უნდა, ეს არ ითქმის მუშათა მთელ მასაზე, მაგრამ აღნიშნული მდგომარეობა დაუშვებელია მუშათა ცალკე ჯგუფების მიმართაც. აი მეორე მაგალითი „ამო"-ს ქარხნის ცხოვრებიდან: „მუშები დაუდევრად ექცევიან მოწყობილობასა და ხელსაწყოს, რასაც ნათლად მოწმობს დაზგებისა და ინსტრუმენტების მუშათა მიზეზით დამტვრევის პროცენტი; მაგალითად, 1926—27 წ. დაიმტვრა 250.000 მანეთის, ხოლო 1927—28 წ.—861.000 მანეთის ინსტრუმენტები".

ზოგიერთ წარმოებაში ადგილი აქვს გათამამებულ ხულიგნობის ფაქტებს. ამასთან დაკავშირებით მოვიყვან ერთ მაგალითს კიდევ იმავე „ტორგოვო-პრომიშლ. გაზეტა"-დან: „დრეზნენის ფაბრიკაში მთელი ტეხნიკური პერსონალი და ყველაზე აქტიური და კულტურული მუშები ცემის მუდმივი შიშ ქვეშ იმყოფებიან. ფაბრიკაში მთლად შესწყდა კულტურული მუშაობა, არის ადგილები, სადაც გავლა შეუძლებელია. მოსალოდნელი ცემა-ტყეპის შიშით. ამ ხულიგანურ ტერორთან დაკავშირებით, საგრძნობლად შესუსტდა შრომის დისციპლინა. წარმოებაში გამეფებულია დიდი თავაშვებულობა. მუშები მთვრალი მოდიან წარმოებაში, ხშირად სმას დაზგებსა და მანქანებთან განაგრძობენ. იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხულიგნები ბატონებად გრძნობენ თავს ქუჩასა და ფაბრიკაში. ტეხნიკური პერსონალი სდუმს და ხმის ამოღებას ვერ ბედავს".

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთი ფაქტები ყოვლად დაუშვებელია საბჭოთა რესპუბლიკაში.

ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მრავალ წარმოებაში („სერპ ი მოლოტ", „ამო" და სხვ.) გახშირდა მოწყობილობის მტვრევა, ადგილი აქვს ნამდვილი მავნებლობის ფაქტებს. ჩვენში ჯერ კიდევ არ არის სისტემატიური საზოგადოებრივი ბრძოლა ასეთ მოვლენებთან, ბრძოლა, რომლის გარეშე შეუძლებელია პროლეტარული სახელმწიფოს ზრდა და განმტკიცება.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ შრომის დისციპლინის გაძლიერების აუცილებლობას საინჟინრო-ტეხნიკურ პერსონალს შორის. ამას დაადასტურებს, კერძოთ, უკვე მოყვანილი ცნობა დრეზნენის ფაბრიკის შესახებ. ამ ფაქტებთან დაკავშირებით, საჭიროა კვლავ დავადასტუროთ მუშათა წრეში ისეთი განწყობილების შექმნის საჭიროება, რომელიც შეუძლებლად გახდის ხულიგნებისა და დეზორგანიზატორების ყოფნას წარმოებაში. ამის აღნიშვნა დღეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ჩვენში ადგილი აქვს საინჟ.-ტეხ. პერსონალის ხვედრითი წონის დაცემას წარმოებაში. 1927 წელთან შედარებით, საინჟინრო-ტეხნიკურ ძალთა რაოდენობა, მუშათა მთელი რაოდენობასთან შეფარდებით, 1928 წელს შემცირდა თითქმის 17 პროცენტით. ყოველივე ეს ლაღადებს იმის შესახებ, რომ საჭიროა მტკიცე მუშაობა მუშათა მასებში უფრო ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად საინჟინრო-ტეხნიკური პერსონალისათვის წარმოებაში, რომ საჭიროა ყოველმხრივი დახმარება იმ მუშაკებისათვის ამ წრიდან, რომლებიც სამაგალითონი არიან დისციპლინის მხრივ და მოითხოვენ მტკიცე დისციპლინას წარმოებაში მომუშავე ყველა პირისაგან.

დასასრულ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საჭიროა, პარტიის გადაწყვეტილებების თანახმად, უზრუნველყოფილ იქნას ერთუფლებიანობა სამეურნეო მართველობაში და საწარმოს ოპერატიული ხელმძღვანელობის ყველა საკითხში. პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციათა აუცილებელი მონაწილეობა სამეურნეო ღონისძიებათა გატარების საქმეში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს სამმაგი ხელისუფლების ელემენტების შექმნას (უჯრედი, საქარხნო კომიტეტი, ადმინისტრაცია), რასაც შეუძლია დეზორგანიზაცია შეიტანოს წარმოების მუშაობაში. საჭიროა ნამდვილად გაძლიერდეს სამეურნეო მუშაკთა და ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის პასუხისმგებლობა თვითღირებულების შემცირებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ დირექტივების გატარების საქმეში. ამასთან უნდა გაძლიერდეს პროფესიონალური ორგანიზაციების, კერძოდ, საწარმოო თათბირების მუშაობა მუშათა შეგნებული და აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებათა გატარების საქმეში. კომუნისტები და კომკავშირელები პირველ რიგებში უნდა იდგნენ ყველა ამ ღონისძიების გატარების დროს. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ აქ არის დღეს სოციალისტური მშენებლობის უმთავრესი ამოცანები.

ეხლა გადავიდეთ სოფლის მეურნეობაზე. სოფლის მეურნეობის ტემპი უკანასკნელი წლების განმავლობაში აშკარად ჩამორჩა ინდუსტრიის განვითარების ტემპს. ამას უკვე აღნიშნავდნენ პარტიის მე-15 ყრილობაზე. მართლაც, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 50 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის სულ რაღაც 7 პროცენტით. ეს საკმაოდ ნათლად მოწმობს თუ როგორი განსხვავებაა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის განვითარების ტემპის მხრივ. უკანასკნელი წლების ცნობები სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების შესახებ აგრეთვე მოწმობენ სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპის შენელებას. მთელი სათესი სივრცე ინდივიდუალურ მეურნეობებში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში (26—28 წელი) იზრდებოდა შემდეგნაირად: 3,7 პროც., 2,5 პროც.; 0,7 პროცენტი. ეს ციფრები გვაჩვენებენ სათესი სივრცის განუწყვეტელ ზრდას, მაგრამ ამასთან ერთად ისინი გვეუბნებიან, რომ ეს ზრდა მეტად ნელი ტემპით სწარმოებს. ამასთანავე აღსანიშნავია მეტად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები, რომლებმაც გავლენა იქონიეს სათესი სივრცის შემცირებაზე. ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე იმას, რომ ამ წლების განმავლობაში საგრძნობლად გაფართოვდა სოციალისტური სექტორის—კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების—ნათესის სივრცე. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ იმ დროს, როდესაც 1928 წელს ადგილი ჰქონდა ხორბლეული კულტურების ნათესი სივრცის ერთგვარ შემცირებას სწრაფი ტემპით გაიზარდა გლეხების მიერ ტეხნიკურ და სხვა კულტურებით და ბალახით დათესილ მიწის სივრცე.

მესაქონლეობის დარგშიც ციფრები მოწმობენ ყველა ძირითადი ჯგუფის (ცხენებისა და მსხვილი რქოსანი საქონლის) ზრდას. საერთოდ, აღნიშნული სამი წლის განმავლობაში საქონლის მატება (თუ გადავიყვანთ მოზრდილ მსხვილ საქონელზე) ინდივიდუალურ მეურნეობაში ასეთი იყო: 6,6 პროცენტი, 4,8 პროცენტი (გამოტოვებულია), კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში მესაქონლეობის ზრდა გაცილებით უფრო დიდი იყო (მარტო 1928 წლისათვის მატება გამოიხატა 28 პროცენტით). გარდა ამისა, მრავალი სხვა მაჩვენებელი მოწმობს არა სოფლის მეურნეობის დეგრადაციას, არამედ პროგრესიული ელემენტების განვითარებას ამ დარგში. საგრძნობი წარმატება მრავალ მინდვრიან სისტემაზე გადასვლის საქმეში, ანეულის ზრდა, დახარისხებული ნათესის გადიდება, სასოფლო-სამეურნეო მანქანების საკმაო რაოდენობა, მინერალური სასუქის გავრცელება და სხვა,—ყოველივე ეს მოწმობს პროგრესიული ელემენტების ზრდას სოფლის მეურნეობაში.

ლაპარაკი სოფლის მეურნეობის დაქვეითებაზე სავსებით ეწინააღმდეგება ამ ფაქტებს, მაგრამ ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ღარიბ-საშუალო გლეხთა ნათესების საგრძნობ ზრდას ეხლა სულ მეტად უწყობენ ხელს ის შეზღუდვანი, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ კულაკურ მეურნეობათა ზრდის მიმართ. სოფლის ღარიბ-საშუალო გლეხთა ძირითადი მასები განაგრძობენ თავიანთი ნათესების გაფართოვებას. ეს არ შეიძლება ითქვას სოფლის ზედაფენაზე. პანიკური გოდება სოფლის მეურნეობის დაქვეითებაზე გამოხატავს კულაკების სულისკვეთებას, რომლებსაც არ შეუძლიათ არ იოცნებონ იმაზე, რომ მოსპონ საბჭოთა შეზღუდვანი სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ზრდის წინააღმდეგ.

ამავე დროს, რაც ვსთქვით სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, მოწმობს, რომ მისი განვითარების ეხლანდელი ტემპი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეეფერებოდეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის [illegible] ტემპით გატარების ინტერესებს. წარსული წლის და ამ წლის პურის დამზადების კამპანიის სიძნელენი ძალიან ამწვავებენ ამ საკითხს. ჩვენ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს საგრძნობ შედეგებს უნდა მივაღწიოთ ამ საქმეში. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლებამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი როგორც ინდივიდუალურ ღარიბ-საშუალო მეურნეობათა განსავითარებლად, ისე სოციალისტური სექტორის გასაძლიერებლად სოფლად. აი, ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც უკვე გატარებულ იქნა და კიდევ უნდა გატარდეს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა განვითარებისათვის. 1928 წ. პურის დამზადების კამპანიის წინ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო ფასების გადიდების შესახებ. ეს აუცილებელი იყო, რომ გაგვეძლიერებინა გლეხობის დაინტერესება განსაკუთრებით მარცვლეული მეურნეობის განვითარებით. ამის შემდეგ პარტიამ წამოაყენა მოსავლიანობის გადიდების ამოცანა და ამის გამო წლევანდელი თესვის კამპანია გადაიქცა პოლიტიკურ კამპანიად გლეხობის ნათესების მოსავლიანობის გასადიდებლად. დასახულია ამოცანა, რომ მოსავლიანობა უახლოესი 5 წლის განმავლობაში მთელი რიგი მასიური აგრიკულტურული ღონისძიებების გატარების საშუალებით გადიდებულ იქნას 30—35 პროცენტით. ღარიბ-საშუალო მეურნეობათა ზრდას უდიდესი სტიმული უნდა მისცეს იმ ღონისძიებებმა, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ახალ სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან დაკავშირებით. ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ძალაში სტოვებს მეურნეობათა 35 პროცენტის (ღარიბი და მცირე შეძლების საშუალო მეურნეობანი) სრულ განთავისუფლებას სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან. კანონი საგრძნობლად ამსუბუქებს საშუალო გლეხთა ძირითადი მასების საგადასახადო ტვირთს. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხა შემცირებულია 60 მილიონი მანეთით. ღარიბთა და საშუალო გლეხთა ნათესების გაფართოებული სივრცე უახლოესი ორი წლის განმავლობაში განთავისუფლებულია ყოველგვარი დაბეგვრისაგან. იმ საშუალო მეურნეობათათვის, რომლებიც აგრიკულტურულ ღონისძიებებს გაატარებენ, დაწესებულია განსაკუთრებული შეღავათები. გარდა ამისა, კანონის ძალით, სამი წლის განმავლობაში უცვლელი დარჩება დაბეგვრის ნორმები, რაიც სიმტკიცეს შეიტანს გლეხის სამეურნეო ანგარიშში. ამასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადში ინდივიდუალური დაბეგვრა რჩება კულაკების ყველაზე უფრო მდიდარი ნაწილის მიმართ; ინდივიდუალურად დასაბეგრ მეურნეობათა რიცხვი გადიდებული იქნება 3 პროცენტამდე. ამგვარად, წელს გატარდა და ტარდება მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც სტიმულს აძლევენ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა განვითარებას. მაგრამ ეს ზომები დღევანდელ პირობებში საკმაო არ არის. სოფლის მეურნეობის განვითარების მეტად ნელი ტემპი დაკავშირებულია გლეხურ მეურნეობათა ჩამორჩენილობასთან, დაქსაქსულობასთან და დაბალ ტეხნიკასთან. ამ ჩამორჩენილობისა და დაბალი ტეხნიკის ძირითადი და ერთად-ერთი საშუალებაა გლეხური მეურნ. გადასვლა მსხვილ კოლ. წარმოებაზე. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანების განხორციელება განუყრელად არის დაკავშირებული ფართო მასიურ მუშაობასთან სოფლის მეურნეობის საწარმოთა კოოპერაციაში შეკავშირებისა და კოლექტივიზაციისათვის.

ამ დარგში ჩვენ უკვე მივაღწიეთ ზოგიერთ შედეგებს. კოლმეურნეობათა რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 17 ათასიდან 37 ათასამდე. მართალია, ამან გამოიწვია კოლმეურნეობათა ერთგვარი დაქუცმაცება, კოლმეურნეობათა მშენებლობაში ბევრი დეფექტს აქვს ადგილი, მაგრამ ეს კოლმეურნეობები უკვე იზიდავენ არა მარტო ღარიბთა, არამედ საშუალო შეძლების გლეხთა ჯგუფებსაც. სწარმოებს აგრეთვე კოლმეურნეობათა განმტკიცების, მსხვილ გაერთიანებათა შექმნის პროცესი. ასე, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირის ცნობით, სალსკის ოლქში შეერთდა 31 კოლმეურნეობა და, გარდა ამისა, 22 კოლმეურნეობა მზად არის გაერთიანებისათვის. დიგორის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივ—კომბინატი (ჩრდილოეთ-ოსეთი) მოწყობილია 15 ათას ჰექტარ სივრცეზე. სლავგოროდის ოლქში 13 ათასი ჰექტარის სივრცეზე მოწყობილია კომუნა „მესამე ინტერნაციონალი". ორმა სოფელმა—კრივუშმა და კამენკამ (ბალაშოვის ოლქი) შეადგინეს ამხანაგობა მიწის საზოგადოებრივად დამუშავებისათვის 5,500 ჰექტარის სივრცეზე. ასეთივე ამხანაგობა დაარსდა ევპატორიის მახლობლად. შეიძლება დავასახელოთ უფრო დიდი კომუნები და კოლმეურნეობათა გაერთიანებანი 2—3—4 ათას ჰექტარ სივრცეზე. იმავე კავშირთა კავშირის ცნობით, სხვადასხვა რაიონებში სწარმოებს მუშაობა 22 ახალი კოლმეურნეობის გაერთიანებისათვის 291 ათასი ჰექტარის სივრცეზე. უნდა აღინიშნოს ისეთი ფაქტი, როგორიცაა ხელშეკრულების დადება „უკრსოვხოზის"-ის გაერთიანების მიერ 24 სოფელთან; ამ ხელშეკრულების ძალით, ტრაქტორით უნდა იქნას დამუშავებული 30 ათასი ჰექტარი. ხელშეკრულების დადება განზრახულია კიდევ 15—20 ახალ სოფელთან. შარშან დაიწყო კოოპერატიული ორგანიზაციების ახალი მუშაობა სატრაქტორო კოლონების შესაქმნელად, რომლებიც საადგილ-მამულო საზოგადოებებთან დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულებების საშუალებით ეწევიან გლეხების ნათესების საგრძნობი სივრცის დამუშავებას.

„ხლებოცენტრმა" და „ხლებოხსოიუზმა" შარშან მოაწყვეს 18 სატრაქტორო კოლონა 126 ტრაქტორით, რომლებმაც დაამუშავეს 6.140 გლეხური მეურნეობის თითქმის 67 ათასი ჰექტარი მიწა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ფართო მოძრაობა დაიწყო კოლექტიურ მეურნეობათა განსავითარებლად. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს კონტრაქტაციის პრაქტიკის განვითარებას. მხოლოდ მარცვლეულ კულტურების დარგში 1928—29 წ. კონტრაქტაცია შეეხება 15.500.000 ჰექტარს, გარდა ამისა ტეხნიკური კულტურების — 3.875.000 ჰექტარს და სხ. აქაც უდიდესი მუშაობა სწარმოებს, რაც პირობებს ქმნის გლეხური მეურნეობის გარდაქმნისათვის უმაღლესი ტეხნიკის და კოლექტივიზაციის ნიადაგზე. დაბოლოს, საგრძნობლად იზრდება კოლმეურნეობათა როლი. ძველ კოლმეურნეობათა განვითარებასთან ერთად დიდი ღონისძიებებს ვატარებთ ახალი მარცვლეული საბჭოთა მეურნეობების განსავითარებლად; ამ მეურნეობათა როლი ბაზარზე გასატანი მარცვლეულის პროდუქციაში საგრძნობლად უნდა გაიზარდოს უახლოეს წლებში. საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ხვედრითი წონა ბაზარზე გასატანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში, დაახლოებითი ვარაუდებით, წელს უდრის 9,3 პროცენტს, რაიც წარსული წლის ხვედრითი წონას (5,9 პროც.) აღემატება 500 პროცენტით.

ჩვენ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადავდგით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სოციალისტური პოზიციების განმტკიცების საქმეში. სოციალისტური მიწათმოქმედების ამ პირველი ნაბიჯების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. ეხლა, როდესაც აღდგენის პერიოდი სოფლის მეურნეობაში საერთოდ დამთავრდა, განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი გლეხური მეურნეობის განვითარების გზების შესახებ. გლეხურ მეურნეობას აქვს განვითარების მხოლოდ ორი გზა. ერთია კაპიტალიზმის გზა, კულაკების განმტკიცებისა და მშრომელი გლეხობის ძირითადი მასის გალატაკების გზა. საბჭოთა რესპუბლიკის გლეხური მეურნეობა ამ გზას ვერ დაადგება.

მეორე გზა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის შეიძლება იყოს მხოლოდ ის გზა, რომელიც მოასწავებს გლეხური მეურნეობის გადასვლას მსხვილ კოლექტიურ წარმოებაზე, უმაღლესი ტეხნიკის საფუძველზე.

ეს არის გლეხური მეურნეობის თანდათანობითი სოციალისტური გარდაქმნის გზა, რაც მოითხოვს რთული მანქანების, ტრაქტორების ელექტროფიკაციის და სხვათა გამოყენების გაძლიერებას გლეხური მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარების საქმეში. სხვა გზა არ არსებობს.

ამჟამად, როდესაც განსაკუთრებით იჩენს თავს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა და მეტად ნელი ტემპი, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის წინაშე მთელი სიმწვავით წამოჭრილია სოფლის მეურნეობის განვითარების მეორე—სოციალისტური გზისათვის ბრძოლის საკითხი. ამ გზით მსვლელობისათვის სოფელთან დაკავშირების ძველი ფორმების (საქონლის ბრუნვის კოოპერაციის ხელში გადასვლა და სხვ.) განვითარებასთან ეხლა საჭიროა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაკავშირების ახალი ფორმების, მუშათა კლასისა და გლეხობის დაკავშირების ახალი ფორმების ყოველმხრივ განმტკიცება.

დაკავშირების ეს ახალი ფორმებია: კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი, სატრაქტორო რაზმები და კონტრაქტაციის მეთოდები. დღემდე ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მცირე ყურადღებას აქცევდა საწარმოო ამოცანებს ეხლა მან ამ დარგში უნდა აწარმოოს მთავარი მუშაობა. ეს იმას მოასწავებს, რომ გლეხური მეურნეობისათვის უნდა დაიწყოს ახალი პერიოდი—რეკონსტრუქციის პერიოდი. ყველა სახის კოოპერაციის განვითარება სოფლად, განსაკუთრებით საწარმოო კოოპერაციის განვითარება განამტკიცებს სოციალისტური ქალაქისა და ღარიბ და საშუალო გლეხთა სოფლის დაკავშირების ახალ ფორმებს. მიმდინარე პერიოდის ამოცანა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარების შეგუება დაკავშირებას იმ ახალი ფორმების თანდათან უფრო განმტკიცების საქმესთან, რომელნიც უზრუნველჰყოფენ მასიური გლეხური მეურნეობის გარდაქმნას უმაღლესი ტეხნიკისა და კოლექტივიზმის საფუძვლებზე, ამ ორი ამოცანის შეგუება საჭიროა, როგორც სოციალიზმის ძირითადი ამოცანების ინტერესებისათვის, ისე უშუალოდ გლეხთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის. პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებანი სოფლის შესახებ აბსოლუტურად სწორად აღმოჩნდნენ. ეხლა მუშათა კლასმა მაქსიმალური ღონისძიებები უნდა მოახმაროს მასიური მუშაობის განვითარებას ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. (ტაში).



ამხ. ვ. მოლოტოვი

3. პოლიტიკური მდგომარეობა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და სახელმწიფო აპარატი

მოკლედ შევეხები ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას. პოლიტიკური მდგომარეობის შეფასების დროს უნდა დავახასიათოთ მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური განწყობილება და საკითხი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ. საკმაოდ დამახასიათებელია ის ფაქტები, რომლებიც ეხებიან მუშათა კლასის პოლიტიკურ განწყობილებას. ავიღოთ კოლხელშეკრულებათა კამპანია, ამ კამპანიის გატარებაში მონაწილეობას იღებდნენ მუშათა ფართო მასები. აქა-იქ ტროცკისტები შეეცადნენ ჩაეშალათ კოლხელშეკრულებათა კამპანია, მაგრამ მათი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. მუშათა კლასის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი საკმაოდ ახასიათებს აგრეთვე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გატარება. ცნობილია, რომ მუშები აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ საბჭოთა მთავრობის სათანადო მიმართვას და სესხზე ხელის მოწერამ გადააჭარბა წინასწარ ვარაუდს. ეხლა ჩვენ ვანხორციელებთ ღონისძიებებს მუშათა მომარაგების მოსაწესრიგებლად. მუშათა რაიონების პურით უზრუნველყოფისათვის აგრეთვე იმისათვის, რომ ადგილი არ ექნეს პურით სპეკულიაციას, ჩვენ შეუდექით მუშათა რაიონების ორგანიზაციულად მომარაგებას. საბჭოთა ხელისუფლების სათანადო ღონისძიებებს მუშები სავსებით უჭერენ მხარს. დასასრულ, საბჭოების არჩევნები, საბჭ. საარჩ. კამპ. მოწმობს, რომ მუშათა მასებში იზრდება აქტიობა, იზრდება აქტივობა, იზრდება საარჩევ. კრებებზე დამსწრეთა პროცენტი და სხვა. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას მტკიცედ და ურყევად მხარს უჭერენ მუშათა კლასის უფართოვესი მასები.

რაც შეეხება სოფელს, პროლეტარიატის პოზიცია აქაც განმტკიცდა. ცნობილია, რომ წარსული წლის ზაფხულში კომუნისტების წრეებშიაც კი გაისმოდა პანიკური ლაპარაკი გლეხობასთან კავშირის ჩაშლის შესახებ. პანიკიორებს, კერძოთ პასუხი გასცა საბჭოების უკანასკნელმა არჩევნებმა სოფლად. ცნობები საბჭოების არჩევნების შესახებ მოწმობენ, რომ გლეხთა მასების აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. არჩევნებში გლეხების მონაწილეობის პროცენტი, წარსულ კამპანიასთან შედარებით, 48-დან გაიზარდა 59-მდე. საბჭოებში გადიდდა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა, აგრეთვე კომუნისტთა პროცენტი. ამავე დროს, აქა-იქ საკმაო ყურადღება არ ექცევა საშუალო ფენებს ჩაბმას სოფლის საბჭოების მუშაობაში. ამასთან ერთად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების როლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რაც იწვევს კაპიტალისტური ელემენტების თანდათანობით განდევნას მათი წინანდელი პოზიციებიდან. სოციალისტურ სახელმწიფოს შეტევას კულაკებმა პასუხი გასცეს წინააღმდეგობის გაძლიერებით, კონტრ-შეტევაზე გადასვლის ცდით. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას მოწმობს, მაგალითად, კულაკების ტერორის ზრდა, საბჭოთა და პარტიულ მუშაკებზე თავდასხმის ფაქტები, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ცეცხლის წაკიდების გახშირება და სხვა. მიმდინარე წლის პურის დამზადების კამპანიაშიაც სცდილობენ კულაკები ჩაშალონ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებები და გეგმები.

კლასობრივი ბრძოლა ქალაქშიაც მწვავდება. შახტის საქმე მოწმობს, რომ ბურჟუაზიული კონტრ-რევოლუცია ახალი მეთოდებით ებრძვის პროლეტარიატის დიქტატურას, სცდილობს ჩაშალოს სოციალისტური მშენებლობა. იდეოლოგიური ფრონტის სხვადასხვა რაიონში ამ ბოლო დროს ადგილი ჰქონდა შემოტევის ცდას პროლეტარიატის დიქტატურაზე აშკარა და ნახევრად აშკარა იერიშების მიტანის ცდას. განწყობილებამ, სხვათა შორის თავი იჩინა აკადემიის წევრთა უკანასკნელი არჩევნების დროს. ლიტერატურასა და თეატრში უკვე გვხვდება ბურჟუაზიული ანტისაბჭოთა შეხედულებების უფრო აშკარა დაცვა. მაგრამ, მეორეს მხრივ, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ხელს უწყობს ინტელიგენციის დიფერენციაციას და მის წრეებში იწვევს განსაზღვრულ გადახრას სოციალისტური მშენებლობის სასარგებლოდ. სიმპტომატიურად უნდა ჩაითვალოს ცნობილ ნაროდნიკ—პროფესორების ჩელინცევის და ჩაიანოვის გამოსვლა. მათ ხელი აიღეს ძველ ნაროდნიკულ შეხედულებებზე—ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების დაცვაზე და სცნეს, თუმცა ორჭოფულად და არასაკმაოდ, მშენებლობის სოციალისტური გზების სისწორე მიწათმოქმედებაში, გასულ წელს ზოგიერთი ლიტერატურული თანამგზავრის რეაქციონურ პოზიციაზე გადასვლასთან ერთად, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ თანამგზავრთა მეორე ნაწილის ერთგვარ გამემარცხენებას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ძალების ზრდა პროლეტარულ ლიტერატურაში და მეცნიერ-მარქსისტთა დარაზმულობის განმტკიცება. (მაგალითად, მარქსისტ ისტორიკოსთა ყრილობა და სხვ.).

დასასრულ, სახელმწიფო აპარატის შესახებ. მუშების პოლიტიკური აქტივობის ზრდა თავის გამოხატულებას ჰპოვებს საბჭოებას საარჩევნო კამპანიაში. ამასთან ერთად, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საკითხი ამჟამად განსაკუთრებით საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა. თვითკრიტიკის ლოზუნგმა აამოძრავა ფართო მასები და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბა მუშების ახალი ფენები.

ცეკას ივნისის მიმართვაში თვითკრიტიკის გაშლის შესახებ პარტიამ მუშებისა და მთელი მშრომელი მასის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახელმწიფო ორგანოების მუშაობის შემოწმებას, სახელმწიფო აპარატის გაწმენდას უცხო ელემენტებისაგან, სახელმწიფო აპარატის მუშაობაში მუშათა ახალი ფენების ჩაბმას. ჩვენ ჯერ კიდევ სათანადოთ არ მოგვიგვარებია ფართო და ენერგიული ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატში.

ამასთან დაკავშირებით, ცეკამ ეს საკითხი წამოაყენა მომავალი საკავშირო პარტკონფერენციის დღის წესრიგის განსაკუთრებულ პუნქტად. უნდა ვიფიქროთ, რომ კონფერენცია საგრძნობლად წასწევს წინ ბრძოლას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის, ბიუროკრატიული დამახინჯებების აღმოფხვრისათვის სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში, მუშათა ახალი კადრების დაწინაურებისათვის სახელმწიფო აპარატში, აგრეთვე იმისათვის, რომ გაფართოებულ იქნას სახელმწიფო აპარატის მუშაკთა არჩევის წესი. ამასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მწვავედ სდგას მუშათა და გლეხთა მასებს შორის კულტურული მუშაობის გაშლის ამოცანა. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოთა ერთ ნაწილში შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება ჯერ კიდევ სრულებით არ არის გამოყენებული მუშებსა და მუშა ქალებს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გასაძლიერებლად. ამავე დროს კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება და გაწმენდა, მასების ფართო მონაწილეობა სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში, ახალი პროლეტარული კადრების დაწინაურება სახელმწიფო აპარატში უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე).

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციის რეზოლუცია

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 26 თებერვალი. მოსკოვის გუბერნიის მე-17 პარტიულმა კონფერენციამ მოისმინა და განიხილა ამხ. **მოლოტოვის** მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ და მთლიანად მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ-ორგანიზაციული ხაზი და მუშაობა.

კონფერენციას სავსებით სწორ გეზად მიაჩნია საკავშირო კომპარტიის (ბ) დელეგაციის ხაზი კომინტერნში. კომინტერნის მე-6 კონგრესის მიერ საერთაშორისო მდგომარეობის შეფასება განვლილმა პერიოდმა მთლიანად დაადასტურა.

სრულიად ნათლად იხატება კაპიტალიზმის სტაბილიზაციის მერყეობა და ნაწილობრივი ხასიათი, თანდათან გადიდებული წინააღმდეგობა კაპიტალისტური სისტემის შიგნით, ანტაგონიზმი უდიდეს იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, პირველ ყოვლისა, ამერიკასა და ინგლისს შორის, წინააღმდეგობათა ზრდა იმპერიალისტურ ქვეყნებსა და მათ მიერ დაჩაგრულ კოლონიებს შორის და მუშათა კლასის ბრძოლის გაძლიერება კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

საერთაშორისო პროლეტარიატს ახალი ბრძოლა მოელის. საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემაფერხებელ უაღრესად რეაქციონურ ძალას მუშათა კლასში წარმოადგენს სოციალ-დემოკრატია; იგი გადაიქცა ბურჟუაზიის აშკარა აგენტურად და იარაღად, კერძოდ იმ კაპიტალისტური რაციონალიზაციის საქმეში, რომელსაც ბურჟუაზია ახორციელებს მუშათა მასებსა და მშრომელთა ფართო ფენების ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე. ამ ახალ ბრძოლათა მომწიფების პერიოდში კომპარტიები განსაკუთრებული ენერგიით უნდა ებრძოლონ სოციალ-დემოკრატიას, გაუფანტონ მუშათა მასებს ჯერ კიდევ არსებული სოციალ-დემოკრატიული ილუზიები, მიიმხრონ სოციალ-დემოკრატიის მიმდევარი მუშები, ამავე დროს ბრძოლაში ჩააბან პროლეტარიატის ახალი, ჯერ კიდევ შეუკავშირებელი ფენები. ამ პირობებში კომინტერნის შიგნით შექმნილ მემარჯვენე ოპორტუნისტულ ტენდენციებს, რომლებიც ფრაქციული ბრძოლისა და აგრეთვე მათდამი მხდალი შემარიგებელი დამოკიდებულების ხასიათს იღებენ, განსაკუთრებული ზიანი მოაქვთ, ისინი აფერხებენ კომპარტიების ბრძოლას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ და აბრკოლებენ რევოლუციონური პროლეტარული მოძრაობის ზრდას კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამიტომ ჩვენმა მოძმე კომუნისტურმა პარტიებმა ულმობელი ბრძოლა უნდა განაგრძონ სოციალ-დემოკრატიასთან (მეტადრე მის „მემარცხენე" ფრთასთან, რომელიც მუშათა მოსატყუებლად უფრო მოხერხებულ და ამიტომ უფრო ხაზიშ მეთოდებს ხმარობს), „მემარცხენე" ტროცკისტულ ტენდენციებთან და ამავე დროს შეურიგებელი ბრძოლა უნდა აწარმოონ მემარჯვენე-ოპორტუნისტული გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, რადგან ეს გადახრა უმთავრესი საფრთხეა ეხლანდელ პერიოდში. კომპარტიების გაწმენდა მემარჯვენე-ოპორტუნისტული ელემენტებისაგან დღევანდელ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი საშუალებაა კომპარტიების კონსოლიდაციისათვის, კომპარტიებისა, რომლებიც მუშათა მასების რევოლუციონურ ბრძოლას ნამდვილ ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას უწევენ.

კონფერენცია იწონებს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ერთად-ერთი სწორი პოლიტიკაა მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, რომელიც უზრუნველჰყოფს შემდგომ სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა კავშირში; იგი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის წარმატებას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, როგორც იმ მხრით, რომ მან ამხილა იმპერიალისტების სამხედრო გეგმები, ისე იმ მხრით, რომ ქვეყნის შიგნითაც და მის გარეთაც მოახდინა მშრომელი მასების მობილიზაცია მშვიდობიანობის საქმისათვის ბრძოლის გარშემო. ამასთან ერთად, კონფერენცია აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ზრდა ჰქმნის საერთოდ ომის საფრთხეს და განსაკუთრებით იმპერიალისტურ ომის საფრთხეს საბჭ. კავშირის წინააღმდეგ; ამიტომ იგი მოუწოდებს საბჭ. კავშირის მშრომელებს გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფხიზლე და უაღრესი მზრუნველობით მოეპყრან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას, წითელი არმიის ძლიერებისა და ბრძოლის უნარიანობის ზრდას.

კონფერენცია აღნიშნავს სხვადასხვა დიდ წარმატებას, რომელსაც პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიაღწია ჩვენი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის საქმეში (კაპიტალური თანხების დაბანდებათა თვალსაჩინო ზრდა, გარდატეხა სოციალისტური რაციონალიზაციის განხორციელებაში თვითღირებულების შემცირება), სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაშლა-გაფართოების დაწყება, ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობათა გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა შემდგომ განვითარებას მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ნივთიერი და კულტურული დონის ამაღლებას, კაპიტალისტური ელემენტების დამარცხების გაგრძელებას, მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებას საშუალო გლეხობასთან და მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას ამ კავშირში პარტიის მე-15 ყრილობის ხაზის სიმტკიცე განხორციელების საფუძველზე.

ამასთან ერთად კონფერენცია აღნიშნავს, რომ პარტიას სჭირდება დაძლევა სხვადასხვა სერიოზული სიძნელეებისა, რომლებსაც ჰქმნიან ტექნიკის ჩამორჩენილობა, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა და უკიდურესი დაქუცმაცება, მატერიალურ სახსართა ნაკლებობა ქვეყნის შიგნით და შრომის ნაყოფიერების სუსტი ზრდა, თავი რომ დავანებოთ ფინანსიურ-ეკონომიური ბლოკადის ახალ ცდებს კაპიტალისტური ქვეყნების მხრით.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ითვალისწინებდა რა მთელ საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობას, სწორედ ახორციელებდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისა და მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის პოლიტიკას.

პარტიის მიერ აღებული ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელება აუცილებლად გამოიწვევს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციების შესუსტებას და ამავე დროს შესუსტდება პროლეტარული დიქტატურისა და სოციალისტური მშენებლობის პოზიციები ჩვენი ქვეყნის შიგნით, საჭიროა უაღრესი სიმტკიცით და თანამიმდევრობით განვაგრძოთ ტექნიკური რეკონსტრუქციისა და ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმე და ამ მიზნისათვის ვიხელმძღვანელოთ ლენინის ლოზუნგით: „ეკონომიურად დავეწიოთ და გაუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს".

კონფერენცია აღნიშნავს, რომ ზრდის მიღწეული წარმატებანი ინდუსტრიის საქმეში საერთოდ და მძიმე ინდუსტრიისა განსაკუთრებით, საშუალებას გვაძლევენ—ახალი ნაბიჯები გადავდგათ ერთის მხრით, პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის, მეორეს მხრით საშუალო გლეხობის მასის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში.

სოციალისტური მრეწველობა უფრო და უფრო მეტად აწვდის სოფელს არა მარტო ფართო მოხმარების საგნებს, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე იარაღს: ტრაქტორებს, მინერალურ სასუქს და სხვას. ამ ნიადაგზე ძლიერდება ქალაქისა და სოფლის საწარმოო კავშირი და იქმნება წინასწარი მატერიალური პირობები წვრილ მიწის მოქმედთა ტექნიკურად ჩამორჩენილი და დაქუცმაცებული მეურნეობის ძირიან-ფესვიანად გარდაქმნისათვის კოოპერატიულ კოლექტიურ საფუძვლებზე.

კონფერენცია იწონებს პარტიის პოლიტიკის აქტივიზაციას სოციალიზმის ახალი დასაყრდნობი პუნქტების—ახალი მძლავრი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების შესაქმნელად მიწადმოქმედებაში.

სოფლის მეურნეობის მეტის-მეტი ჩამორჩენილობა, როგორც სწორედ აღნიშნა ცენტრალურმა კომიტეტმა, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შემდგომი წინსვლის სიძნელეთა მთავარ წყაროს.

კონფერენცია უკუაგდებს კაპიტალისტურ ლაპარაკს სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ და მთლიანად იწონებს ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ღარიბები და საშუალო გლეხობის მეურნეობათა მძლავრი ამაღლება, ნათესი სივრცის თვალსაჩინოთ გადიდება და მოსავლიანობის გაძლიერება. ეს ზომები, აგრეთვე საშუალო გლეხთა საზოგადო დაბეგვრის შემსუბუქება და მტკიცედ განხორციელება ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა იმის შესახებ, რომ გაუქმდეს საგანგებო ზომები პურის დამზადების საქმეში, ხელს უწყობენ საშუალო გლეხობასთან კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

კონფერენცია საჭიროდ სთვლის ღარიბ და საშუალო გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობათათვის დახმარების განგრძობას რაც შეიძლება. ფართო მოცულობით, ამავე დროს სოფლის კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებზე სისტემატიური და შეუფერხებელი შეტევის წარმოებას. კონფერენცია აღნიშნავს, რომ მხოლოდ განხორციელებას ლენინის კოოპერატიული გეგმისას, რომლის განუყრელ ნაწილს შეადგენს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, შეუძლია საფუძვლიანად გააძლიეროს სოფლის მეურნეობა, აწიოს გლეხობის მთავარი მასის მატერიალურ--კულტურული დონე, მოსპოს მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხების კულაკური ექსპლოატაცია და სოფლის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობა ქალაქისაგან.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელება წარმოადგენს პროლეტარიატის სოციალისტური შეტევის ლენინურ პოლიტიკას ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე. ეს შეტევა, მიმართული იმ კაპიტალიზმის ფესვების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ასაზრდოებს საქონლის წვრილი წარმოება, იწვევს ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმავლობაში შექმნილი ქალაქის თუ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების აქტიური წინააღმდეგობის გაძლიერებას. იმ სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ პერიოდში, რომელსაც ბოლოს და ბოლოს კლასების მოსპობა მოსდევს, სწარმოებს კლასობრივი ბრძოლის აუცილებელი გამწვავება, ერთის მხრით, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის პოლიტიკის გარშემო უფრო და უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მთელი მუშათა კლასი, ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო ფენები, მეორეს მხრით, ახალი ბურჟუაზია და კულაკობა ცდილობენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, სოციალიზმის საქმის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში ჩააბან კაპიტალიზმისა და კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმოშობილი საუკუნოების განმავლობაში ყალბი შეხედულებებით გამსჭვალული, ჩამორჩენილი ფენები გლეხობასა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა.

თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში პარტიამ განახორციელა ლენინის ლოზუნგი — „ვისწავლოთ ვაჭრობა"-ო და თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია კერძო ვაჭრის დამარცხების საქმეში, ეხლა სიმძიმის ცენტრი საკითხისა, თუ „ვინ ვის დაამარცხებს", გადადის იმ ბრძოლისკენ, რომელიც სწარმოებს სოციალიზმისა და კაპიტალიზმს შორის საქონლის წვრილი წარმოების განვითარების შემდგომი გზებისათვის. პარტია თავის შემდგომ მუშაობაში მუდამ უნდა ითვალისწინებდეს იმ მდგომარეობას, რომ სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სწრაფად გაიზრდება ინდუსტრია და ამავე დროს მოხდება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გაშლა-განვითარება,

კონფერენცია ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ ამ პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

კონფერენცია აღნიშნავს რეალური ხელფასის შემდგომ ზრდას. მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც შედეგად მოჰყვა 7 საათის სამუშაო დღის თანდათან შემოღებას და მუშათა მასების კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ზრდას; იგი აღნიშნავს აგრეთვე მუშათა საბინაო მშენებლობის ერთგვარ წარმატებას და სხვ.

პარტიის მიერ დასახულ სახალხო მეურნეობის გაძლიერების ამოცანათა განხორციელება სოციალისტურ საფუძველზე და მუშათა კლასის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება წარმოების ყოვლმხრივი რაციონალიზაცია, თვითღირებულების აუცილებელი შემცირება თანახმად პარტიის დირექტივებისა, შრომის ნაყოფიერების ზრდა და კულტურულ რევოლუციის დარგში საჭირო ღონისძიებათა განხორციელება, კერძოდ, საჭიროა იმ ღონისძიებათა თანამიმდევრობით განხორციელება, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დაგვისახა პროლეტარული სპეციალისტების ახალი კადრების შესაქმნელად სოციალისტური მშენებლობის ყოველი დარგისათვის.

კონფერენცია საჭიროდ სთვლის, პარტიამ უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციოს რეაქციონური, ბურჟუაზიული ინტელიგენციის, კერძოდ სპეციალისტებისა და პროფესორების აქტივიზაციას, რაც უშუალოდ დაკავშირებულია საერთოდ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ჩვენს ქვეყანაში.

კონფერენცია აღნიშნავს პროფკავშირების მუშაობის სხვადასხვა მიღწევას მუშათა მასების თავის გავლენაში მოქცევისა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მხრით, მაგრამ ამოცანად უსახავს პროფკავშირებს — გააძლიერონ მუშაობა მუშების, მეტადრე იმ ახალი კადრების სოციალისტურად აღზრდისათვის, რომლებიც ებმიან წარმოებაში; ეს საჭიროა იმისათვის, რომ მრეწველობის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუშათა მთელმა მასამ, პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ ალაგ-ალაგ შესუსტებული შრომის დისციპლინა და აღმოფხვრან წარმოებაში წვრილ ბურჟუაზიული მოდუნება და დაუდევრობა, რომელსაც იჩენენ მუშათა კლასის ზოგიერთი ჩამორჩენილი ნაწილები, ამავე დროს საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა კლასობრივი ხაზის დამახინჯებასთან, ბიუროკრატიზმთან და სამეურნეო უთადარიგობასთან, რასაც ადგილი აქვს სახელმწიფო თუ პროფკავშირთა აპარატებში; ამ ბრძოლას საფუძვლად უნდა ედოს თვითკრიტიკის განვითარება და მუშების ჩაბმა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველა საქმეში, სახელმწიფო აპარატის ენერგიული წმენდა კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან და პროლეტართა ახალი კადრების უფრო ფართოდ დაწინაურება სახელმწიფო აპარატში.

ინდუსტრიის განვითარების აუცილებელი ძლიერი ტემპი დაკავშირებულია სხვადასხვა სერიოზულ სიძნელეთა დაძლევის საჭიროებასთან. ეს სიძნელენი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში აძლიერებენ მოსახლეობის წვრილ-ბურჟუაზიული ფენების მერყეობას და ეს მერყეობა შეაქვთ თვით მუშათა კლასის ზოგიერთ ნაწილებში, იგივე მერყეობა გამოხატულებას ჰპოვებს ჩვენი პარტიის ზოგიერთ საფეხურზედაც. პარტიამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ტროცკიზმს, დასძლია არსებითად ტროცკისტული იდეოლოგია თავის რიგებში და პარტიის მე-15 ყრილობაზე გააძევა პარტიიდან ტროცკისტები, როგორც უცხო ელემენტი. თავის ევოლუციაში ტროცკიზმი, რომელიც „მემარცხენე-კომუნისტური" ფრაზეოლოგიით ნიღაბს ეფარება, ფაქტიურად გადაიქცა წვრილ ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლუციონურ მიმდინარეობად.

კონფერენცია იწონებს ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულნი ტროცკისტების, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტების, წინააღმდეგ. ამასთან ერთად კონფერენცია აღნიშნავს ტროცკისტული და ნახევრად ტროცკისტული ტენდენციების ერთგვარ გამოხატულებას პარტიის შიგნით, იგი საჭიროდ სცნობს მედგარი ბრძოლის განგრძობას ამ ტენდენციებთან, მათთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ, აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ საკმაოდ არ შეაფასონ ტროცკიზმის კონტრრევოლუციონური როლი.

ოპორტუნიზმის ტროცკისტული სახე პარტიამ არსებითად უკვე გამოამჟღავნა. დღევანდელ პერიოდში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს აშკარად ოპორტუნისტული მემარჯვენე გადახრა. პარტიამ ენერგიული ბრძოლა უნდა აწარმოოს ორ ფრონტზე; იგი განსაკუთრებით უნდა შეებრძოლოს მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრას და მასთან შემარიგებლობას.

მემარჯვენე გადახრის მთავარი საფრთხეს შეადგენს ის, რომ მისი პოლიტიკური ხაზი ხელფეხს გაუხსნის კაპიტალისტურ ელემენტებს. ვინაიდან მემარჯვენე გადახრის რაობას შეადგენს ინდუსტრიის გაშლა-განვითარების სწრაფ ტემპზე ხელის აღება, სინამდვილეში სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გაშლა-განვითარებაზე ხელის აღება და მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უარყოფა გლეხობასთან კავშირში. მემარჯვენე გადახრის პოლიტიკას საფუძვლად უდევს არასწორი მთავარი შეხედულება: ვითომც კულაკი შეეზრდება სოციალიზმს. ეს შეხედულება სინამდვილეში გულისხმობს კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის უარყოფას და სოციალიზმის მშენებლობის ჩაშლას. მემარჯვენე გადახრა თავისი პოლიტიკური ტენდენციით რაზმავს წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებს პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ.

პარტია უნდა ითვალისწინებდეს გადამწყვეტი ბრძოლის საჭიროებას მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, როგორც მთავარ საფრთხის წინააღმდეგ სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ ეტაპზე; ამავე დროს იგი ენერგიულად უნდა ებრძოლეს იმ მერყეობას მე-15 ყრილობის ხაზსა და მემარჯვენე გადახრას შორის, რომელიც ნათლად იჩენს თავს უკანასკნელ პერიოდში. პარტიამ გადაჭრით უნდა ამხილოს შეუწყნარებელი მერყეობა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის იმ ტემპის საკითხში, რომელსაც ახორციელებს პარტია, მიუხედავად იმისა, თუ ამ მერყეობას რა პანიკური ლაპარაკი ჰფარავს სახალხო მეურნეობის ვიწრო ადგილებზე გეზის აღების, სოფლის მეურნეობის დეგრადაციის და სხვათა შესახებ. პარტია უნდა შეებრძოლოს იმ ელემენტებს, რომლებიც მერყეობას იჩენენ მთავარ საკითხში—გავატაროთ თუ არა გლეხთა მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის კურსი და მით კლასების მოსპობის კურსიც. თუ დავტოვეთ პოზიციები კაპიტალისტური ელემენტებისა და წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის შემოტევას ზედაგავლენით, ე. ი. ღარიბი და საშუალო გლეხობის მასები ხელში ჩაუგდოთ კულაკსა და კაპიტალიზმს.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში განსაკუთრებით მავნებელია მერყეობა ორ ერთი მეორის საწინააღმდეგო შეურიგებელ ხაზს შორის; ეს ხაზები—კულაკობაზე და კაპიტალისტურ ელემენტებზე გაძლიერებული შეტევის პოლიტიკა და სოციალიზმთან კულაკის მშვიდობიანი შეზრდის თეორია, რაც სინამდვილეში გულისხმობს კულაკობაზე შეტევის უარყოფას, კაპიტალისტური ელემენტებისათვის ხელფეხის გახსნას და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენას. პარტია გადაჭრით უნდა შეებრძოლოს იმ ელემენტებს, რომლებიც ბიუროკრატიზმთან პარტიის გაძლიერებული ბრძოლისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა-განვითარების პერიოდში იმეორებენ ტროცკისტულ ცილისწამებას პარტიის ბიუროკრატიზაციის შესახებ და მით ამჟღავნებენ, რომ ისინი მოწყვეტილნი არიან პარტიულ ცხოვრებას და მუშათა მასებს. პარტია უნდა შეებრძოლოს იმ ელემენტებს, რომლებიც დიპლომატიურ მფარველობას უწევენ მემარჯვენე გადახრასა და შემარიგებლებს კომინტერნში, რაც სინამდვილეში ნიშნავს კომპარტიების ბოლშევიკური კონსოლიდაციის ჩაშლას და მით სოციალ-დემოკრატიისათვის ზურგის გამაგრებას.

კონფერენცია სცნობს, რომ პარტია ვერ შეიწყნარებს მერყეობას მე-15 ყრილობის ხაზსა და მემარჯვენე გადახრას შორის. პარტიის თვითეული წევრი შეგნებულად და მტკიცედ უნდა ახორციელებდეს ბოლშევიზმის გენერალურ ხაზს, ნათლად უნდა ითვალისწინებდეს, რომ მერყეობას ამ გენერალური ხაზიდან აუცილებლად მიჰყავს წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნისტულ ჭაობამდე.

კონფერენცია სცნობს, რომ მემარჯვენე გადახრის პოლიტიკური გაფორმება განსაკუთრებულ ხაზად, რომელიც ძირიან-ფესვიანად განსხვავდება პარტიის ხაზისაგან, და მერყეობის გაძლიერება ამ გადახრისაკენ ჰქმნის ამჟამად აშკარა ფრაქციული ანტიპარტიული მოქმედების საფრთხეს მემარჯვენეებისა და მათდამი შემარიგებელი ელემენტების მხრივ.

კონფერენცია დიდ მნიშვნელობას აძლევს და საჭიროდ სთვლის, რათა ცენტრალურმა კომიტეტმა ეხლანდელ ძნელ მომენტში უზრუნველჰყოს რკინისებური ბოლშევიკური დისციპლინის უყოყმანოდ დაცვა პარტიის ყოველი წევრის მხრით, მიუხედავად იმისა, თუ რა თანამდებობა უჭირავს მას. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პარტიის ყოველმა წევრმა, სხვათა შორის, ცენტრალური კომიტეტის წევრმა, აუცილებლად შეასრულონ დაკისრებული მუშაობა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და კონტროლით.

კონფერენცია აღნიშნავს მუშათა მასების პოლიტიკური აქტივობისა და შეგნების ზრდას, იგი საჭიროდ სცნობს ცენტრალური კომიტეტის დირექტივების მტკიცედ განხორციელებას იმის შესახებ, რომ პარტიაში გაძლიერდეს წარმოების მუშათა, მოჯამაგირეთა და კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკების მიზიდვა. ამავე დროს ენერგიულად უნდა გაიწმინდოს პარტია გახრწნილი, მიტმასნებული, გაბიუროკრატებული და კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან. კონფერენცია საჭიროდ სცნობს, რომ უახლოეს ხანში განხორციელდეს პარტიის რიგების გენერალური წმენდა.

გუბერნიის მე-17 პარტიული კონფერენცია აცხადებს, რომ იდეურად შეკავშირებული, ბოლშევიკურად ურყევი მოსკოვის ორგანიზაცია ცენტრალური კომიტეტის მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენს პარტიის გენერალური ბოლშევიკური ხაზის განხორციელების საქმეში.

მე-17 პარტკონფერენცია მოუწოდებს მთელ მოსკოვის ორგანიზაციას—განაგრძოს გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარ გადახრასთან მე-15 ყრილობის ხაზიდან, მოახდინოს მუშათა ახალი მასების და მშრომელი გლეხობის მობილიზაცია პარტიის დროშის ქვეშ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს ლენინურ პარტიას!

გაუმარჯოს მის ბოლშევიკურ ცენტრალურ კომიტეტს!

4. პარტია და ბრძოლა გენერალური ბოლშევიკური ხაზისათვის

პარტიის მე-15 ყრილობამ ძირითადი ჯამი გაუკეთა ტროცკიზმთან ბრძოლას. პარტიამ შეუთავსებლად სცნო ტროცკისტული იდეოლოგია ბოლშევიკურ ორგანიზაციაში ყოფნასთან. პარტია ამაში სავსებით მართალი აღმოჩნდა. მე-15 ყრილობის დროიდან განვლილი ეტაპი ცხადჰყოფს, თუ რად გადაიქცა ტროცკიზმი. მისი საფუძველი იყო და არის იმის რწმენის უქონლობა, რომ ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით მისი პოლიტიკა იყო და არის ის, რომ იგი უარყოფს კავშირს საშუალო გლეხობასთან, როგორც პროლეტარული დიქტატურის საფუძველს საბჭოთა კავშირში. მისი დამოკიდებულება მუშათა კლასისადმი გამოხატა მუშათა ცალკე ფენების ცეხური ინტერესების და მუშათა კლასის საერთო ინტერესების დაპირისპირების პოლიტიკაში. კოლხელშეკრულებათა კამპანიამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ თავისი პოლიტიკით ტროცკიზმი მთლიანად დადგა მენშევიკურ გზას. თავის ანტიპროლეტარულ პოლიტიკას ტროცკიზმი ისევ ფარავს „ბოლშევიკ-ლენინელთა ოპოზიციის" სახელით. მაგრამ ტროცკიზმმა მარტო კავშირი არ გასწყვიტა პარტიასთან, იგი იმის ცდასაც კი შეუდგა, რომ მოეწყო ანტისაბჭოთა ელემენტების გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად (ამას უწოდებენ „მასების ჩარევას" პარტიული „რეფორმის" საქმეში). ტროცკიზმი გადაიქცა ანტისაბჭოთა ორგანიზაციად, წვრილბურჟუაზიულ კონტრ-რევოლუციონურ ჯგუფად. ძველმა წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა ესერებმა და მენშევიკებმა ყოველგვარი ნდობა დაჰკარგეს ჩვენს ქვეყანაში. მათ მაგიერ გამოსვლას სცდილობს ტროცკისტული ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს რაღაც ახალი წვრილბურჟუაზიული პარტიის მსგავს ორგანიზაციას. სინამდვილეში ეს ჯგუფი წარმოადგენს იმ წვრილბურჟუაზიული ელემენტების ორგანიზაციას, რომელნიც შეურიგებლად, მტრულად არიან განწყობილნი პროლეტარული დიქტატურის მიმართ. ამიტომ ტროცკისტული ორგანიზაცია ჩვენ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ სხვა რამედ, თუ არა ანტიპროლეტარულ, კონტრ-რევოლუციონურ ჯგუფად (ტაში).

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიაში დღემდე მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომლებშიაც აღმოფხვრილი არ არის შემარიგებელი დამოკიდებულება ტროცკიზმისადმი. ეს ელემენტები იჩენენ იმის სურვილს, რომ პარტიის ეხლანდელი ბრძოლა ორ ფრონტზე, მთავარი ყურადღების მიპყრობით უპირველეს საფრთხეზე—მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაზე—შესცვალონ ცალმხრივი ბრძოლით მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ; ისინი ივიწყებენ ეგრედ წოდებული „მემარცხენე" ტროცკისტული ტიპის განწყობილებების არსებობას, რომელნიც გამოცოცხლებასაც კი სცდილობენ. ეს იწვევს პარტიის ხაზის დამახინჯებას. ამავე დროს კი უკანასკნელ წლებში პარტია არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის მოასწავებს ბრძოლას ორ ფრონტზე, ერთის მხრივ—ბრძოლას საშუალო გლეხობასთან კავშირის იდეის შეუფასებლობის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ—ბრძოლას ამ კავშირში მუშათა კლასის ხელმძღვანელობის იდეის შეუფასებლობის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც პარტიამ ჩაატარა უდიდესი პოლიტიკური მუშაობა ტროცკიზმის წინააღმდეგ და თავისი რიგებიდან გააძევა ტროცკისტული ელემენტები, მთავარ ამოცანად, მიელ პირობებთან დაკავშირებით, გადაიქცა ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და აშკარა ოპორტუნისტულ გადახრასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. პარტია განაგრძობს ბრძოლას ტროცკისტული და ნახევრად-ტროცკისტული განწყობილებების გამოცოცხლების ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ თავის რიგებში, მაგრამ ამავე დროს მთავარ ყურადღებას აქცევს ბრძოლას მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ.

რაში მდგომარეობს მემარჯვენე გადახრის განსაკუთრებული საშიშროება ეხლანდელ პირობებში? იმაში, რომ მემარჯვენე გადახრა ძირს უთხრის იმ მუშაობას, რომელსაც აწარმოებს პარტია ძირითადი სიძნელეების გადასალახავად და სოციალიზმის მშენებლობის იმ ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად, რომელნიც წამოჭრილნი არიან ამჟამად ჩვენს წინაშე.

ამასთან დაკავშირებით, მე შევჩერდები რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მომენტზე.

1) ინდუსტრიალიზაციის ტემპის შესახებ

პარტია ახორციელებს ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს, რაც მოითხოვს მუშათა კლასის ძალების უდიდეს დაჭიმვას. ამ ტემპს უწინარეს ყოვლისა გვკარნახებს მთელი საგარეო მდგომარეობა. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მშვიდობიანი პირობები ინდუსტრიის რაც შეიძლება სწრაფი განვითარებისათვის; უნდა გვახსოვდეს, რომ თანდათან უფრო გვემუქრება იმპერიალისტების თავდასხმა. ამ გაძლიერებულ ტემპს გვკარნახებს აგრეთვე შინაგანი მდგომარეობა, საქონლის ნაკლებობის შენელება, ხოლო შემდეგში ამ ნაკლებობის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალური მშენებლობის გაძლიერებული განვითარებით მრეწველობაში, ჩამორჩენილი მძიმე ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარების და მსუბუქ ინდუსტრიის პროდუქციის შემდგომი ზრდით. ინდუსტრიალიზაციის უდიდესად გაძლიერებულ ტემპს გვკარნახებს ის, რომ კავშირი სოფელთან ეხლა უნდა განვამტკიცოთ არა მარტო სამომხმარებლო საქონლის გაძლიერებული მიწოდებით სოფლისათვის, არამედ სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორების, ქიმიური სასუქის და სხვ. მიწოდების ყოველმხრივი გაძლიერებითაც. ჩვენს წინაშე წამოიჭრა მიწადმოქმედებაში სოციალისტური ელემენტების განვითარების ამოცანა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა მივაწოდოთ სოფელს მრეწველობის ისეთი პროდუქტები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სოფლის გადასვლას მსხვილ კოლექტიურ წარმოებაზე, ახალი ტექნიკის საფუძველზე. ტემპის საკითხში მემარჯვენე გადახრა სდგას პარტიის საწინააღმდეგო პოზიციაზე. მემარჯვენე გადახრის წვრილბურჟუაზიული ბუნება თავს იჩენს იმით, რომ მისი ხაზი სინამდვილეში მოასწავებს ხელის აღებას ბრძოლაზე სახალხო მეურნეობაში არსებულ დაბრკოლებათა (საშენებელი მასალის ნაკლებობა, სავალიუტო რესურსების დაძაბული მდგომარეობა და სხვ.) გადასალახავად. იმის ნაცვლად, რომ დარაზმოს მუშათა კლასის ძალები ინდუსტრიალიზაციის გზაზე წამოჭრილ დაბრკოლებათა გადასალახავად, მემარჯვენე გადახრა უფრთხის ამ დაბრკოლებებს. იმის ნაცვლად, რომ გააძლიეროს პარტიის, მუშათა კლასის და სოფლის მშრომელი მასების ძალთა მობილიზაცია დანაკლისის მატერიალური საშუალებების გადიდებისათვის, რეზერვებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მთელს სამეურნეო და სახელმწიფო აპარატში გაძლიერებული ეკონომიისათვის საბრძოლველად, მემარჯვენე გადახრას მიჰყავართ ინდუსტრიალიზაციის საქმეზე ხელის აღებამდე, მისი ტემპის შენელებამდე, ამით მემარჯვენე გადახრა ძირს უთხრის სოციალისტურ მშენებლობას. ასეთივე დანიშნულება აქვს მემარჯვენე ელემენტების ლაყბობას იმის შესახებ, თითქოს ჩვენში ხდება სოფლის მეურნეობის დეგრადაცია. პანიკური ლაყბობა სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ მათ იმისათვის სჭირდებათ, რომ დაასაბუთონ ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელება, ამავე დროს კი ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელება მარტო უმაღლეს ტექნიკაზე გადასვლის შეფერხებას არ მოასწავებს.

მემარჯვენე გადახრის ხაზი მოასწავებს სოფლის მეურნეობის განვითარების შეფერხებას, იგი შეუძლებელს ხდის ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების გამოსვლას საწარმოო ძალთა განვითარების ახალ სოციალისტურ გზაზე. ტემპის საკითხში პარტია ვერავითარ მერყეობას ვერ დაუშვებს. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ჩვენ არა თუ ვანხორციელებთ ინდუსტრიის განვითარების პარტიის მიერ აღებულ ტემპს, არამედ პრაქტიკულად გადაჭარბებითაც კი ვასრულებთ ჩვენს გეგმებსა და ვარაუდებს. მხოლოდ მედგარი, ენერგიული და შეუპოვარი ბრძოლა პარტიის მიერ აღებული ინდუსტრიალიზაციის ტემპისათვის და ამ ტემპის შესაძლებელი გაძლიერებისათვის ჰქმნის ნამდვილ წინასწარ პირობებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც ჩვენი მეურნეობიდან კაპიტალიზმის ფესვების აღმოსაფხვრელად. მერყეობა ამ საკითხში, დათმობანი ტემპის საკითხში მოასწავებენ მერყეობას გენერალური ბოლშევიკური ხაზის გატარებაში და წარმოადგენენ წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური უხასიათობის ერთ-ერთ უფრო ტიპიურ გამოხატულებას. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის საკითხში ბოლშევიკებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური სიმტკიცე, მაქსიმალური შეუპოვრობა.

2) სოფლის მეურნეობის განვითარების გზების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი მეტად ჩამორჩება ინდუსტრიის განვითარების ტემპს. სოფლის მეურნეობის ეს ჩამორჩენილობა გადაიქცა მთავარ საფრთხედ ინდუსტრიალიზაციის საქმის განხორციელებისათვის. პარტიამ დაისახა ამოცანა—მიაღწიოს გადამწყვეტ გარდატეხას ამ საქმეში. ეს სწრაფად არ კეთდება. მაგრამ საკითხი მიწადმოქმედების განვითარების გაძლიერების ძირითადი გზების შესახებ სავსებით ნათლად უნდა დავსვათ. ამ საკითხში პარტიის ხაზი ძირიანად განსხვავდება მემარჯვენე გადახრის ხაზისაგან. პარტია ისახავს ამოცანას—ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარებას. ეხლა განსაკუთრებით საჭიროა ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარებისათვის სტიმულის შექმნა, ამ განვითარებისათვის სახელმწიფო ორგანოების მიერ ხელის შეწყობა, სოფლად კოოპერაციის მუშაობის ყოველმხრივი გაშლა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარების მიზნით. ამ საქმეს პარტია აკავშირებს სოფლის მეურნეობაში სოციალისტური პოზიციის განმტკიცების საქმესთან. აქედან გამომდინარეობს კულაკის გაძლიერებული შეზღუდვის პოლიტიკა, კაპიტალისტური ელემენტების ზრდის გაძლიერებული შეზღუდვის პოლიტიკა. ამ საქმისათვის არის საჭირო აგრეთვე ყოველმხრივი ხელის შეწყობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზრდისათვის, სატრაქტორო რაზმების მუშაობის განვითარება, კონტრაქტაციის პრაქტიკისა და ყველა იმ ღონისძიებების გაფართოება, რომლებიც მოასწავებენ საწარმოო სოციალისტური პოზიციების განმტკიცებას სოფლად და სახელმწიფოს გეგმიან ზეგავლენას სოფლის მეურნეობაზე. მიწადმოქმედების განვითარების ეს გზა დაკავშირებულია უდიდეს სიძნელეთა გადალახვასთან, მედგარ ბრძოლასთან სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობისა, დაქუცმაცებისა და უკულტურობის წინააღმდეგ და სოფლად კულაკურ - ექსპლოატატორული ელემენტების ზრდის შეზღუდვის გაძლიერებასთან.

მემარჯვენე გადახრა ამ საკითხში სდგას მეორე პოზიციაზე, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება პარტიის პოზიციას. ბოლოს და ბოლოს მემარჯვენე გადახრის რაობა განიხაზღვრება შემდეგით: რაც შეიძლება ნაკლები მატერიალური ხარჯები მოვახმაროთ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, შევანელოთ კონტრაქტაციების განვითარებისა და ახალი სატრაქტორო რაზმების მოწყობის ტემპი, უკან დავიხიოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და ტრაქტორების მშენებლობის და სხვა საქმეში. სამაგიეროდ მემარჯვენე გადახრა მეორე ხაზით ხელს უწყობს მთელი სოფლის განვითარების სტიმულების შექმნას, ე. ი. კერძოდ პირველ რიგში კულაკური მეურნეობისათვის ფართო ასპარეზის შექმნას. მემარჯვენე გადახრა მოასწავებს კულაკური მეურნეობისათვის ხელფეხის გახსნას, ხელფეხის გახსნას თავისუფალი, სახელმწიფოს მიერ შეუზღუდავი ვაჭრობისათვის, მეურნეობის კაპიტალისტური ძალებისათვის. მემარჯვენე გადახრის პოლიტიკა ძირიანად ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკას, ამიტომ ჩვენს პარტიაში არავითარ მერყეობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი სოფლის მეურნეობის განვითარების გზების საკითხში. პარტიას არ შეუძლია უაღრესად ენერგიული და დაუზოგავი წინააღმდეგობა არ გაუწიოს კულაკური მეურნეობის ზრდისათვის ხელფეხის გახსნის პოლიტიკას, რომელიც ბოლოს და ბოლოს მოასწავებს ბურჟუაზიულ ურთიერთობათა აღდგენას. პარტიამ უნდა გაილაშქროს ყოველგვარი მერყეობის წინააღმდეგ, რომელიც კი თავს იჩენს მის რიგებს შორის ამ ძირითად საკითხში.

3) კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ

პროლეტარიატის სოციალისტური შეტევის პოლიტიკა მოასწავებს კაპიტალისტური ელემენტების განდევნას ძველი პოზიციებიდან. შეუძლებელია სოციალიზმის წინსვლა იმის გარეშე, რომ მას მედგარი წინააღმდეგობა არ გაუწიონ კაპიტალისტურმა ელემენტებმა. სწორედ ეხლანდელ სტადიაში ჩვენ ვხედავთ კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლის გამწვავებას, აქ საჭიროა სავსებით გარკვეული ხაზი. ვინც ეხლანდელ ეტაპზე უარჰყოფს სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის კლასობრივი ბრძოლის გამწვავების აუცილებლობას, ის ამით კულაკის წინააღმდეგ შეტევის პოლიტიკას სცვლის საწინააღმდეგო პოლიტიკით, ის იმსჭვალება იმ თეორიით, რომელიც ქადაგებს კულაკის მშვიდობიან შეზრდას სოციალიზმთან. აშკარაა, რომ ეს უკანასკნელი თეორია სრულიად შეუთავსებელია პარტიის ხაზთან. მიწადმოქმედებაში სოციალისტური პოზიციების განმტკიცებას პარტია ახორციელებს იმ გზით, რომ ეყრდნობა ღარიბ გლეხობას და მტკიცე კავშირს ამყარებს საშუალო გლეხთან კულაკის წინააღმდეგ, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ. კულაკის წინააღმდეგ შეტევის პოლიტიკასა და კულაკის სოციალიზმთან მშვიდობიანად შეზრდის თეორიას შორის უფსკრულია. ყოველი კომუნისტის მოვალეობას წარმოადგენს ბრძოლა სოციალიზმთან კულაკის მშვიდობიანად შეზრდის თეორიის წინააღმდეგ. ამ საკითხში პარტია ვერავითარ მერყეობას ვერ დაუშვებს. კულაკისა და კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის პოლიტიკა არის სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკა. კულაკის სოციალიზმთან მშვიდობიანად შეზრდის თეორია სინამდვილეში მოასწავებს ხელის აღებას კულაკის წინააღმდეგ შეტევაზე და ნიშნავს კაპიტალისტური ელემენტებისათვის ხელფეხის გახსნას და ბოლოს და ბოლოს ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენას. ყოველი კომუნისტისათვის პოზიციის არჩევანი ამ საკითხში სავსებით ნათელია (ტაში).

4) პარტია და ბიუროკრატიზმთან ბრძოლა

ეხლა ისე, როგორც არასოდეს, პარტია მუშათა კლასის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ბიუროკრატიზმთან ბრძოლას. ამაში პარტია ეყრდნობა მუშათა მასების აქტივობის ზრდას და პარტიულ ცხოვრებაში და ყველა პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში მუშების მონაწილეობის ზრდას, თვითკრიტიკის ლოზუნგი გადაიქცა პარტიის ერთ-ერთ ძირითად ლოზუნგად. ეს ლოზუნგი ეხლა თანდათან უფრო იქცევა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან ბრძოლის გაძლიერების საშუალებად, სახელმწიფო ორგანოების კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან გაწმენდის საშუალებად და ამასთან ერთად თვით პარტიის ცხოვრებაში ყოველგვარი ნაკლისა და ბიუროკრატიული ელემენტების გამომჟღავნების საშუალებად თვითკრიტიკის ლოზუნგი თანდათან უფრო უწყობს ხელს მასების მობილიზაციას პარტიის გენერალური ლენინური ხაზის პრაქტიკულად გატარებისათვის საბრძოლველად. ამიტომ განმეორება ტროცკისტული ცილისწამებისა პარტიის ბიუროკრატიზაციის შესახებ ეხლანდელ პირობებში მოასწავებს მხოლოდ პარტიისა და მუშათა კლასისაგან მოწყვეტას. ასეთი ცილისწამება, ასეთი ბრალდება წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას პარტიასთან უთანხმოების დასაფარავად, იმის მისწრაფებას, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი გადააქციონ პარტიის ლენინური ხაზის შეცვლისათვის ბრძოლის ლოზუნგად. რა თქმა უნდა, ამ საკითხში პარტიამ გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ყოველგვარ მერყეობას, ყველა ბრალდებას ბიუროკრატიზაციაში მან უნდა უპასუხოს პარტიული მასების აქტივობის გაძლიერებით, პარტიაში ახალი მუშების ჩაბმით, თავისი რიგებიდან უცხო, ბიუროკრატიული, გახრწნილი ელემენტების განდევნით.

5. ბრძოლა ბოლშევიკური ხაზისათვის კომინტერნში

მე-6 კონგრესმა აღნიშნა, რომ კომპარტიების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ამჟამად გაძლიერებული ბრძოლა მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ. კაპიტალისტური სტაბილიზაციის პირობებში მემარჯვენე ელემენტების გამოცოცხლების ცდა კომპარტიებში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ასეთი განწყობილებების ზრდა ნიშნავს იმას, რომ სოციალ-დემოკრატიას ჯერ კიდევ აქვს გავლენა კომპარტიების ზოგიერთ უმნიშვნელო ფენებში. ამ გავლენის დაძლევა საჭიროა იმისთვის, რომ გაძლიერდეს კომუნიზმის ბრძოლა რეფორმიზმის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობს მუშათა მასებში, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად იგი წარმოადგენს იმპერიალიზმის აგენტურას მუშათა კლასში. მისი „მემარცხენე" ფრთა მიმართავს განსაკუთრებით მოხერხებულ მანევრებს—მუშების მოტყუების რეფორმისტულ დემაგოგიურ ხერხებს. ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ კომინტერნის სექციებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. ეს იმიტომ, რომ იზრდება პირობები ახალი რევოლუციონური აფეთქებისათვის. ეს ბრძოლა დაკავშირებულია ოპორტუნისტული ტენდენციების არსებობასთან თვით კომპარტიებში. ამიტომ ამ ბოლო დროს კომპარტიებში, განსაკუთრებით გერმანიის კომპარტიაში, საგრძნობლად გამწვავდა ბრძოლა მემარჯვენე ელემენტებისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით მემარჯვენეების ხელმძღვანელთა გამორიცხვა კომპარტიიდან აუცილებელი პირობაა კომპარტიის გაწმენდისათვის, აგრეთვე ბრძოლა მემარჯვენეებისადმი შემარიგებლობის წინააღმდეგ აუცილებელი პირობაა კომინტერნის ბოლშევიზაციისათვის. ზოგიერთები ცდილობენ ბრძოლა კომპარტიების გასაწმენდად ოპორტუნისტებისაგან წარმოგვიდგინონ, როგორც კომინტერნის გახრწნა. ნამდვილად კი ამ პოზიციის აზრი მდგომარეობს მემარჯვენეთა და შემარიგებლობის დიპლომატიურ დაცვაში. აშკარაა, რომ მერყეობა ამ საკითხში ნიშნავს კომინტერნის მეექვსე კონგრესის ხაზიდან გადახვევას. მემარჯვენე უკლონისტებს, რომელთაც გასწყვიტეს კავშირი კომუნიზმთან, ჯერ უშველის ლაყბობა კომინტერნის გახრწნის შესახებ, მაშინ, როცა სინამდვილეში კომინტერნის რიგები მხოლოდ იწმინდებიან ნახევრად სოციალ-დემოკრატიული ელემენტებისაგან, ისეთი ელემენტებისაგან, როგორიც არის, მაგალითად, ბრანდლერი და ტალგეიმერი. ყოველი კომუნისტისათვის აშკარაა, რომ მხოლოდ გადამწყვეტი ბრძოლა გადახრების წინააღმდეგ ამ საკითხში უზრუნველჰყოფს მემარჯვენე საფრთხის დაძლევას, კომინტერნის რიგების გაწმენდას ოპორტუნისტული ნაგვისაგან.

ყველა ზემოდჩამოთვლილ საკითხში ჩვენი პარტიის ცალკე წევრებს შორის თავი იჩინა ერთგვარმა მერყეობამ. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპორტუნისტული განწყობილება ჯერ არ არის სავსებით აღმოფხვრილი ჩვენს რიგებში. ასეთმა მერყეობამ შეიძლება მხოლოდ დააჩქაროს იმ განსაკუთრებული ხაზის ჩამოყალიბება, რომელიც ნიშნავს ლენინიზმისაგან დაშორებას ძირითად საკითხებში. ამ განსაკუთრებული ხაზის ჩამოყალიბება საფრთხეს წარმოადგენს პარტიისათვის, რამდენადაც მემარჯვენე საფრთხის ბუნება ბოლომდე არ იქნება გამოაშკარავებული ფართო პარტიული მასის წინაშე ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს. ლენინი ამბობს: „როცა ლაპარაკია ოპორტუნიზმთან ბრძოლაზე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ მთელი თანამედროვე ოპორტუნიზმის დამახასიათებელი თვისება: მისი გაურკვევლობა, უპირატესობა და გამძრომლობა. ოპორტუნისტი თავისი ბუნებით გაურბის საკითხის გარკვევით და გადაჭრით დასმას, გვერდით იკლაკნება ერთი მეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისს შორის, ცდილობს „დაეთანხმოს" ერთსაც და მეორესაც, თავისი უთანხმოება გამოხატოს მხოლოდ მცირე შესწორებებით, ეჭვის გამოთქმით, კეთილი სურვილებით და სხვ." (ლენინი, ტომი 5, გვერდი 478). ლენინის მიერ ოპორტუნიზმის დახასიათების სისწორეს განსაკუთრებით ადასტურებს მემარჯვენე გადახრის მაგალითები. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამჟამად მემარჯვენე გადახრა იმყოფება თავისი იდეოლოგიის ჩამოყალიბების სტადიაში. ამაში მდგომარეობს ფრაქციულობის საფრთხე, ხოლო პარტიამ მშვენივრად იცის, რა საზიანოა ფრაქციულობა.

მემარჯვენე განწყობილებათა ჩამოყალიბება ჩვენს პარტიაში დაკავშირებულია არსებული პერიოდის სიძნელეებთან. რამდენადაც ამ სიძნელეების დაძლევა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მძიმე და გადამწყვეტი ბრძოლით და ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობით, იმდენად ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ პოლიტიკური მერყეობის გაძლიერების შესაძლებლობას პარტიაში. ცალკე ელემენტების ამ მერყეობას ჩვენი პარტია დაუპირისპირებს მთლიანობას და პარტიის ხაზისათვის მტკიცედ მხარის დაჭერას ფართო პარტიული მასისა და მუშათა კლასის მხრივ. რაც უფრო მკაფიოდ გამოარკვევს პარტია და მუშათა კლასი ფართო მასების სახით თავის პოზიციას პარტიის პოლიტიკის მიმართ, მით უფრო ადვილად დავსძლევთ პარტიის ცალკე წევრთა მერყეობას. ჩვენ უნდა უზრუნველვჰყოთ ბოლშევიკური სიმტკიცისა და დისციპლინის მაქსიმუმი ჩვენ რიგებში. ყოველ კომუნისტს უნდა ახსოვდეს, რომ ის პასუხისმგებელია პარტიის მიერ დაკისრებული საქმისათვის. ჩვენს წრეში არ უნდა დავუშვათ იმ საქმისთვის პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნის ცდა, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტია. ჩვენ ამოცანას უნდა შეადგენდეს ის, რომ ყოველმხრივ გავაძლიეროთ მუშათა კლასის ძალების მობილიზაცია სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებთან საბრძოლველად. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის მუშათა კლასი, რომელიც ამაგრებს თავის კავშირს სოფლის ფართო მასებთან, გასწევს წინ, დარწმუნებული, რომ სოციალისტური მშენებლობა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება, საბოლოოდ გაიმარჯვებს". (ხანგრძლივი ტაში).

მოსკოვის საგუბ. პარტკონფერენციაზე

მოსკოვი, 27 თებერვალი. მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე დამთავრდა კამათი ამხ. **მოლოტოვის** მოხსენების გამო.

ორატორებმა ერთხმად მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის ხაზი და მოითხოვდნენ გადამწყვეტ ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან და შემრიგებლობასთან და აგრეთვე ტროცკიზმის ნაშთებთან. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ სწორია ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებული კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ.

მთელ რიგ ქარხნების წარმომადგენელი მუშები აღნიშნავდნენ, რომ აუცილებლად საჭიროა მთელი პარტიის სიმტკიცე და მთლიანობა დაუპირდაპიროთ ყოველგვარ რყევასა და გადახრას.

26 თებერვალს დილის სხდომაზე ამხ. **იაროსლავსკიმ** წარმოსთქვა სიტყვა ამხ. **კრუპსკაიას** 60 წლის შესრულების გამო.

„ამხ. კრუპსკაიას იუბილე—სთქვა ამხ. იაროსლავსკიმ,—წარმოადგენს ბოლშევიკის სიცოცხლის, რევოლუციონერის სიცოცხლის 60 წელს. მუშათა მოძრაობის დასაწყისიდანვე ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მისი უაღრესად ენერგიული და აქტიური მონაწილეა. „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" შექმნაში, ჩვენი პარტიის პირველი ყრილობის მომზადებაში, ნაროდნიკებთან, ლეგალურ მარქსისტებთან ეკონომიზმთან ბრძოლაში—ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ლენინთან ერთად ყოველთვის ბოლშევიკთა პირველ რიგებში იდგა. რევოლუციონური ტალღის გაძლიერების პერიოდში, იმპერიალისტური ომის პერიოდში ამხ. კრუპსკაიას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მუშათა მოძრაობაში. იგი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს ციმერვალდის და კინტალის კონფერენციების მომზადებაში. იგი აწყობს ქალთა დემონსტრაციას იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ.

ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მონაწილეობას იღებს განათ. სახ. კომ: მშენებლობაში. თუ სახ. განათლების ორგანოები სულ უფრო და უფრო ხდებიან ლენინური განათლების ორგანოებად, ამაში დიდი შრომა მიუძღვის ამხ. კრუპსკაიას. ჩვენ სალამს უძღვნით ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს როგორც ლენინის მებრძოლ მეგობარს, რომელმაც გაიზიარა მასთან მთელი მისი სახელოვანი სიცოცხლე. ამასთან ერთად ჩვენ სალამს ვუძღვნით მას, როგორც ბოლშევიკს, რომელიც მიუხედავად 60 წლის შესრულებისა, ენერგიულად განაგრძობს თავის მუშაობას. ჩვენთან ერთად მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი უსურვებს ამხ. კრუპსკაიას სიმხნევეს და ჯანმრთელობას, უსურვებს მას, რომ თვით ენახოს კომუნიზმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში".

ამხ. იაროსლავსკის უკანასკნელმა სიტყვებმა გამოიწვია მთელი კონფერენციის ოვაციები ამხ. კრუპსკაიას პატივსაცემად. კონფერენციამ დაავალა პრეზიდიუმს გამოიმუშაოს ამხ. კრუპსკაიასადმი მისალმების ტექსტი.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მოლოტოვმა, ამხ. მოლოტოვმა დაამთავრა თავისი სიტყვა იმის აღნიშვნით, რომ პარტია არავის არ მისცემს ნებას გადაუხვიოს მას სწორი ლენინური ხაზიდან, სოციალისტურ მშენებლობის ხაზიდან.

რეზოლუცია მოხსენების გამო ერთხმად იქნა მიღებული კონფერენციის მიერ (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მე-5 ყრილობა

პრაღა, 26 თებერვალი. პრაღაში არალეგალურად მოხდა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მე-5 ყრილობა. ყრილობას დაესწრო 124 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, აქედან 112 დაზგის მუშა იყო. ყრილობის პირველმა სხდომამ მიიღო მისალმებები საკავშირო კომპარტიისაგან, აგრეთვე გერმანიის კომპარტიისაგან, რომელნიც ძმურ კომპარტიებს სოლიდარობას უცხადებენ მათ ბრძოლაში ტროცკიზმის წინააღმდეგ.

ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა კომინტერნის აღმასკომის ღია წერილს. პოლიტიკური მოხსენებით გამოვიდა **გოტვალდი**. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 51 დელეგატმა, უმთავრესად დაზგის მუშამ.

პოლიტიკური მოხსენება და ყრილობის მიერ მიღებული თეზისები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არ არის სწორი ის თვალსაზრისი, რომელსაც მხარს უჭერდენ მე-4 ყრილობაზე და რომლის მიხედვითაც ჩეხო-სლოვაკია ვითომ უცხო კაპიტალის კოლონიას წარმოადგენს.

მიღებულ თეზისებში აღნიშნულია, რომ ჩეხო-სლოვაკია წარმოადგენს იმპერიალისტურ სახელმწიფოს, რომლის ინტერესებიც შეთანხმებულია დიდ იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერესებთან.

პარტიაში არსებული კრიზისის ძირითად მიზეზად თეზისები სთვლიან იმ სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციებს, რომლებიც ჯერ არ არიან აღმოფხვრილნი და რომლებიც [illegible] ოპორტუნისტულ [illegible]ციებში იჩენენ.

ძირითად ამოცანად მომავალში ყრილობამ აღიარა ბრძოლა რეფორმისტების, ბურჟუაზიის და სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგ—ამ სამთა კავშირის წინააღმდეგ; უნდა მოხდეს მასების მობილიზაცია პროლეტარიატის საარსებო მოთხოვნილებებისათვის საბრძოლველად, ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა, რომელიც ყრილობას ესწრება, ხაზი გაუსვა იმას, რომ მემარცხენე ოპოზიციამ პარტიული ხელმძღვანელობაც კი ჩაიგდო ხელში; ამიტომ იყო, რომ იგი არა მარტო ჯგუფის, არამედ მთელი პარტიის სახელით ლაპარაკობდა.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ ყოველი ცდა წინანდელ პარტიულ ხელმძღვანელთა სწორ კომუნისტურ ხაზზე დასაყენებლად მარცხით თავდებოდა.

ყველა ხმის უმეტესობით მემარცხენე ოპოზიციის სამი წარმომადგენლის ხმის წინააღმდეგ არჩეულ იქმნა ახალი ცენტრალური კომიტეტი. ძველი შემადგენლობიდან არჩეულ იქმნა მარტო ზაპოტოცკი. ყრილობა ჩატარდა პარტიის ბოლშევიზაციისა და კომინტერნის აღმასკომის მე-6 კონგრესისა და პროფინტერნის მე-4 კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულების ნიშნის ქვეშ (ადს).

გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის კრიზისი

ბერლინი, 26 თებერვალი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კრიზისი ღრმავდება. საოლქო კონფერენციაზე ლეიპციგში, სადაც დიდი გავლენა აქვთ ეგრედწოდებულ მემარცხენეებს, საოლქო კომიტეტის მდივანმა **ლიპინსკიმ** წაიკითხა განცხადება, რომელიც რეიხსკანცლერმა მიულერმა გააკეთა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე.

მიულერმა განაცხადა, რომ პარტიის ვერავითარი დადგენილება ვერ შეუშლის ხელს იმას, რომ მან თანხმობა განაცხადოს კრედიტების მეორე ნაწილის გადადებაზე ჯავშნოსანის ასაგებად.

კონფერენციის დელეგატები აღაშფოთა მიულერის ამ განცხადებამ და ერთ-ერთმა დელეგატმა მუშამ წინადადება შეიტანა პარტიიდან მიულერის გამორიცხვის შესახებ.

„მემარცხენე" ბელადებმა დიდი გაჭირვებით მოახერხეს დაეთანხმებიათ მუშა უკან წაეღო თავისი წინადადება. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც იგი მოითხოვს სოციალ-დემოკრატების გამოსვლას მთავრობის კოალიციიდან და პროტესტს აცხადებს ფინანსთა მინისტრის სოციალ-დემოკრატ ჰილფერდინგის საგადასახადო [illegible] პოლიტიკის წინააღმდეგ (ადს).

ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა დაპატიმრება

ბერლინი, 26 თებერვალი. პარიზში ყალბი ჩერვონცების დამამზადებლის შტეინგელის დაპატიმრების გამო გერმანული გაზეთები იუწყებიან, რომ შტეინგელი 1925 წელს პარიზიდან ჩავიდა გერმანიაში ქარუმიძესთან ერთად. მიუნხენში მან კავშირი დაიჭირა ამ საქმეზე ბრალდებულ ვებერთან და შემდეგ გენერალ გოფმანთან ერთად გაემგზავრა ლონდონში დეტერდინგთან მოსალაპარაკებლად.

შემდეგში შტეინგელი სცხოვრობდა გერმანიაში, მაგრამ 1927 წლის ნოემბერში, როცა დაიწყო დაპატიმრებანი, დაიმალა. შტეინგელი თვალსაჩინო როლს თამაშობდა სადათიერაშვილის საქმეში, მაგრამ გაზეთები ეჭვობენ, რომ გადასცემენ თუ არა მას გერმანიის ხელისუფლებას (ადს).

საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობა

სტამბოლი, 26 თებერვალი. „ჯუმჰურიეტ"-ის რედაქტორი იუნუს ნადი, უკეთებს რა კომენტარიებს საბერძნეთ-თურქეთის მოლაპარაკებას, სწერს:

„მოლაპარაკების გაჭიანურება აიხსნება იმით, რომ ვენიზელოსს სურს ომი და სცდილობს მოიგოს დრო. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი კვლავ დათმობებზე წავა, ომი აუცილებელი შეიქნება, ვენიზელოსი გამალებული ემზადება ომისათვის, მაგრამ საიდუმლოდ. პასუხისმგებლობა მომავალი ომისათვის საბერძნეთს ეკისრება" (ადს).

ჩინეთში

მასიური დემონსტრაციები ჩინეთში

პეიპინი, 26 თებერვალი. იაპონიის მისიის (პეიპინში) ოფიციოზი „ნორტ ჩაინა სტანდარტ" აცხადებს, რომ სტუდენტთა, მუშათა და სხვა ორგანიზაციების მასიური დემონსტრაცია, რომელიც კვირას გაიმართა, მიუხედავად ხელისუფლების აკრძალვისა, ალბად მიზნად ისახავდა დიპლომატიური კვარტალის დაჭერას. დემონსტრანტების განზრახვა ვერ განხორციელდა მხოლოდ ჩინეთის პოლიციის მიერ მიღებული ზომებით, რომელიც მზად იყო სროლა დაეწყო დემონსტრანტებისათვის.

გაზეთი დემონსტრაციას უყურებს როგორც რადიკალური აგიტაციის განახლების ნიშანს, რომელსაც მხარს უჭერს გომინდანის მემარცხენე ფრთა (ადს).

სტუდენტთა დემონსტრაციების აკრძალვა

პეიპინი, 26 თებერვალი. ეროვნულმა მთავრობამ ადგილობრივ ხელისუფლებას მისცა წინადადება აკრძალოს სტუდენტთა ყოველგვარი დემონსტრაცია,—და ვინც დაარღვევს დემონსტრაციის აკრძალვის წესებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს (ადს).

ლატვიის პრესა ბლიუმენტალის საქმის შესახებ

რიგა, 26 თებერვალი. ლატვიის პრესა სცდილობს, მიჩქმალოს ლატვიის მისიის (მოსკოვში) კომერციული მრჩევლის ბლიუმენტალის საქმე, რომელსაც ბრალად ედება სპეკულიაცია. ამ მიზნით გაზეთები თხზავენ მრავალ შეუსაბამო ჭორებს.

გაზეთები სწერენ „საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის" რომელიღაც „თანამშრომლებზე", რომლებმაც ვითომც საწრაფოდ დასტოვეს ლატვია, რათა თავიდან აეცილებიათ რაღაც პასუხისმგებლობა.

პრესა იუწყება, თითქოს საბჭოთა სასამართლომ ბლიუმენტალის საქმეზე მის დაუსწრებლად გამოიტანა განაჩენი, თუმცა ლატვიის ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ბლიუმენტალი ორი თვის წინად იქნა დაპატიმრებული დავიდოვიჩის ბინაზე.

მაგრამ უფრო სერიოზული გაზეთები ფხიზლად ეკიდებიან საკითხს. გაზეთი „პედეია ბრიდი" აკრიტიკებს გაზეთ „ლატია ლარგო"-ს ბლიუმენტალის საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებისათვის და დაუშვებლად სთვლის საკითხის ამგვარ გაშუქებას, რომელიც ამწვავებს ნორმალურ დიპლომატიურ და საქმიან ურთიერთობას ლატვიის მეზობლებთან.

გაზეთი „სოციალ-დემოკრატსი" მკაცრ პროტესტს აცხადებს ლატვიის მთავრობის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც იგი აწარმოებს საბჭოთა კავშირის მიმართ".

კომინტერნის ათი წლის თავი

მოსკოვი, 27 თებერვალი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ დაადგინა 4 მარტიდან 1 მაისამდე კომინტერნის ათი წლის თავის გამო ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია განავითაროს პარტიაში, კომკავშირში და მუშურ-გლეხურ მასებში. ამ კამპანიის ამოცანა უნდა იყოს პარტიის იმ მუშაობის გაგრძელება, რომელიც კომინტერნის მე-6 კონგრესის შემდეგ დაიწყო მასების ინტერნაციონალურად აღზრდის დარგში. ცეკა წინადადებას იძლევა პარიზის კომუნის დღეს—18 მარტს გაიმართოს მუშათა და გლეხთა ფართო კრებები, რომლებიც მიძღვნილი იქნება კომინტერნის ათი წლის თავისათვის და კომინტერნის ათი წლის თავის დღესასწაულს დაუკავშირდეს ყველა სხვა რევოლუციონური დღესასწაულები მარტ-აპრილის პერიოდის განმავლობაში (მუშა-ქალთა საერთაშორისო დღე, თვითმპყრობელობის დამხობის დღე, უნგრეთის რევოლუციის ათი წლის თავი, ფრანგი მეზღვაურების აჯანყების ათი წლის თავი). კომინტერნის პირველი კონგრესის გახსნის დღეს (4 მარტს) მოსკოვში გაიმართება კომინტერნის აღმასკომის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და მოსკოვის კომიტეტის პრეზიდიუმების საზეიმო სხდომა საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანდასწრებით (ადს).

მისალმება ამხ. კრუპსკაიას

მოსკოვი, 27 თებერვალი. ლენინის ინსტიტუტმა მისალმებით მიმართა ამხ. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს კრუპსკაიას:

„ბოლშევიკური გვარდიის განთქმულ სახელთა შორის—ნათქვამია მისალმებაში,—ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის სახელი, მჭიდროდ დაკავშირებული ლენინის დიად მოღვაწეობასთან, სამუდამოდ შევა ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში. რუსეთის მუშათა მოძრაობის პიონერებთან ერთად ნადეჟდა კონსტანტინეს ასული აწარმოებდა ბრძოლას მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის და მისი საბოლოო გამარჯვებისათვის. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს დიდი ღვაწლი მიუძღვის პარტიის ზრდისა და მისი ორგანიზაციის საქმეში".

ამხ. კრუპსკაიას მიესალმა აგრეთვე ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება:

„ძველ ბოლშევიკთა ხსოვნაში წარუხოცელია ჩვენი ძვირფასი რევოლუციონური თაობის თავდადებულ მებრძოლის სახე" (ადს).

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)
ცეკას მე-5 პლენუმი
გაიხსნება 2 მარტს, დილის 10 საათზე,
სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში.
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი.

ა. წ. თებერვლის 28-ისთვის დანიშნული
ს. ს. ცაკის სესია გადადებულია
და შესდგება 1-ლ მარტს, დილის 10 საათზე
სესიის გახსნამდე დილის 9 ს. შესდგება კომფრაქციის სხდომა
ს. ს. ცაკ-ს მდივანი—ი. ვარძიელი.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა მარტისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

თბილისის IX პარტკონფერენცია

თბილისის კომიტეტის ანგარიში

ამხ. ლ. სუხიშვილის და ე. ასრიბეკოვის მოხსენება *)

კულტურული მშენებლობის საკითხები

საკითხების შემდეგი ჯგუფია—კულტურული მშენებლობის საკითხები და მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე. უპირველეს ყოვლისა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან

ქალაქში მუშათა მოსახლეობას შორის წერა-კითხვის უცოდინარია 30 პროცენტი, სოფლად—80 პროცენტი. წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა წელს დაამთავრა 9745 კაცმა. სახალხო განათლების გეგმით, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს ქალაქად—სამი წლის განმავლობაში და სოფლად—6 წლის განმავლობაში. როგორც ხედავთ, ჩვენ ვერ შევასრულეთ ლენინის ანდერძი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ რევოლუციის ათი წლის თავისათვის. წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში ჩვენ უნდა ჩავაბათ ყველა პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რათა ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავისათვის მაინც შევსძლოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. მუშათა განათლების ხაზით სათანადო სამოსწავლო ერთეულებში ჩაბმულია 2.501 მუშა.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად უმჯობესდება კულტურული მუშაობა. პროფკავშირებს აქვს 15 კლუბი, რომელთა წევრების რიცხვი 14.000 კაცს უდრის. საკლუბო წრეებში ირიცხება 3.650 კაცი. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩება მასების მოთხოვნილებებს. განსაკუთრებით სუსტად არის დაყენებული მუშათა მასების პოლიტიკური და საწარმოო-ტექნიკური აღზრდა.

ჩვენი სკოლების მდგომარეობა

თბილისში არის 90 მეორე საფეხურის სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 35 ათასი მოწაფე; მაზრაში (ყოფილ დუშეთის მაზრასთან ერთად) არის 181 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 16,500 მოწაფე. თბილისში მოწაფეთა შორის მუშათა შვილებია 29 პროც., მოსამსახურეთა შვილები—37 პროც., გლეხების შვილები—5 პროცენტი; დანარჩენები არიან შინამრეწველების და სხვ. შვილები. უფროს ჯგუფებში კლებულობს მუშათა შვილების რიცხვი. მაგალითად, თუ 1—4 ჯგუფში მუშათა შვილების პროცენტი უდრის 32-ს, რომ მე-8—9 ჯგუფში მუშათა შვილების პროცენტი შეადგენს 19-ს. ამ მოვლენას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენი სკოლა ჯერ კიდევ არ იძლევა სპეციალურ ცოდნას. ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად არ არის დაყენებული სპეციალური განხრები. ამიტომ სასკოლო პროგრამა სავსებით ვერ აკმაყოფილებს მუშათა ბავშვების მოთხოვნილებებს.

მოწაფეთა შერჩევა მერვე ჯგუფებში მიმდინარე სამოსწავლო წელს უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე შარშან. ყველაზე უკეთესი სოციალური შემადგენლობაა რკინის გზის სკოლების მერვე ჯგუფებში, ყველაზე ცუდია—განათლების სახ. კომისარიატის საცდელ-საჩვენებელ სკოლებში.

ვინ ასწავლის ჩვენს სკოლებში

ამხანაგებო, უკანასკნელ წელში გაუმჯობესდა მასწავლებელთა შემადგენლობა და გაიზარდა მასში კომუნისტების ხვედრითი წონა. მასწავლებელ კომუნისტების რიცხვი გაიზარდა 8 პროცენტით; სკოლების ადმინისტრატიულ აპარატში კომუნისტები 15 პროცენტს შეადგენენ.

საზოგადოებათა-მეცნიერების მასწავლებელთა 95 პროცენტი კომუნისტია. მაზრაში კომუნისტი მასწავლებლების რიცხვი შეადგენს 18 პროცენტს.

მაგრამ კომუნისტ მასწავლებელთა კადრი მაინც არ არის საკმაო. თბილისის კომიტეტის აგიტპროპმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებელთა ახალი კადრის მომზადებას.

მეტი ყურადღება აღზრდის იდეოლოგიურ მხარეს

საბჭოთა სკოლებში, სადაც ახალგაზრდობა უნდა აღიზარდოს კომუნისტურ ნიადაგზე, ადგილი აქვს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენას. ზოგიერთ ადგილას ინტერნაციონალური აღზრდის მაგივრად მოწაფეებს ზრდიან ნაციონალისტურ ნიადაგზე, ანტირელიგიური აღზრდის მაგივრად ადგილი აქვს ურელიგიო და ზოგან რელიგიურ აღზრდასაც. ჩვენი სკოლების პროგრამებს არსებითი ნაკლი აქვს აგრეთვე იდეოლოგიური სიმტკიცის თვალსაზრისით. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

1927 წელს გამოცემულ სახელმძღვანელო „ხნავ“-ში მოთავსებულია ლექსი მანქანაზე. ლექსი გაჟღენთილია სალეწი მანქანის ლანძღვა-გინებით. ჩვენ ვფიქრობთ მანქანების საშუალებით განვავითაროთ ჩვენი სოფლის მეურნეობა. ამ ლექსის ავტორი კი აღშფოთებულია, რომ მანქანა, ამ შემთხვევაში სალეწი მანქანა, სდევნის პურის გალეწვის უძველესი დროის „ტექნიკას“.

ავიღოთ მეორე სახელმძღვანელო „ჩვენი მხარე“, რომელშიაც მოთავსებულია ლექსი „სოფელი“. აი, ამონაწერი ამ ლექსიდან:

„იქ ქალაქში სიცრუეა, იქ ბუნებაც მატყუარობს,
აქ სოფლად კი ედემია, სული ლაღობს, გული ხარობს,
იქ სულ ყველა გულცივია, იქ ბატონობს ჩოთქი, აღლი
აქ კი ღვთის მაშვრალთ კერა, აქ შრიალებს შრომის მადლი“.

გამოდის, რომ ქალაქში, მუშებს შორის ბატონობს ჩოთქი და აღლი. ასეთ ლექსებზე იზრდება ჩვენი ბავშვები. ერთ სახელმძღვანელოში ავტორი ასე განმარტავს: საკავშირო ცაკს აქვს ორი საბჭო: ეროვნებათა საბჭო და საკავშირო საბჭო. პირველი საკითხებს სწყვეტს ნაციონალისტური თვალსაზრისით, მეორე—კლასობრივი თვალსაზრისით (??). ზოგიერთი პედაგოგი ფიქრობს, რომ ასეთ თემის დამუშავების დროს, როგორიცაა ოქტომბრის რევოლუცია, მოსწავლეებმა უნდა შეითვისონ შემდეგი სოციალური მცნებები: „არა კაც ჰკლა“ (ამას აკლია დაუმატონ შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი). ხოლო თემის „საბჭოთა საქართველო“-ს დამუშავების დროს მოწაფეებს უნდა განუვითარდეს „მოვალეობის და ზრდილობის გრძნობა“. ზოგჯერ ასეთ აღზრდას იღებენ ჩვენი ბავშვები. ამაზე უნდა დაფიქრდნენ ჩვენი განათლების ორგანოები. ასეთი ლექსები არ უნდა იბეჭდებოდეს საბჭოთა სახელმძღვანელოებში.

კიდევ ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, რომლებიც ამტკიცებს სასკოლო სახელმძღვანელოების იდეოლოგიურ სიმახინჯეს. სამოსწავლო წიგნი კომუნისტური აღზრდის იარაღი უნდა იყოს, იგი გამსჭვალული უნდა იყოს პროლეტარული იდეოლოგიით. სამწუხაროდ, განათლების სახ. კომისარიატი ნაკლებად ზრუნავს ამაზე, მომავალში უნდა გამოვასწოროთ ეს მდგომარეობა.

უმაღლესი სასწავლებლები

რამდენიმე სიტყვა ჩვენი უმაღლესი სკოლის შესახებ. ჩვენი სტუდენტების სოციალური შემადგენლობა ასეთია: მუშები და მუშების შვილები უმაღლეს სასწავლებლებში შეადგენენ—22 პროც., გლეხები—27,7 პროც., მოსამსახურენი—30,1 პროც.; შინამრეწველნი—2,4 პროც., დანარჩენები—17,8 პროც. (ადგილიდან: თავად-აზნაურები!) დიახ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დანარჩენები ისინი არიან. ახლად მიღებულთა შორის სახელმწ. უნივერსიტეტში მუშები არიან 11,5 პროც.. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 37 პროცენტი.

ამგვარად, მუშების რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში უმნიშვნელოა, თუმცა ზოგიერთი მიღწევები გვაქვს. ორი-სამი წლის წინედ ხომ მუშები სრულებით არ იყვნენ უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენ უნდა გავადიდოთ მუშების პროცენტი უმაღლეს სასწავლებლებში. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშფაკებს, რომლებიც ამზადებენ პროლეტარული ინტელიგენციის ახალ კადრებს. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტობა ხშირად ექცევა ნაციონალურ სულისკვეთების გავლენაში. ამ სულისკვეთებამ განსაკუთრებით იჩინა თავი იმ დროს, როცა ტარდებოდა უმაღლეს სასწავლებელთა რაციონალიზაცია. ეს გარემოება გვიკარნახებს გავაძლიეროთ კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა სტუდენტობას შორის, განვამტკიცოთ კომკავშირის და პარტიის გავლენა უმაღლეს სასწავლებლებში.

გავაძლიეროთ მუშაობა ინტელიგენციას შორის

ინტელიგენცია შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად. პირველი აქტიურად მუშაობს და აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალისტურ მშენებლობაში. ინტელიგენციის მეორე ძირითადი ნაწილი მუშაობს ჩვენთან, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის გამსჭვალული ჩვენი მშენებლობის ენთუზიაზმით და პასიურად უყურებს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს. ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო ამ ჯგუფების ერთ განსაზღვრულ ნაწილში იზრდება ნაციონალისტური განწყობილება. უმაღლეს სასწავლებლების რაციონალიზაციის დროს ქართული ტექნიკური ინტელიგენციის მხრივ ადგილი ჰქონდა ნაციონალიზმის აშკარა გამომჟღავნებას. სპეციალისტების ჯგუფი, რომლებსაც საპასუხისმგებლო პოსტები უჭირავთ, მოითხოვდა უმაღლესი სასწავლებლების რაციონალიზაციის უარყოფას. თავიანთ განცხადებაში პარტიის ცეკასადმი ისინი სწერდნენ: „ამგვარად, ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოში, კონსერვატორიის გარდა, უნდა იარსებოს მხოლოდ ერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა — სახელმწიფო უნივერსიტეტმა აგრონომიული, პოლიტექნიკური და შეიძლება სამხატვრო განყოფილებებით; ამასთანავე ლექციები პარალელურად უნდა იკითხებოდეს რუსულ ენაზე“.

ამავე დროს ადგილი ჰქონდა დიდმპყრობელური ნაციონალიზმის გამომჟღავნებას რუსი პროფესორების ნაწილის მხრივ, რომლებიც საქართველოდან წასვლით იმუქრებოდნენ აგრონომიული ფაკულტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სახელმწ. პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან) გადასვლის გამო.

ჩვენ ვებრძოდით ნაციონალისტურ განწყობილებებს, როგორც პირველი, ისე მეორე ხაზით. დამახასიათებელია, რომ უმაღლესი სასწავლებლების რაციონალიზაციას უარყოფით ეკიდებოდნენ ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთი საუკეთესო წარმომადგენლებიც კი, რომლებმაც მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ შეიგნეს თავიანთი შეცდომა.

მესამე ჯგუფი — ინტელიგენციის უმნიშვნელო ჯგუფი აშკარად ნაციონალისტურად არის განწყობილი და აქტიურად გვებრძვის. მასიური პოლიტიკური და კულტურული მუშაობა ინტელიგენციის შორის ჯერ კიდევ სუსტად სწარმოებს. თბილისის კომიტეტმა უკანასკნელ დროს მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი მუშაობის გასაძლიერებლად ინტელიგენციის შორის. გამოკვლეულ იქნა მუშაობა ინტელიგენციის ცალკე ჯგუფებს შორის (მასწავლებლები, ინჟინერები, ექიმები და სხვ.) და დასახულ იქნა ღონისძიებანი ინტელიგენციის სხვადასხვა კატეგორიებს შორის მუშაობისათვის. მიუხედავად ამისა, ეს მუშაობა მაინც არ გამოსწორდა. თბილისის კომიტეტის ინიციატივით, გაიხსნა სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბი, რომელიც ხელს შეუწყობს საინჟინერო-ტექნიკური ძალების დაახლოებას ჩვენს სამეურნეო მუშაკებთან. მუშაობის გაძლიერება ინტელიგენციის შორის მომავალში შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას.

ბრძოლა ნაციონალიზმთან

როგორც წინედ, ისე ეხლაც ბრძოლა ყველა სახის ნაციონალიზმთან და შოვინიზმთან ორგანიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ამხ. კახიანმა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმზე მთელი სიგრძე-სიგანით დასვა ორგანიზაციის წინაშე ნაციონალიზმთან ბრძოლის საკითხი და კერძოდ შეეხო ნაციონალისტური იერიშებს, ყველასათვის კარგად ცნობილი გრიგოლ ლორთქიფანიძის მხრივ.

გ. ლორთქიფანიძის ნაციონალისტური იერიშები

გრიგოლ ლორთქიფანიძე მკაფიოდ გამოხატავს ქართველი შოვინისტური ინტელიგენციის სულიერ განწყობილებას და ზრახვებს. ამას წინედ ლორთქიფანიძემ განცხადება გაუგზავნა საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის საჩივართა ბიუროს. „ჩვენ გვგონია, რომ საერთოდ ნაციონალური პოლიტიკის დარგში აშკარა წინააღმდეგობას აქვს ადგილი იდეოლოგიისა და პრაქტიკის შორის საბჭოთა ამიერ-კავკასიის ფარგლებში, სადაც ნაციონალური (და ამიტომ რუსული) ამ.-კავკ. ფედერაციის მეოხებით ყოველდღე და ყოველ საათში ძირს ეთხრება ამ.-კავკასიის სამი რესპუბლიკის ნორმალურ სახელმწიფო-ნაციონალური კონსოლიდაციის ყოველგვარ შესაძლებლობას. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა გამწვავებულ ფრაქციულ ბრძოლაში ამიერ-კავკასიის ფედერაცია გადააქცია რაღაც წმინდა ლენინურ მარქსისტულ დოგმატად. ამიტომ, რასაკვირველია, ჩვენ არ ვჩივით ამ.-კავკასიას ამ ძირითად ნაციონალურ ბოროტებას, ვინაიდან ეს არის თქვენთვის ცნობილი სიმახინჯეს უდიდესი ფაქტი, რომელიც სხვა გზით უნდა იქნას აცილებული საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელების ინიციატივით“.

ამიერ-კავკასიის ხალხების ძმურ გაერთიანებას ლორთქიფანიძე უყურებს, როგორც ეროვნულ ბოროტებას. ამ გზა-აბნეულ მენშევიკს შავი ნაციონალისტური სული ვერ ინელებს ამ.-კავკ. ხალხების ინტერნაციონალურ სოლიდარობას და თანამშრომლობას მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, ამავე წერილში ლორთქიფანიძე საყვედურს გამოსთქვამს ლენინის თხზულებათა ქართულ ენაზე გამოცემის გამო. იგი სწერს: „ამჟამად საქართველოში სწარმოებს ხელისმოწერა ლენინის თხზულებაზე რუსულ და ქართულ ენაზე. ერთ ენაზე 25 ტომი ღირს 15 მანეთი, ხოლო მეორე ენაზე 25 ტომი ღირს 62 მან. 50 კაპ., ე. ი. რუსულ ენაზე ღირს 15 მანეთი, ხოლო ქართულ ენაზე უფრო ძვირია“ ამაში ხედავს ლორთქიფანიძე ეროვნული საკითხის არასწორად გადაწყვეტას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლორთქიფანიძე ზრუნავს არა ქართული გამოცემის გაიაფებისათვის, არამედ იმისათვის, რომ სრულებით არ იყოს რუსული გამოცემა. რუსულ ენაზე ლენინის თხზულებას დიდი ტირაჟი აქვს და იგი იაფი ღირს და ლორთქიფანიძემ იცის, ჩვენც ვიცით, რომ რაც უფრო ნაკლებია ტირაჟი, მით უფრო ძვირია წიგნი. ლორთქიფანიძეს სურს თვალი აუხვიოს ქართველ მუშებს, მაგრამ იგი ამას ვერ შესძლებს. ბარბაროსული მენშევიზმის და შოვინიზმის სულიერი აგენტი, შეიარაღებული ასეთი უვარგისი საშუალებებით, ჰბედავს ბოროტებად გამოაცხადოს კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკა.

თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი კლასობრივი მტრების იდეოლოგიურ არსენალში უმთავრესი იარაღია ნაციონალიზმი. ამიტომ გადამჭრელი ბრძოლა ნაციონალიზმის ყოველგვარ სახეობასთან იყო, არის და იქნება ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა.

ორიოდე სიტყვა მენშევიკების შესახებ. რომლებიც საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო ცდილობენ თავიანთი კონტრ-რევოლუციონური მუშაობის გამოცოცხლებას.

მებრძოლი მენშევიზმის ტაქტიკა

საერთაშორისო მდგომარეობის და ჩვენში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, მენშევიკები ცდილობენ გააცხოველონ კონტრ-რევოლუციონური საქმიანობა. როგორც ვიცით მენშევიკებს არ აუღიათ ხელი აჯანყებისა და სისხლიან ავანტიურების ტაქტიკაზე.

თქვენ უკვე იცნობთ ჟორდანიას და რამიშვილის 1926 წლის წერილებს. მაშინ ჟორდანია სწერდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაცემა შეიძლება მოხდეს სამი ხაზით: პირველი—სამოქალაქო ომი; მეორე—„საბჭოთა კავშირის დანაწილება ეროვნულ ერთეულებად“—ეროვნული ომი; მესამე—ომი და ინტერვენცია. მენშევიკების მთავარი ხაზია ომი და ინტერვენცია და ამასთან დაკავშირებით აჯანყება. თავის წერილში ჟორდანია დაახლოებით სწერდა, რომ ყოველ შემთხვევაში, თუ ომის პროცესში, საჭირო შეიქნა აჯანყება, მოწოდება ამის შესახებ მთავრობიდან არ უნდა გამომდინარეობდეს, მას ხელი არ უნდა აწერდეს მთავრობის თავმჯდომარე.

რამიშვილი ავსებს ჟორდანიას აზრს მითითებებით, თუ როგორ უნდა მოეწყოს აჯანყება. ხოლო როცა ჩვენ ვამხილეთ და გამოვამჟღავნეთ მენშევიკური ავანტიურა, ისინი შეეცადნენ დაეფარათ კვალი.

1927 წლის მაისში შესდგა არალეგალური მენშევიკური ყრილობა (შეიკრიბა 12 კაცი). ყრილობამ საზღვარგარეთული ცენტრის დირექტივის თანახმად მიიღო გადაწყვეტილება: „ყრილობა ავალებს ნაციონალურ მთავრობას ევროპის და ამერიკის სახელმწიფოებს შორის გამონახოს სათანადო მოკავშირეები, რომელნიც მოხერხებულ მომენტში დაუდგებიან როგორც იარაღით, ისე დიპლომატიური ჩარევით განმანთავისუფლებელ ბრძოლაში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, და აგრეთვე დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სათანადო ზომებს მიიღებენ განთავისუფლებული საქართველოს დასაცავად რუსეთის თავდასხმისაგან“.

მენშევიკები — იმპერიალიზმის ჯაშუშები

1928 წელს სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა მენშევიკების ორი ემისარი—პარმენ ფირცხალაიშვილი და ლორდელი, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ არალეგალურ ორგანიზაციას. ჟორდანია-რამიშვილის დავალებით მენშევიკები აწყობდნენ სამხედრო ჯაშუშობას. ლორდელი თავის ჩვენებაში სწერს: „დასასრულ მე მინდა განვაცხადო რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მისი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ (ცეკა, საზღვარგარეთის ბიურო რწმუნებულები და სხვ.) სამხედრო დაზვერვის ხასიათის ცნობების შეკრება და გადაგზავნა საზღვარ გარეთულ ბიუროსთვის და მის რწმუნებულთათვის უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოების მთავარ შტაბებისათვის გადასაცემად სამარცხვინოდ და საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის სრულ იდეურ-პოლიტიკურ გაკოტრებად მიმაჩნია“.

ეს ჩვენებები ამტკიცებენ, რომ მენშევიკები არა მარტო ეწევიან ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, არამედ მათ საქმიანობაში შედის ჯაშუშობა და დიდი ჯაშუშობაც კი. ამ ჩვენებების შემდეგ მენშევიკები კვლავ ცდილობენ დაფარონ კვალი და ერთ-ერთი თავის უკანასკნელ პროკლამაციაში სწერენ: „ქართველი ხალხის საყურადღებოდ ჩვენ ვაცხადებთ, რომ ქართული სოც.-დემოკრატია იბრძვის არა იარაღით ხელში, არამედ იდეურად და მოუწოდებს ქართველ ხალხს გამოიჩინოს სიმტკიცე და არ წამოეგოს ბოლშევიკური პროვოკაციის ანკესზე“.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ხელთ გვაქვს ახალი საბუთი, რომელიც კვლავ ფარდას ხდის მენშევიკების საქმიანობას.

თავის უკანასკნელ ჩვენებებში, რომლებიც გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში, [illegible] ლორდელი სწერს: „საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრობითა და შურით აღსავსენი, ჩვენ ამ ბრძოლაში არ ვერიდებოდით არავითარ საშუალებებს ხშირად ვეწეოდით ისეთ დამამცირებელ მუშაობას, როგორიცაა სამხედრო ხასიათის ცნობების შეკრება და მათი გადაგზავნა საზღვარგარეთ. მუშათა ხელისუფლების საზიანოდ. ხოლო ჩვენ პარტიულ კონფერენციებს გამოჰქონდა რეზოლუციები ინტერვენციის სასარგებლოდ.

ჯერ კიდევ საქართველოს პროფკავშირების მეოთხე ყრილობაზე, ხოლო შემდეგ გაზეთ „კომუნისტი“-ს 15 დეკემბრის ნომერში გარკვევით იყო გამოქვეყნებული ის ჩვენი „საქმიანობა“. მაგრამ სამწუხაროდ, ეგრედწოდებული მენშევიკური [illegible] კიდევ უსინდისოდ განაგრძობს მტკიცებას, რომ თითქოს ის მასალები ხელოვნურად არის შეთხზული. ასეთი უსინდისო მტკიცება არის ამ დამღუპველი მუშაობის გაგრძელება, რომელსაც სამწუხაროდ, ჩვენ ვაწარმოებდით მშრომელი ხალხის საზიანოდ. დროა თვალი გაუსწოროთ სინამდვილეს და ვაღიაროთ ჩვენი დანაშაული“.

ტროცკისტული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ

ჩვენ, ამხანაგებო, დიდი ხნის განმავლობაში ვაწარმოებდით სასტიკ ბრძოლას ტროცკიზმის წინააღმდეგ. ჩვენ ტროცკიზმს ვთვლით მენშევიზმის ყველაზე უფრო ცუდ სახეობად და ამ თვალსაზრისით ჩვენ ვუდგებით ტროცკისტული ოპოზიციის ნამსხვრევების მუშაობას, მის ცდას გამოაცოცხლოს თავისი საქმიანობა. ამ თვალსაზრისით ვაწარმოებთ ჩვენ მუშაობას ამ ნამსხვრევების წინააღმდეგ. ტროცკისტები ამჟამად პროლეტარული დიქტატურის აშკარა მტრებს წარმოადგენენ და შემთხვევითი არ არის, რომ მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინად თბილისის ორგანიზაციამ ერთხმად აიმაღლა ხმა ტროცკისტების მუშაობის წინააღმდეგ და სავსებით მოიწონა ის ღონისძიებები, რომლებიც გაატარა და ატარებს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ტროცკიზმთან ბრძოლის ხაზით.

ტროცკისტებს ადგილი არა აქვთ საბჭოთა ტერიტორიაზე

დღეს ჩვენს გაზეთებში წავიკითხეთ ცნობა იმის შესახებ, რომ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თათბირის დადგენილებით ტროცკი გადასახლებულია საზღვარგარეთ. ეს, ამხანაგებო, არის ერთად-ერთი სწორი ორგანიზაციული ღონისძიება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კონფერენცია ერთხმად მოიწონებს პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების ამ სწორ გადაწყვეტილებას (ხანგრძლივი ტაში). ტროცკისტებს, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს მუშაობას, ადგილი არა აქვთ ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე. აი, ის ლოზუნგი, რომელიც მოგვცა ლენინგრადის კომუნისტ-პროლეტარებმა, მოსკოვის კომუნისტ-პროლეტარებმა. აი, ის ლოზუნგი; რომელიც ერთხმად გაიზიარეს თბილისის კომუნისტ-პროლეტარებმა. ეს ლოზუნგი ამჟამადაც ძალაში რჩება. ჩვენ ვიცით, რომ ამჟამად ჩვენ საქმე გვაქვს ტროცკისტული იდეოლოგიის სრულ დამხობასთან.

ჟურნ. „ბოლშევიკი“-ს მე-2 №-ში ამხ. იაროსლავსკი სწერს: „ამგვარად ჩვენ გვაქვს არა ორი ხაზი, არამედ ოთხი: ერთი ტროცკის და ოპოზიციის უმრავლესობის, მეორე პრეობრაჟენსკის და იმათი, ვინც მის თვალსაზრისს იზიარებს, მესამე—რადეკის ამ ორ თვალსაზრისშუა მერყეობის ხაზი. თუმცა რადეკი მთელ რიგ საკითხებში რადიკალურად აკრიტიკებს ტროცკისტებს და საპრონოველებს უფრო მკაცრათ, ვიდრე პრეობრაჟენსკი და, მეოთხე ხაზი—ეს არის ვორონცოვის ჯგუფის ხაზი, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია საპრონოველებთან გაერთიანება.

ტროცკისტების ბანაკში ამჟამად ოთხი ხაზია, ოთხი მიმდინარეობა, ამასთან ერთად უკანასკნელ ჯგუფს ე. წ. ვორონცოვის ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია საერთო ხაზის გამონახვა საპრონოველებთან, სმირნოველების ჯგუფთან. ეს ჯგუფი კი ამბობს, რომ დღევანდელი მთავრობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ნიღაბით მოქმედებს, ხელისუფლებაა, რომელიც მან დიდი ხანია მოსპო,—პროლეტარიატის მტერია“.

საპრონოველები, სმირნოველები აშკარათ აყენებენ საბჭოთა ხელისუფლებასთან, პროლეტარიატის დიქტატურასთან ბრძოლის ლოზუნგს, „თავის დიქტატურისათვის“-ს ბრძოლის ლოზუნგს და ამ ლოზუნგს მხარს უჭერს ტროცკისტების ვორონცოვის ჯგუფი; მაგრამ შორს არ წასულა თვით ტროცკი.

ტროცკისტების ლოზუნგი

ჯერ კიდევ 21 ოქტომბერს, ტროცკი სწერდა თავის მომხრეებს შემდეგს: „საშიში სერიოზული ტალღის წინაშე, აპარატჩიკი შეშინდებოდა და საქმეს სამოქალაქო ომამდე არ მიიყვანდა. ყოველ შემთხვევაში ეს გზა, რეფორმების გზა მასების ძლიერი ზეგავლენით ჩვენ ბოლომდე უნდა გამოვსცადოთ“. ყველასათვის ცხადია, თუ რაზეა აქ ლაპარაკი.

თუ დღეს „რეფორმების გზა“ ტროცკისტებისათვის ამოწურულია, ხვალ დღის წესრიგში იგი სვამს სამოქალაქო ომს. ამისთვის საჭიროა კადრების იდეურად მომზადება და ამ მიმართულებით სწარმოებს მუშაობა.

ამხანაგებო, თუ ჩვენ ეხლა დავსვამთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორია ტროცკისტული გეზი, როგორია ტროცკისტების ტაქტიკა და სტრატეგია, სავსებით სწორი იქნება ვსთქვათ, რომ ტროცკისტებს დარჩენიათ შორეული დამიზნების ტაქტიკა. უნდა გაგრძელდეს არალეგალური პარტიის შენება, მოეწყოს გაფიცვები, გავრცელდეს კრონშტადტის ლოზუნგები ფარული კენჭის ყრის შესახებ—ერთგვარი თანდათანობით, (ჯერ პარტიაში, შემდეგ პროფკავშირებში, შემდეგ საბჭოებში, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა კლასებთან) და მომზადდეს იდეურათ კადრები მოსალოდნელი სამოქალაქო ომისათვის.

ეს ლოზუნგი კადრების ხელახალი იდეური მომზადების შესახებ მოსალოდნელი სამოქალაქო ომისათვის ამჟამად აქტუალური ლოზუნგია ბევრი ტროცკისტისათვის. ერთი მათგანი—სოკრატ გეორგიანი აცხადებს: სამოქალაქო ომი რუსეთში შეიძლება უახლოესი მომავლის ფაქტი გახდეს, აქედან გამომდინარეობს ოპოზიციის ძირითადი ამოცანა—არ შეჩერდეთ არაფრის წინაშე—არც დაწერილ და არც დაუწერელ წესდების წინაშე. თუ მას სურს კლასის ავანგარდი იყოს, მოვალეა დასძლიოს ყველა ეს სიძნელეები და შეაიარაღოს პროლეტარიატი მომავალი ომებისათვის. აქ კი საჭიროა გაბედულობა, გაბედულობა და კიდევ გაბედულობა. „რაც შეეხება პერსპექტივებს,—იხ. ლ. დ. განცხადება.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ ერთი დასკვნა—ტროცკის შორეული დამიზნების ტაქტიკა ამჟამად ამოცანათ ისახავს თავისი კადრების ხელახალ იდეურ შეიარაღებას მომავალი სამოქალაქო ომისათვის. ამ მიმართულებით სწარმოებს მუშაობა ტროცკისტული ოპოზიციის ნამსხვრევებში. აშკარაა, ამხანაგებო, როგორი უნდა იქნეს ჩვენი პასუხი იმ პირთა მიმართ, ვინც ხელახლა აიარაღებს თავის კადრებს სამოქალაქო ომის შესაძლებლობისათვის.

ჩვენ გვაქვს ბრძოლის ერთად-ერთი იარაღი. ეს ის იარაღია, რომელიც ხელთ უპყრია პროლეტარიატის დიქტატურას, საბჭოთა ხელისუფლებას. ეს ის იარაღია, რომლის გამოყენებასაც მოჰყვა ტროცკის საზღვარგარეთ გადასახლება, ვინაიდან ტროცკი ანგრევდა მთელ ჩვენს მუშაობას სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე.

მემარჯვენე გადახრა—ძირითადი საფრთხეა ჩვენს პარტიაში

ამხანაგებო, თუ რამდენიმე თვის წინედ ვამბობდით, რომ ჩვენი პარტიის რიგებში არსებობს მემარჯვენე განწყობილებათა ნიშნები, თუ ვლაპარაკობდით ცალკე ელემენტებზე, რომლებიც ამ მემარჯვენე განწყობილებას გამოხატავენ, დღეს პარტია ამ საკითხს სვამს სხვანაირად: კონფერენციის ყოველმა დელეგატმა ალბად დიდის ყურადღებით წაიკითხა „პრავდა“-ს მოწინავე წერილი (19 თებერვლის თარიღით) რომელიც მოთავსებული იყო თბილისის გაზეთების უკანასკნელ ნომრებში: „ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან“. აქ მკაფიოდ არის გარკვეული, თუ როგორი მიმართულებით მიდის ჩვენი სინამდვილის ამ მემარჯვენე გადახრის განვითარება და ჩამოყალიბება.

„შეიძლება დასახულ იქნას ოთხი ხაზი. რომელთა მიმართულებით სწარმოებს მემარჯვენე გადახრის ჩამოყალიბების ცდები: პირველი—ლენინის იმ მოძღვრების საფუძვლების რევიზია, რომელიც შეეხება პროლეტარულ რევოლუციას. მეორე—მუშათა კლასისა და გლეხობის დამოკიდებულება, მესამე—სოციალისტური მშენებლობის ლენინური სტრატეგიული გეგმის რევიზია და მეოთხე—სპეკულიაცია იმ სიძნელეებით, რომლებიც აუცილებელია სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში, სიძნელეების გაზვიადება. ცდა იმისა, რომ პასუხისმგებლობა ამ სიძნელეებისათვის დააკისრონ საერთო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, გააჩაღონ ბრძოლა ლენინიზმის საორგანიზაციო-პოლიტიკურ პრინციპების წინააღმდეგ, სოლიდარობა გამოუცხადონ და მხარი დაუჭირონ (ჯერ კიდევ ფარულად და გაუბედავად) მემარჯვენეებს და შემარიგებელ ელემენტებს კომინტერნში“.

ამგვარად, ამხანაგებო, უკვე გვაქვს შესაძლებლობა ვილაპარაკოთ ოთხ ხაზზე, რომელთა მიმართულებითაც სწარმოებს მემარჯვენე გადახრის ჩამოყალიბების ცდები.

მემარჯვენეები ცდილობენ უპრინციპო ბლოკის შექმნას

„პრავდა“-ს იმავე მოწინავეში ნათქვამია: „პარტიული ხელმძღვანელობის და ლენინიზმის საორგანიზაციო პრინციპების წინააღმდეგ ბრძოლაში მემარჯვენეები ცდილობენ შექმნან „უკმაყოფილოთა“ უპრინციპო ბლოკი და სწორედ ამის გამო ისინი იძულებულნი არიან დაადგნენ ფრაქციულობის გზას. ბრძოლა პარტიის ხაზისა და პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ისინი ცდილობენ ეფარონ პარტიის ცალკე ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ბრძოლით“.

ბრძოლას აშკარა მემარჯვენე-ლიკვიდატორულ გადახრისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მთელმა ორგანიზაციამ; პარტიამ კიდევ უფრო მეტად გადაჭრით და დაუნდობლად უნდა აწარმოოს ბრძოლა მემარჯვენე ელემენტებთან.

ორგანიზაციის ძირითადი და უმთავრესი ამოცანაა არ შეასუსტოს ბრძოლა „მემარცხენე“ ტროცკისტულ გადახრასთან და მისდამი შემარიგებლობასთან და ამავე დროს უმთავრესი იერიში მიმართოს მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ორგანიზაციამ გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოოს შემარიგებლობის ანტიბოლშევიკური თეორიის წინააღმდეგ. ჩვენს სინამდვილეში ადგილი აქვს ამ განწყობილებას, რასაც ახასიათებს შემდეგი მაგალითი: როცა გარდაიცვალა პარტიიდან გამორიცხული ოპოზიციონერი ქალი, რომელიც იუსტიციის სახ. კომისარიატში მსახურობდა. ამ უჯრედის წევრებმა, ზოგიერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგებმაც კი მოვალედ ჩასთვალეს თავი ოპოზიციონერებთან ერთად წასულიყვნენ სასაფლაოზე და მოესმინათ ტროცკისტული ოპოზიციის კონტრრევოლუციონური სიტყვები, რომლებიც მიმართული იყო პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს არის შემარიგებლობის ყველაზე უარესი ფორმა. სწორედ ამიტომ პარტიამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ბრძოლას შემარიგებელ განწყობილებასთან.

როცა ჩვენ ვსვამთ მემარჯვენე გადახრის საკითხს, ზოგიერთი ამხანაგი ამბობს, რომ მემარჯვენე გადახრა მავნე და საშიშია; მაგრამ მას არ უნდა ვებრძოლოთ ასე გადაჭრით, რადგან ჩვენს სინამდვილეში თითქოს არ არსებობს არავითარი საბუთი მემარჯვენე გადახრაზე ლაპარაკისათვის, არ არსებობს სათანადო ბაზა, რომ თბილისის ორგანიზაციაში ადგილი არ აქვს მემარჯვენე განწყობილებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი განწყობილება უეჭველად მავნეა. სწორედ ეს არის მემარჯვენე გადახრა.

მთავარი ყურადღება მემარჯვენეობასთან ბრძოლას

ჩვენმა მე-9 პარტკონფერენციამ აშკარად და გადაჭრით უნდა გაუსვას ხაზი ორგანიზაციის ძირითად ამოცანას—მემარჯვენე გადახრასთან და მასთან შემარიგებლობასთან ბრძოლას. ამას უნდა მიაქციოს თბილისის ორგანიზაციის ყოველმა წევრმა ყურადღება.

პარტიის ცეკას ნოემბრის პლენუმის ლოზუნგი, რომელიც გულისხმობს ბრძოლას ორ ფრონტზე და მთავარი იერიშის მიტანას მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ, დღეს არის ორგანიზაციის უმთავრესი პოლიტიკური ლოზუნგი.

ამხანაგებო, თბილისის ორგანიზაცია გამოაბრძმედა ლენინიზმისათვის ბრძოლაში ტროცკიზმის წინააღმდეგ. თბილისის ორგანიზაციამ თავის დროზე დაიწყო შეტევა მემარჯვენე გადახრასა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

მე ვფიქრობ, რომ თბილისის ორგანიზაცია მომავალშიაც დაუნდობლად იბრძოლებს მემარჯვენე გადახრასა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ. იგი ამ მუშაობას აწარმოებს ჩვენი საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინური ცეკის ნაცადი მტკიცე ხელმძღვანელობით. ჩვენ შევძლებთ მომავალშიაც ვსძლიოთ ყველა სიძნელეს, რომლებიც თან სდევს სოციალისტურ მშენებლობას, უზრუნველვყოთ ჩვენი პარტიის ლენინური ხაზის შეურყევლობა. ჩვენი პარტიის ბოლშევიკური რიგების მთლიანობა და სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

პარტიის იდეოლოგიური ფრონტი

თეატრები და კინო

თეატრალურ დარგში ჩვენ აშკარად წინ წავიწიეთ. ასეთი დადგმები როგორიცაა „ლიანდაგი გუგუნებს“, „ანზორი“ და „რღვევა“ რუსთაველის თეატრში, „ლიანდაგი გუგუნებს“, „ცეცხლის ხიდი“, „რღვევა“ და „ლიუბოვ იაროვაია“ თბილისის მუშათა თეატრში—ჩვენი თეატრების დიდ მიღწევას წარმოადგენს, მაგრამ აქვს ადგილი იდეოლოგიური მარცხსაც, როდესაც ცალკე დადგმებს ემიგრანტული ჰაერის სუნი უდის („ემიგრანტები“ თბილისის მუშათა თეატრში), ან და როდესაც მათში თავს იჩენს უღირსად მეშჩანური იდეოლოგია („ხოჭოების დოღი“ რუსთაველის თეატრში). ჩვენ გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ ასეთ მოვლენებს. მართალია, ჩვენ ამჟამად განვიცდით სარეპერტუარო კრიზისს, მაგრამ ეს სრულებით ვერ გაამართლებს, მაგალითად, „ემიგრანტების“ დადგმას თბილისის მუშათა თეატრში.

განსაკუთრებით კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს რუსთაველის თეატრის საგრძნობი მიღწევები ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში. ამ თეატრის რეპერტუარი ამ უკანასკნელ დრომდი უმთავრესად „ამერიკელ ძიების“, „დიზრაელის“, „ლამარისა“ და სხვ. ასეთი პიესებისაგან შედგებოდა. ამჟამად თეატრი რევოლუციურ პიესებზე გადავიდა.

განსაზღვრული მიღწევები აქვს სომხურ დრამასაც.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი კინემატოგრაფიის შესახებ. საქართველოს „სახკინმრეწვს“ კარგი ბაზა მოეპოვება თავის მოქმედებისათვის, რადგანაც კინემატოგრაფიას საქართველოში ხელს უწყობს ბუნებრივი პირობები.

საქართველოს კინემატოგრაფია საკმაოდ [illegible] უკანასკნელი წლების განმავლობაში. მაგრამ მის სურათებში ხშირად შეხვდებით იდეოლოგიურად სრულიად მიუღებელ ფილმებს. ავიღოთ მაგალითად სურათი „ხაზანები“. ეს სურათი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ამიერ-კავკასიაში ცარიზმის დროს ადგილი ჰქონდა არა ცარიზმთან ბრძოლას, არამედ წმინდა ნაციონალურ ბრძოლას. თითქოს მთლიანად ყაჩაღები იბრძოდნენ. ყაჩაღები კი [illegible]. სურათში [illegible] არ არის გამოხატული რევოლუციონური ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. მომავალში „სახკინმრეწვი“ უნდა [illegible] განსაზღვრული და მტკიცე [illegible] რევოლუციონური და ყოფაცხოვრებითი სურათების [illegible].

კედლის გაზეთები და მუშგლეხკორთა მოძრაობა

პრესაზე ლაპარაკის დროს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შევჩერდეთ კედლის გაზეთების განვითარებაზე. ამ მხრივ ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. კედლის გაზეთები თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ სწარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა ჩვენი მშენებლობის დეფექტებთან, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და პროტექციონიზმთან, სამეურნეო მშენებლობის ძირითადი საკითხების გაშუქება და სხ. იზრდება კედლის გაზეთების რაოდენობა. 1927 წელში ჩვენში იყო 175 კედლის გაზეთი, დღეს კი ირიცხება 192. 1927 წელში გვყავდა 3.000-მდე მუშკორი, დღეს კი გვყავს 3.615 მუშკორი, მუშკორთა საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მუშკორებს სდევნიან, ეს დევნა დღესაც სწარმოებს. პარტიამ უთუოდ უნდა მიიღოს ზომები მუშკორების დასაცავად. ამას წინად საჩვენებელი წესით თბილისში გაასამართლეს მუშკორის მდევნელი [illegible] ბრეგვაძე. აღსანიშნავია, რომ მუშკორებს ზოგიერთი კომუნისტებიც სდევნიან. ეს უდიდეს დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ დავიცავთ მუშკორებს ყოველგვარი დევნისა და ყოველ მდევნელისაგან.

იზრდება პერიოდული პრესის ტირაჟი

გაიზარდა ჩვენი პერიოდული საბჭოთა და პარტიული პრესა. გაზეთ „ახალი სოფელი“-ს ტირაჟმა 60—70 ათას მიაღწია, გაზეთ „კომუნისტი“-ს — 28 ათასს. თბილისის კომიტეტმა მოახდინა გაზეთ „მუშა“-ს და „რაბოჩაია პრავდა“-ს რეორგანიზაცია. რეორგანიზაცია ჩავატარეთ იმ მიზნით, რომ ეს გაზეთები მასიურ, ტიპიურ მუშათა გაზეთებად გაგვეხადა და გაგვეფართოვებია. დღეს „მუშა“ და „რაბოჩაია პრავდა“-ს ნომერი ორ-ორი კაპიკი ღირს. რეორგანიზაციამ ფრიად დადებითი შედეგები მოგვცა. გაზეთები გადაიქცა ჩვენი ორგანიზაციის მებრძოლ, ნამდვილ ორგანოებად, ჩვენი გაზეთების საერთო ნაკლად მიუხედავად არსებითი გარდატეხისა უნდა ჩაითვალოს ჯერ კიდევ სუსტი გატარება თვითკრიტიკის პრინციპების მიუხედავად, წერილების სუსტი ეფექტი და აგრეთვე ის გარემოება, რომ მუშაობა მუშკორებს შორის ჯერ კიდევ ვერ არის დაყენებული სათანადო დონეზე.

მხატვრული ლიტერატურა

მხატვრულ და ეკონომიურ ლიტერატურის ფრონტზე ადგილი აქვს ნაციონალიზმის გაცხოველებას და ზრდას, კლასიური ბრძოლის განსაზღვრულ გამწვავებას, მუშათა კლასისადმი მტრულად განწყობილ იდეოლოგიის ზრდას. ქართულ მწერალთა შორის ზოოლოგიური ნაციონალიზმის წარმომადგენლები არიან გერონტი ქიქოძე, გამსახურდია და ჯავახიშვილი. ნაციონალიზმი ძლიერდება აგრეთვე წვრილ-ბურჟუაზიულ მწერალთა შორის („ცისფერი ყანწელები“-ს ჯგუფი). ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს პროლეტარული მწერლობის განმტკიცება საქართველოში, მისი როლის გაძლიერება მხატვრულ ლიტერატურაში.

პარტიული აღმშენებლობა

ორგანიზაციის შემადგენლობა

1927 წელში, თბილისის მე-8 პარტიულ კონფერენციის წინ, ჩვენს ორგანიზაციაში ირიცხებოდა 10.535 წევრი და კანდიდატი. 1929 წლის 1 იანვრისათვის ორგანიზაციას მოემატა 2,401 წევრი, ე. ი. 22,8 პროცენტი. ნაწილობრივ ეს ზრდა გამოიწვია დუშეთის ორგანიზაციის შემოერთებამ. დუშეთის ორგანიზაციაში ირიცხებოდა 440 კომუნისტი. უმთავრესად კი ორგანიზაცია იზრდებოდა ახალი კადრების ხარჯზე. საანგარიშო პერიოდი ხასიათდება მუშათა საგრძნობი ნაწილის მიღებით პარტიაში. 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშები შეადგენდნენ ჩვენი მაზრა-ქალაქის ორგანიზაციის 59,1 პროცენტს; დღეს კი ეს პროცენტი 62,9-ს უდრის, რაც გვაძლევს ზრდას 3,8 პროცენტით, მიუხედავად იმისა, რომ დუშეთის ორგანიზაციამ უმთავრესად გლეხები მოგვცა.

თბილისის ქალაქის ორგანიზაციაში ჩვენ შემდეგი მდგომარეობა გვაქვს: 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშები შეადგენდნენ 62,8 პროცენტს, ამჟამად კი ისინი 68,2 პროცენტს შეადგენენ. ამრიგად ქალაქის ორგანიზაციაში მუშების რიცხვი გაიზარდა 5,4 პროცენტით. დაზგის მუშები 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენდნენ 47,8 პროც., მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის კი ეს პროცენტი უდრის 50,2-ს. პარტიის დირექტივა იმის შესახებ, რომ დაზგის მუშები უნდა შეადგენდნენ არა ნაკლებ 50 პროცენტისა, ჩვენ მიერ უკვე შესრულებულია. მაგრამ, ცხადია ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება, რომ მომავალშიაც უნდა გავაძლიეროთ დაზგის მუშების მიღება პარტიაში, მით უმეტეს თბილისში, რომელიც საქართველოს ძირითად სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს.

მოჯამაგირეების ჩაბმა პარტიაში სუსტია

ჩვენ ძლიერ მოვიკოჭლებთ პარტიაში მოჯამაგირეთა ჩაბმის საქმეში. 1927 წელში ჩვენს ორგანიზაციაში მოჯამაგირეები შეადგენდნენ 2,6 პროცენტს, ამჟამად კი ისინი მხოლოდ 1,9 პროცენტს შეადგენენ. ამრიგად მოჯამაგირეთა პროცენტმა დაიკლო. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია დუშეთის ორგანიზაციის შეერთებით, სადაც მოჯამაგირეთა რიცხვი ფრიად მცირე იყო. მაგრამ რითაც არ უნდა აიხსნებოდეს ეს მოვლენა, საჭიროა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ძლიერ ჩამოვრჩით ამ მხრივ.

შემდეგში ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მოჯამაგირეთა შორის. მომავალი პერიოდისათვის ჩვენ მტკიცედ უნდა შევასრულოთ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების დირექტივა იმის შესახებ, რომ პარტიის ქალაქის ორგანიზაციაში მიღებულ იქნეს საწარმოო მუშები არა ნაკლებ 90 პროცენტისა, ხოლო სოფლად—სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეების არა ნაკლებ 60 პროცენტისა.

ერთსულოვანი შეტევა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ

პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობის უდიდეს საკითხს მე-8 და მე-9 კონფერენციებს შუა წარმოადგენდა გადამწყვეტი ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და მისდამი შემარიგებლობით დამოკიდებულებასთან პარტიაში.

თბილისის ორგანიზაცია გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევდა ყველა ასეთ განწყობილებას. იგი დაუზოგავად იბრძოდა როგორც აშკარა მემარჯვენე გადახრას, ისე „მემარცხენე“ ტროცკისტულ გადახრასაც. ამასთან ერთად იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დღევანდელი მომენტისათვის აუცილებელია უმთავრესად გადაშლილი იდეოლოგიური ბრძოლა მემარჯვენე საშიშროებასთან, რამაც არ უნდა გამოიწვიოს ტროცკიზმთან ყოველმხრივი ბრძოლის ოდნავი შენელებაც კი.

მეთერთმეტე სხდომა

ამხ. აზარაშვილის საბოლოო სიტყვა

24 თებერვალს დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. აზარაშვილის საბოლოო სიტყვა.

„სწორი არიან ის ამხანაგები, სთქვა ამხ. აზარაშვილმა, რომლებმაც აღნიშნეს კომკავშირის მუშაობის გაძლიერების საჭიროება სოფლად და ორგანიზაციის თვისობრივი გაუმჯობესების აუცილებლობა.

ორგანიზაციის თვისობრივ გაუმჯობესების ერთ-ერთ ღონისძიებათ ჩაითვლება მისი გაწმენდა მოტმასნილ ელემენტებისაგან. ჩვენი სოფლის კომკავშირელები ხშირად ვერ უწევენ საჭირო წინააღმდეგობას ანტი-საბჭოთა ელემენტებს, რაც მათი პოლიტიკურ უცოდინარობას უნდა მიეწეროს. ამის დასასაბუთებლად საკმარისი იქნება, თუ დავასახელებთ იმ ფაქტს, რომ სოფ. კოდის კომკავშირელებმა ამავე სოფლის მასწავლებლის (ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტი) წაქეზებით ეკლესია ძალით დახურეს საბჭოთა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია გლეხებში. პოლიტგანმზრდელობითი მუშაობას აფერხებს სახელმძღვანელოების უქონლობა, (გუშინ მივიღეთ მხოლოდ სახელმძღვანელოები) რაც მიეწერება სახელგამის დაუდევრობას.

მისალმებანი

ამხ. აზარაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციას ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა სახელით მიესალმა ამხ. ბუნდიაშვილი, მეტყავეების სახელით — ამხ. ხაჩატურიანი და კავშირ-გაბმულობის მუშა-მოსამსახურეთა სახელით — ამხ. გონგაძე, რის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ასრიბეკოვის

ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ

ამხ. ასრიბეკოვის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, ჩვენი კონფერენციის მსჯელობის მთავარ საგანს წარმოადგენდა პარტიის ლენინური ხაზიდან გადახრებთან ბრძოლის, ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის შემადგენლობის, თვითკრიტიკის გაშლის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, სამეურნეო და კოოპერატიული აღმშენებლობის და სხვა. საკითხები, ამიტომაც ჩემს საბოლოო სიტყვაში მე უმთავრესად ამ საკითხებს შევეხები.

თვითკრიტიკა ჯერ კიდევ ვერ არის წესიერად გაშლილი. მართალი არიან ის ამხანაგები, რომლებიც ამის მიზეზად უმთავრესად ასახელებენ თვითკრიტიკისათვის დევნას. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ასეთი პირებისაგან ჩვენი აპარატის სამუდამოდ გასაწმენდათ.

საკითხი რკინის გზის და სამხედრო კოოპერატივების გაერთიანების შესახებ მუშათა კოოპერატივთან რამდენჯერმე იყო წამოჭრილი, მაგრამ წარსულში მათ გასაერთიანებლად პირობები არ იყო მომწიფებული. კონფერენციამ უნდა დაავალოს თბილისის კომიტეტის ახალ შემადგენლობას, რომ ეს საკითხი გადაჭრილი იქნეს სერიოზული წინასწარი შესწავლის შემდეგ.

წარმოებისა და სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ დღემდე კიდევ ბევრი სისუსტე გვახასიათებს. შრომის დისციპლინის განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა და საქონლის თვითღირებულების შემცირება. — ქალაქად, კოლექტიური მეურნეობის მშენებლობის გაძლიერება — სოფლად — მომავალში ჩვენს ძირითად ამოცანებად რჩება.

რამოდენიმე ორატორი შეეხო თეატრისა და კინოს საქმიანობას, მაგრამ არაფერი უთქვამთ ოპერაზე. ოპერა შეიძლება შევაფასოთ ორი თვალსაზრისით: იდეოლოგიურით და კომერციულით. წარსულ წლებთან შედარებით ოპერის ფინანსიური მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაძლიერდა, მაგრამ სამაგიეროდ იდეოლოგიური მხრით ოპერა ყველაზე უფრო ჩამორჩენილია.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კინოს აქვს მიღწევები იდეოლოგიის მხრივ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიღწევები ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. ზოგიერთი საუცხოვო რევოლუციონური თემა სახკინმრეწვმა ვერ მოიხმარა. ავიღოთ „კომუნარის ჩიბუხი“. ამ სურათში პარიზის კომუნა დამახინჯებულია,

დაბოლოს უკანასკნელი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, ეს არის შინაპარტიული მდგომარეობა.

თბილისის პარტორგანიზაციამ ამ კონფერენციის სახით საკმაოდ მკაფიოდ გამოსთქვა თავისი დამოკიდებულება, როგორც „მემარცხენეებისადმი“, ისე მემარჯვენეებისადმი. ემიგრანტული „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი“ პატივისცემით იხსენიებს, როგორც ერთს, ისე მეორე მიმდინარეობას და ამის შემდეგ არაფერი საკვირველი არ არის თუ ჩვენ ჩვენ მტრებად გამოვაცხადებთ ჩვენი მტრების მეგობრებს. ბრძოლა ყოველგვარ მერყეობასთან და უპრინციპო ბლოკთან, ბრძოლა მათთან შემარიგებლობასთან, — აი ლოზუნგები, რომლებიც ჩვენს მიერ შესრულებული უნდა იქნეს.

ამხ. ასრიბეკოვის საბოლოო სიტყვის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომლითაც თბილისის კომიტეტის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკურ-ორგანიზაციული ხაზი — სწორად.

რეზოლუციისა და პრაქტიკული წინადადებების გამოსამუშავებლად არჩეული იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: სუხიშვილი, ასრიბეკოვი, მაჩაიძე, შოგირაძე; ტერვართანოვი, ფანცულაია, მორჩილაძე, კუდრიავცევი, ყურულოვი, ბედია, ფაბრიციუსი; შ. ოკუჯავა, ანდრიაძე, ადამიან, ერისთავი; ლაზარაშვილი, ავაქოვი; მაშკევიჩი, გულდაგუზეშია, ბელელაძე; ბაბუცია, აფციაური, სუცაბერიძე, შაუმოვი, მიკირტიჩიანი და ანდღულაძე.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. გ. სტურუას მოხსენება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ.

პარტიის მთლიანობისა და სიწმინდის სადარაჯოზე

ამხ. გ. სტურუას მოხსენება

ამხანაგებო, როგორც მოგეხსენებათ საკონტროლო კომისიის ამოცანებს პარტიის ხაზით შეადგენს პარტიის რიგების მთლიანობის დაცვა, რომელიც მუშათა კლასის გამარჯვების პირობას წარმოადგენს, ბრძოლა ფრაქციულ დაჯგუფებებთან, პარტიაში უპრინციპო მოვლენათა შესწავლა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, პარტიის წმენდის ჩატარება და სხვა.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია წარმოადგენს საბჭოთა აპარატის შემოწმების, მისი გაუმჯობესების და მომჭირნეობის რეჟიმის ჩამტარებელ ორგანოს.

როგორაა შესრულებული საკონტროლო კომისიის და მ.-გ. ინსპექციის მიერ ეს ამოცანები?

ჩვენი რიგების სიწმინდის დასაცავად

პარტკოლეგიის მიერ უდიდესი ყურადღება მიექცა პარტიის რიგების სიწმინდეს. მეოთხე და მეხუთე ყრილობებს შუა პარტკოლეგიამ გაარჩია 1473 საქმე, წაყენებული ბრალდებისაგან გამართლდა 193, პარტიული სასჯელი დაედო 118 წევრს, გაირიცხა ფრაქციული მუშაობისათვის —42.

ახალი შემადგენლობის პარტკოლეგიამ 1 წლის განმავლობაში გაარჩია 1452 საქმე, წაყენებული ბრალდებისაგან გამართლდა 41, პარტსასჯელი დაედო 1398 და გაირიცხა 338.

ვინ მისდევდა ოპოზიციას

1928 წლის აპრილისათვის პარტიაში ითვლებოდა 31.297 კაცი, მათგან მუშები — 13416, მოსამსახურენი — 6161. ოპოზიციონურ მუშაობისათვის პასუხისმგებლობაში მიეცა 400 კაცი, მათგან 121 მუშა, 225 მოსამსახურე. ოპოზიციონური მუშაობისათვის გაირიცხა 333, მათგან მუშა — 84, მოსამსახურე — 203. ე.ი. გარიცხულთა შორის მუშები შეადგენენ 22 პროც. მოსამსახურენი კი — 63 პროცენტს. ეს რიცხვი საკმაოდ მოწმობენ იმას, რომ ოპოზიციას მისდევდა უმთავრესად არა პროლეტარული ნაწილი.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრმა ამხანაგებმა აღიარეს თავიანთი დანაშაული და უარი განაცხადეს ოპოზიციაში ყოფნაზე, შემოურიგდნენ ისევ პარტიას. 530 განცხადებიდან ოპოზიციის მიტოვების შესახებ 250 განცხადება (47 პროც.) მიდიოდა მუშაზე და 165 (31 პროც.) მოსამსახურეზე.

არაფრით დასაბუთებული არ არის აგრეთვე ოპოზიციის ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს მათ ძველი, [illegible] მომუშავე ბოლშევიკები მისდევდნენ. გარიცხულთა რიცხვიდან (333 კაცი) [illegible] მომუშავე 41 კაცია.

საბჭოთა უჯრედების კანდიდატთა შემადგენლობის შემოწმება

გარდა ამისა საკონტროლო კომისიამ ჩაატარა საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედთა საკანდიდატო შემადგენლობის გამორკვევა. ამ შემოწმებამ ცხადჰყო, რომ საკანდიდატო რიგებში ადგილი აქვს არაკომუნისტური ელემენტების შეპარვას, რასაც მოწმობს ის, რომ 226 გამორიცხულ კანდიდატს შორის 28,8 პროც. გამორიცხულია როგორც უცხო და მეშჩანური ელემენტები. ზემოხსენებულთან დაკავშირებით საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს მოსამსახურეთა პარტიაში მიღების მინიმუმამდე დაყვანას, ამასთანავე სასტიკად უნდა იქნეს შემოწმებული მათი აქტივობა საზოგადოებრივ მუშაობაში, მათი მომზადება, სიმტკიცე, პირადი ცხოვრება და სხვ. გაძლიერებული უნდა იქნეს რეკომენდატორების პასუხისმგებლობა.

გადასინჯულთა საერთო რიცხვიდან საკანდიდატო სტაჟს გადაშორებულია 48 პროცენტი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანის წევრად გადარიცხვა შესაძლებელი იყო, ეს მდგომარეობა გვეუბნება, რომ ზოგიერთ შემთხვევებში უჯრედები და ზემდგომი პარტორგანოები აჭიანურებენ ისეთი პირის წევრად გადარიცხვას, რომელიც ამას ღირსაა.

თვითკრიტიკის განვითარების გამოკვლევა

საკონტროლო კომისიისა და მ.-გ. ინსპექციის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა უპირატესს ბრძოლას გადახრებთან, ბიუროკრატიზმთან და თვითკრიტიკის გაშლისათვის ხელის შეწყობას.

პარტიის, პროფკავშირის და კომკავშირის ხაზით ჩატარებული იქნა თვითკრიტიკის მსვლელობის გამოკვლევა. ამ გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ს.კ.პ.(ბ) ცეკას მიმართვამ თვითკრიტიკის შესახებ მასებში თვალსაჩინო გამოძახილი ჰპოვა, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ თვითკრიტიკის გაშლის შედეგად გამომჟღავნებული იყო მთელი რიგი ნაკლოვანებანი ბიუროკრატიზმი, უკაირათობა, საბჭოთა სახელმწიფოებრივ აპარატში ანტი-საბჭოთა ელემენტების შეპარვა და სხვ. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ თვითკრიტიკის მსვლელობა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის, მას ჯერ კიდევ არ ახასიათებს სათანადოდ დიდი განვითარება, თვითკრიტიკა „ქვევიდან“ თვითკრიტიკა „მიუხედავად პიროვნებისა“ ჯერ მხოლოდ დაწყებით სტადიაშია.

სასტიკი ბრძოლა თვითკრიტიკის ხელის შემშლელთ

უნდა აღინიშნოს, რომ მის სწრაფ განვითარებას ხელს უშლიან ბევრი ჩვენი პასუხისმგებელი მომუშავენი, როგორც უპარტიო, ისე პარტიულები. მუშებში თქვენ გაიგონებთ სიტყვებს „გააკრიტიკებ, გააკრიტიკებ და მერე კი უნდა აიტუზო შრომის ბირჟის კარებთან“. [illegible] უცვლელად არ არის და ამ შემთხვევაში ეს სიტყვებიც არ არის მთლიანად მოკლებული სინამდვილეს. დღემდე კიდევ აქვს ადგილი დაშინებას, რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ადგილი აქვს თვითკრიტიკის ლოზუნგის დამახინჯებასაც. თვითკრიტიკის მნიშვნელობა ჯერ კიდევ საკმაოდ შეგნებული არ აქვთ არა მარტო უპარტიოებს, არამედ უჯრედის პასუხისმგებელ მომუშავეებსაც; ამას მოწმობს თუ გინდ ის გარემოება, რომ როდესაც ჩვენ შევეკითხეთ თბილისის აღმასკომის უჯრედის მდივანს, თუ რატომ არ დაამუშავა მან უჯრედში ცეკას მიმართვა თვითკრიტიკის შესახებ, მან გვიპასუხა, რომ „მე მეშინოდა ამით პოლიტიკური შეცდომა არ დამეშვა“; გორის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგემ განაცხადა: „მე თვითონ პარტიის ძველი წევრი ვარ და ამიტომ ვიცი, რომ „მსუბუქ კავალერიას“ სახლოვეთ არ გავეკარები და არც ანგარიშს ჩავაბარებ ჩემი მოქმედების შესახებ“-ო.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი ზოგმა კინკლაობისათვის გამოიყენა. ამას სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს. კრიტიკა მიმართული უნდა იყოს ჩვენს მუშაობაში არსებულ დეფექტების აღმოფხვრისაკენ და არა კერძო ინტერესების ნიადაგზე წამოჭრილი ანგარიშების გასწორებისაკენ.

პარტიის წმენდის საკითხი მომწიფდა

როგორც იცით პარტიის ზოგიერთი წევრები გახრწნის გზაზე არიან შემდგარი, პარტიის რიგებს ბევრი მიეტმასნა კარიერისტული მიზნით. ასეთი ხალხი სცდილობს მერყეობა შეიტანოს ორგანიზაციის დანარჩენ წევრებშიც, მას ავიწყდება, რომ კომუნისტს მეტი მოვალეობა აქვს, ვინემ უფლებები, ეს ხალხი კი სცდილობს მხოლოდ უფლებების მითვისებას. რასაკვირველია, ჩვენთვის „კომუნისტები“ უსარგებლო არიან, ამიტომ პარტიის წმენდის საკითხი საკმაოდ მომწიფებულია. პარტია უნდა გაიწმინდოს ყველა მერყევ და მიტმასნებულ მერყევ ელემენტებისაგან.

საკონტროლო კომისია უძლური იქნება შეასრულოს ზემდგომი პარტიული ორგანოების დირექტივა პარტიის წმენდის შესახებ ფართე პარტიული მასის მონაწილეობის გარეშე. საერთო ძალღონით კი ჩვენ შევძლებთ უზრუნველვყოთ პარტიის სიწმინდე და მთლიანობა.

ამხ. სტურუას მოხსენების შემდეგ სამთავისის კომუნის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. თუქთუშანიძე.

მეთორმეტე სხდომა

კამათი ამხ. გ. სტურუას მოხსენების გარშემო

ამხ. დევდარიანი

წარმოება-დაწესებულებებში უკაირათობასა და ბიუროკრატიზმს ხელს უწყობს ის, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში მსახურობენ ერთი და იმავე ოჯახის წევრები. ზოგიერთი გუშინდელი ვაჭარი, ინიშნება კოოპერატივის გამგედ, მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატიულ კურსებ დამთავრებული მუშაკები უადგილოდ არიან დარჩენილნი.

ამხ. როტინოვი

საკონტროლო კომისიის მიერ საკმაოდ შესწავლილი არ იყო კომუნისტების ყოფა-ცხოვრების საკითხები. ბევრი სასტუმროები გადაქცეულია გარყვნილების ბუდეთ, რომლებსაც პარტიულებიც ესტუმრებიან ხოლმე.

ტრამვაის სახელოსნოდან დათხოვნილი იქნა მუშა კარპონენკო, რომელმაც თავისი საქმიანი წინადადებებით წარმოებას 1000 მანეთის ეკონომია მისცა.

ამხ. კუდრიავცევი

ამა თუ იმ წარმოების, ან ორგანიზაციის გამოკვლევის შემდეგ საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია იძლევიან პრაქტიკულ მითითებებს და გამოაქვთ სათანადო დადგენილებები, მაგრამ არ ხდება ამ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. ეს შემოწმება უნდა ხდებოდეს არა მარტო მ. გ. ი. აპარატის საშუალებით, არამედ უმთავრესად მასებზე დაყრდნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ მ. გ. ი. აპარატის მოწყვეტას მასებისაგან.

არ კმარა მარტო დასჯითი მეთოდების გამოყენება საქმის წახდენის შემდეგ, არამედ წინასწარ უნდა იქნეს შექმნილი ისეთი პირობები, რომლებიც მოგვცემენ დეფექტის თავიდან აცილების შესაძლებლობას.

თვითკრიტიკა კი არ შეადგენს ჩვენს მიზანს, არამედ თვითკრიტიკის შედეგები, ამიტომ საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითკრიტიკის ნაყოფიერებას.

ამხ. მუჩაიძე

ბევრი სამეურნეო ორგანოები ერთ და იმავე საქმეს რამოდენიმეჯერ იწყებენ, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს (უმთავრესად საამშენებლო საქმეში). ეს მიეწერება უგეგმო მუშაობას.

ამხ. შ. ლეჟავა

თვითკრიტიკა „ქვევიდან“ შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მასები დაინახავენ, რომ „სათავე“ უზრუნველჰყოფს ამ თვითკრიტიკას. ჩვენ კი ხშირად ვხედავთ, რომ თვითკრიტიკის წყალობით მოხსნილი ესა, თუ ის მუშაკი უკეთეს თანამდებობაზე ეწყობა. ამავე ნიადაგზე თვითკრიტიკა ხშირად ტრიალებს წვრილმან საკითხებზე, ან კინკლაობის ხასიათს იღებს.

ამხ. განემანი

ზოგიერთმა სამეურნეო ორგანოებმა ზედნადები ხარჯები შეამცირეს მხოლოდ შტატის შემცირების ხარჯზე, ამავე დროს წარმოების რაციონალიზაციას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ამ საქმეს ყურადღება უნდა მიექცეს როგორც პარტიულ, ისე პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების მიერ.

უმრავლეს შემთხვევებში მუშის დაწინაურება ხდება მისი წინასწარ მომზადების გარეშე.

პარტიული, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების სარევიზიო კომისიები რევიზიებს იშვიათად ახდენენ, რაც ხელს უწყობს ბოროტმოქმედებას.

ამხ. ლომთათიძე

ხშირად კერძო ინტერესის ნიადაგზე წარმოებიდან ხსნიან მუშაკებს. აჭიანურებენ მათ საქმეს სასამართლოში და შემდეგ სასამართლოს დადგენილების თანახმად ისევ თავის თანამდებობაზე აღადგენენ, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს. მომუშავეთა უკანონოდ მოხსნის შემთხვევაში გაცდენილი დღეების ხელფასი უნდა გადახდეს მოხსნის ინიციატორს და არა წარმოებას.

ამხ. მარიამიძე

პრესა თვითკრიტიკის მძლავრი იარაღია, მას მრავალი მიღწევებიც აქვს ამ მხრივ, მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს პრესის ცალმხრივობაც ზოგიერთ შემთხვევაში.

ამას წინეთ გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული იყო შენიშვნა, თითქოს თბილისის ტრამვაის ახალი ვაგონები გამოუსადეგია ზამთრის დენისათვის. ტრამვაის დირექციამ რედაქციას გაუგზავნა განმარტება, რომ შენიშვნა სიმართლეს არ შეეფერება, მაგრამ ეს განმარტება გაშვებული არ იქნა.

ზოგიერთი პირები პრესას იყენებენ პირადი კინკლაობისათვის და ამა თუ იმ მომუშავეზე სწერენ მათ მიერ შეთხზულ ისტორიებს, რაც მუშაობის ხალისს უკარგავს უსამართლოდ გაწირულ პირს.

მეცამეტე სხდომაზე (26 თებერვალს, დილით) გაგრძელდა კამათი ამხ. გ. სტურუას მოხსენების გარშემო. კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციის ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა.

ამხ. გ. სტურუას საბოლოო სიტყვა

ყველა იმ მოკამათიდან, რომლებიც გამოვიდნენ თბილისის კომიტეტის და საკონტროლო კომისიის მუშაობის გარშემო, არც ერთს არ უთქვამს, რომ პარტიის შემადგენლობის გადათვალიერება და მისი გაწმენდა უცხო ელემენტებისაგან ნაადრევია, რაც ნიშნავს ცეკას დადგენილების სწორად შეფასებას. ამავე კამათიდან ირკვევა, რომ საკითხი საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ, აგრეთვე მომწიფებულია.

ზოგიერთი ამხანაგები საკონტროლო კომისიას უსაყვედურებდნენ იმაში, რომ იგი საკმაო სისასტიკეს არ იჩენდა პარტიის დამნაშავე წევრების მიმართ. დანაშაული შეიძლება იყოს ორნაირი: ერთია შეგნებული დანაშაული და მეორეც—უნებლიე დანაშაული. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვსჯით, ხოლო მეორე შემთხვევაში ვიყენებდით შთაგონების მეთოდს. ამით აიხსნება ალბათ ის გარემოება, რომ ზოგიერთ ამხანაგს საკონტროლო კომისიის ზომები ამა თუ იმ დამნაშავის მიმართ მიაჩნია უმნიშვნელოდ, ხოლო ზოგიერთი ამხანაგები საკონტროლო კომისიას უყურებენ როგორც დამსჯელ ორგანოს. ის, ვინც საკონტროლო კომისიას აფასებს, როგორც დამსჯელ ორგანოს, ძალზე შემცდარია.

ამხანაგ მარკაროვმა სწორად აღნიშნა, რომ საკ. კომისია და მ. გ. ინსპექცია იყენებდნენ თავის მუშაობაში ფართე მასებს და მოიყვანა კიდევაც ამისი მაგალითები, ამიტომ განმეორებას მე აღარ შევუდგები.

ყველა ის საკითხები, რომელიც კონფერენციამ წამოაყენა საკონტროლო კომისიისა და მ.-გ. ინსპექციის მუშაობის გარშემო, ჩვენთვის ძვირფასია და საკონტროლო კომისია თქვენივე დახმარებით შეეცდება გადაჭრას ყველა ის ამოცანები, რომელიც დაკისრებული აქვს მას.

ამხ. სტურუას მოხსენების დამთავრების შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც საკონტროლო კომისიის და მ.-გ. ინსპექციის მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკურ ხაზს სწორად.

რეზოლუციის გამოსამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია 25 კაცის შემადგენლობით.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 46.

საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირისათვის

ძვირფასო ამხანაგებო!

11 მარტისათვის თბილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს მუშგლეხკორთა, სამხკორთა და ახკორთა პირველი თათბირი. ეს თათბირი გამოარკვევს მუშგლეხკორთა მრავალი წლის მუშაობის შედეგებს საქართველოში და, მუშგლეხკორთა მე-4 საკავშირო თათბირის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პირობებში წარმოებული მუშგლეხკორთა მუშაობის მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების საფუძვლებზე, დასახავს მუშგლეხკორთა მუშაობის განვითარების მომავალ გზებს.

მუშგლეხკორთა თათბირები—მუშგლეხკორთა აღზრდისა და მათი ხელმძღვანელობის ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმაა (მუშგლეხკორთა მე-4 საკავშირო თათბირის რეზოლიუციიდან).

ამიტომ მოწვეული თათბირის ამოცანას წარმოადგენს — განუმარტოს მუშგლეხკორებს მორიგი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები, ასწავლოს მათ ამ ამოცანების დაკავშირება პრაქტიკულ მუშაობასთან წარმოებაში ან სოფლად. თათბირმა მიზნად უნდა დაისახოს მუშგლეხკორთა მობილიზაცია უფრო მეტი აქტიური მონაწილეობისათვის სოციალისტურ მშენებლობაში, უფრო მეტი გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ყოველივე იმასთან, რაც ამ მშენებლობას აბრკოლებს.

რადგან თათბირის მოწვევამდე ცოტა დრო დარჩა, ამიტომ საორგანიზაციო კომისია წინადადებას იძლევა—დაუყოვნებლივ დაიწყოს დელეგატების არჩევა შემდეგი წესით:

1. არჩევნების ჩასატარებლად ბათომში, სოხუმსა და ცხინვალში მოწყობილ იქნას კომისიები პარტკომის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი საქმის განყოფილებებთან; კომისიებში უნდა შევიდნენ ადგილობრივი ნაბეჭდი გაზეთებისა და პროფსაბჭოს კულტგანყოფილებების წარმომადგენლები. დანარჩენ ქალაქებში კომისიები უნდა მოეწყოს საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი საქმის განყოფილებებთან პროფორგანიზაციებისა და პოლიტგანების წარმომადგენელთა და მსხვილ საწარმოთა კედლის გაზეთების რედაქტორთა მონაწილეობით.

2. ადგილობრივმა საორგანიზაციო კომისიებმა უნდა დანიშნონ საერთო კრებების მოწვევის დღეები და ის ადგილები, რომლებმაც თავიანთი დელეგატები უნდა გაგზავნონ მათ უნდა გამონახონ დელეგატების გასაგზავნად საჭირო სახსარი (ამ სახსრებს აანაზღაურებს ცენტრალური საორგანიზაციო კომისია თბილისში).

3. ქალაქებში და სამრეწველო რაიონებში (ქუთაისი, ბათომი, სოხუმი, ფოთი, ჭიათურა; ბორჯომი; ახალციხე და სხვ). დელეგატების არჩევნები უნდა მოხდეს მუშკორთა ფართო კრებებზე იმ ანგარიშით, რომ ერთი კედლის გაზეთისაგან იყოს ერთი დელეგატი, ამასთან უპირატესობა უნდა მიეცეს იმ კედლის გაზეთს, რომელმაც თავის საწარმოში თავი იჩინა, როგორც მასების საუკეთესო ორგანიზატორმა.

4. სოფლად არჩევნები უნდა მოხდეს კედლის გაზეთების გლეხკორთა კრებებზე. უპირატესობა უნდა მიეცეს იმ კედლის გაზეთს, რომელიც რეგულიარულად გამოდის და თავის ირგვლივ გლეხკორთა მეტ რიცხვს აერთიანებს.

შენიშვნა. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სავალდებულო წარმომადგენლობა მსხვილ საწარმოთათვის (მაგალითად, ბათომში „აზნევთსტროი"-სთვის და ბიდონის ქარხნისთვის ბორჯომში—მუშისა და სატკეჩე ქარხნისთვის და სხვ.).

5. საჭიროა, რომ დელეგატებად თათბირზე სამრეწველო საწარმოთა მუშკორებისაგან გამოგზავნილ იქნან ისეთი მუშები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ კედლის გაზეთში, ხოლო გლეხკორებისაგან—ის გლეხები, რომლებიც მიწადმოქმედებას მისდევენ.

6. გაგზავნის დროს მტკიცედ უნდა იქნას დაცული ადგილების განაწილების ის გეგმა, რომელიც ცენტრალური საორგანიზაციო კომისიამ შეიმუშავა.

7. იმასთან დაკავშირებით, რომ თათბირზე მოწყობილი იქნება კედლის გაზეთების გამოფენა, დელეგატებმა უთუოდ თან უნდა წამოიღონ ჩვენების ღირსი კედლის გაზეთები (არ შეიძლება ძველი ნომრების ჩამოტანა).

8. საჭიროა, რომ ის საწარმოთა და სოფლების მუშკორებმა, რომლებსაც მიეცემათ ადგილი თათბირზე, შეიმუშაონ თავიანთ კრებაზე დირექტივები დელეგატებისათვის. ამ დირექტივებში დაწვრილებით უნდა იქნას აღნიშნული მუშგლეხკორთა მუშაობის პირობები, გაზეთის მიღწევები და მუშგლეხკორთა მოძრაობის სიძნელენი.

9. ყველა დელეგატი, რომელიც სამსახურშია, შეინახება საშუალო ხელფასი იმ საწარმოს ან დაწესებულების ხარჯზე, სადაც იგი მუშაობს.

სრულიად საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირის მომწვევი ცენტრალური საორგანიზაციო კომისია.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

საქართველოს პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს სახელმძღვანელოდ დაუგზავნა საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივა მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის ჩატარების შესახებ და წინადადება მისცა მიიღონ რეალური ზომები ამ დირექტივის შესასრულებლად.

საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივაში აღნიშნულ მითითებებს გარდა, საკავშირო ორგანიზაციებმა უნდა გამოიმუშაონ ღონისძიებანი იმ სპეციფიური პირობების მიხედვით, რომელშიც თვითეული კავშირი ან რაიონი იმყოფება.

კერძოდ, კავშირებმა უნდა მიიღონ ზომები აჭარელ და თურქ ქალების სრულიად საქართველოს ყრილობის დადგენილებათა პოპულარიზაციისათვის და ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ ჩადრმოხსნილი ქალებისათვის შრომითი დახმარების შესახებ არსებულ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივა, რომელიც სახელმძღვანელოთ დაეგზავნა საქართველოს პროფორგანიზაციებს, სხვათა შორის წინადადებას იძლევა 8 მარტისათვის მშრომელ ქალთა მონაწილეობით ჩატარებული იქნეს იმ დაწესებულებათა გამოკვლევა, რომელიც მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების პირობებს აუმჯობესებს; ეს გამოკვლევა უნდა ჩატარდეს განსაკუთრებით იმ საწარმოებში, სადაც შემოღებულია 7 საათის სამუშაო დღე (ბაგები, სასადილოები, სამრეცხაოები, საბავშო სახლები და სხვ.).

შემოწმებულ უნდა იქნეს მშრომელ ქალთა ფართო მასების მონაწილეობა ამა თუ იმ ქარხნის, ფაბრიკის, დაწესებულების, წარმოების რაციონალიზაციის, სავაჭრო და სამეურნეო აპარატების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში და ამის მიხედვით დამუშავდეს ღონისძიებები ამ დარგში ქალთა აქტივობის გასაძლიერებლად.

რადგან მომავალში გაიზრდება იმ საწარმოთა რაოდენობა, რომელნიც 7 საათის სამუშაო დღეზე გადავლენ, ამიტომ აუცილებელია, რათა ქალთა ყურადღება მიექცეს შრომის ნაყოფიერების გაზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. ამასთან ერთად გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ საწარმოებში მშრომელ ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებას, მათ მეტ ჩაბმას შრომის დაცვის კომისიებში და სანიტარულ ზედამხედველობის ორგანოების მუშაობაში.

პროფორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ წარსულ წელში ქალთა უმუშევრობის შემცირებისათვის წარმოებულ ბრძოლის შედეგების შემოწმებას.

კარგად უნდა შემოწმდეს მშრომელ ქალთა დაწინაურებისა და მათი სამუშაოზე გამოყენების შედეგები წლის განმავლობაში. 8 მარტის გამო მოწვეულ კრებებზე აუცილებლად უნდა გაკეთდეს დაწინაურებულ და საზოგადოებრივ დარგში მომუშავე მშრომელ ქალთა მოხსენებები მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

პროფკავშირებმა უფრო მტკიცედ და თამამად უნდა გაატარონ მშრომელ ქალთა დაწინაურება საპროფკავშირო, საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა თანამდებობებზე, და აგრეთვე საწარმოებში ადმინისტრატიულ ტექნიკურ სამუშაოებზე. კერძოთ შემოწმებულ უნდა იქნეს და გამომუშავდეს ღონისძიებანი მშრომელ ქალთა დასაწინაურებლად შრომის ინსპექტორებად, განსაკუთრებით იმ სამრეწველო რაიონებში, სადაც ფართოდ არის გამოყენებული ქალის შრომა.

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის წარმატებით ჩატარებისათვის აუცილებელია მასში ჩაბმული იქნენ არა მარტო მშრომელი ქალები, არამედ მუშებიც. ამიტომ კავშირების მიერ გათვალისწინებული ღონისძიებანი ფართოდ უნდა გაშუქდეს საერთო და სადელეგატო კრებებზე, ადგილობრივ პრესაში, კედლის გაზეთებში, ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მუშებისა და მშრომელ ქალების ყველა წინადადება და მითითება.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატში

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის ცნობით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მისი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა 10.363 კაცი, რომელთაც ეძლეოდათ პენსია და ერთდროული დახმარება. ამ რაოდენობიდან რევოლიუციონურ დამსახურებისათვის 685 კაცს ეძლეოდა პერსონალური პენსია. ინვალიდთა სახლში კომისარიატის ხარჯზე მოთავსებულია 300 ინვალიდი. კომისარიატის მიერ სამუშაოებზე მოწყობილია 750 ინვალიდი. გარდა ამისა, კომისარიატს ინვალიდებისათვის მოწყობილი აქვს 37 კოოპერატიული არტელი.

1927-28 წელში ინვალიდთა უზრუნველყოფის საქმეზე დაიხარჯა 827.142 მანეთი.

მიმდინარე წლიდან სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატს დაევალა თავის მზრუნველობაზე აიყვანოს მოხუცებული და დაობლებული გლეხები. მიმდინარე წლამდე ეს საქმე დავალებული ჰქონდათ გლეხკომებს.

შემნახველ სალაროების ერთთვიური

რა ევალებათ სახ. სესხების რეალიზაციის ხელშემწყობ კომისიებს

საქართველოს შემნახველი სალაროების ერთ-თვიურის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისიის თავმჯდომარის ამხ. მგალობლიშვილის ხელმოწერით სახელმწიფო სესხების რეალიზაციის ხელისშემწყ. კომისიებს (რომელთაც ევალებათ მონაწილ. მიიღონ შემნ. სალაროების ერთ-თვიურის კამპანიის ჩატარებაშიაც) გაეგზავნათ სათანადო ცირკულიარი, სადაც განმარტებულია, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ კომისიებმა ერთ-თვიურის კამპანიის ჩატარებაში.

კომისიებს ევალებათ ფართოდ განუმარტონ მშრომელებს შემნახველი სალაროების მნიშვნელობა. ამისათვის ისინი შესაფერისი მოხსენებებით უნდა გამოვიდნენ ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებზე და სოფლად გლეხთა ყრილობებზე.

კამპანიის ჩატარების პერიოდში უნდა დაეხმარონ შემნახველ სალაროებს ახალი ანაბრების მოგროვების და მეანაბრეთა ახალი კადრების მოზიდვის საქმეში. ამასთანავე უნდა დაეხმარონ სალაროებს მათი ოპერაციების მუშა-მოსამსახურეთა და გლეხობისათვის ფართოდ გაცნობაში.

პასუხისმგებელ მუშაკებს (კომისიის წევრებს), თუ ისინი გაიგზავნებიან ადგილებზე დაწესებულების მიერ რაიმე საქმისათვის, გარდა ამ საქმისა, კომისიებმა უნდა დაავალონ ერთ-თვიურის კამპანიის ჩატარებაც.

შემნახველ სალაროების რეორგანიზაცია

გასულ საოპერაციო წლამდე ამიერ-კავკასიაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, არსებობდა მრავალი ცალკე შემნახველი სალარო: ცენტრალური, ფოსტა-ტელეგრაფის სალარო: ცენტრალური ფოსტა-ტელ. მიწერილი დაწესებულება წარმოებებზე, რკ. გზის და სამხედრო შემნახველი სალაროები. ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველი სალაროები შეადგენენ სალაროთა მთელი რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს. გასულ სამეურნეო წელში ჩატარებული იქნა შემნახველი სალაროების რეორგანიზაცია. დატოვებული იქნა შემნახველ სალაროების სამი ძირითადი ტიპი: ცენტრალური, წარმოება-დაწესებულებებზე მიწერილი და სააგენტო. 60 ცენტრალურ შემნახველ სალაროს ნაცვლად, მთელ ამიერ-კავკასიაში დატოვებული იქნა 3 ცენტრალური შემნახველი სალარო (თბილისში, ბაქოში და ერევანში) და ერთი ცენტრალური შემნახველი სალარო ა. კ. რკინის გზათა სამმართველოსთან. უკანასკნელი სალარო აერთიანებს მთელი ა. კ. რკინის გზის სადგურების შემნახველ სალაროების მუშაობას.

ბაქო-ბათომის ახალი ნავთსადენის ამუშავების გამო

ხაშურიდან მიღებული ცნობით, გუშინ, დილის 8 ს. და 30 წ. მუშაობა დაიწყო ბაქო-ბათომის ნავთსადენმა ხაშურ-ბათომის ხაზზე.

ამის გამო, გუშინ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ ხაშურიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„ხაშურის „აზნავთშენის" მუშების და ტეხნიკოსების გაერთიანებული კრება, სოფლის ღარიბ გლეხებთან ერთად გილოცავთ კიდევ ერთ უდიდეს გამარჯვებას სამეურნეო ფრონტზე. დღეს დილის 8 საათზე და 30 წუთზე ხაშურიდან ბათომში გადაქაჩულ იქნა ნავთი, რომელმაც ნორმალურად იდინა და ჩავიდა ხაშურიდან ბათომში. დამთავრდა გადასაქაჩი დროებითი სადგური.

ამასთანავე ერთად გილოცავთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის რვა წლის თავს და მუშურ-გლეხურ წითელი არმიის არსებობის თერთმეტ წლის თავს

კრების მონდობილობით ქუთათელაძე.

ამ დეპეშის საპასუხოთ საქართველოს ცენტ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძემ ზემოხსენებულ კრების მონაწილეებს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გთხოვთ გადასცეთ აზნავთის მუშებს და ტეხნიკოსებს ჩემი აღფრთოვანება ბათომ-ხაშურის ნავთსადენის ბრწყინვალედ დამთავრების გამო. გილოცავთ უდიდეს გამარჯვებას, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს სოციალისტური პროლეტარიატის და საბჭოთა ტეხნიკის ძლევამოსილობას.

გიძღვნით სალამს!

გაუმარჯოს მუშათა კლასს და სოციალიზმს!

ფილიპე მახარაძე".

ბათომ-ხაშურის ხაზზე ნავთსადენის მუშაობის დაწყების გამო, ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძემ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მუსაბეკოვს:

„ეს არის მივიღეთ დეპეშა ხაშურის მუშებისა და ტეხნიკოსთა გაერთიანებული კრებისაგან ხაშურ-ბათომის ხაზზე ახალ ნავთსადენით ნავთის გადაქაჩვის დაწყების შესახებ რაც მოწმობს პროლეტარიატისა და საბჭოთა ტეხნიკის ახალ გამარჯვებას. ეს გამარჯვება საკავშირო მნიშვნელობის გამარჯვებაა.

საქართველოს მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უძღვნი საბჭოთა აზერბეიჯანის მუშებსა და გლეხებს.

გაუმარჯოს ტეხნიკას და ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა შეურყეველ ერთობას!

ფ. მახარაძე".

ამხ. ფ. მახარაძემ, გაგზავნა აგრეთვე მისასალმებელი დეპეშა „აზნავთის უფროსის ამხ. ბარანოვის სახელზე.

დეპეშაში ნათქვამია:

„გულწრფელად გილოცავთ თქვენ, როგორც ბაქოს მთელ პროლეტარიატს ხაშურ-ბათომის ნავთსადენის წარმატებით დამთავრებას, რაც სოციალისტური პროლეტარიატის და საბჭოთა ტეხნიკის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს.

გაუმარჯოს სოციალისტურ მშენებლობას.

ფ. მახარაძე".

საზღვარგარეთ დარჩენილი ქონების დაბრუნება

საქართველოს ცაკმა ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი, რომელშიაც მათ ყურადღებას მიაქცევს საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების იმ მოქმედებაზე, რაც მიზნად ისახავს, უსასყიდლოდ დაცულ იქნეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესი მათი პრეტენზიის მიხედვით საზღვარგარეთ.

საზღვარგარეთ დარჩენილ ქონების და თანხების მიღებას, რაც მრავალ მილიონ დოლარს ან გირვანქა სტერლინგს შეადგენს, ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ხსენებულ თანხების მიმღებ მოქალაქეთათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც ფრიად დაინტერესებულია უცხოეთის ვალიუტის შემოტანაში.

ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოს ცაკი წინადადებას აძლევს ყველა ცენტრალურ ორგანოს მიიღონ სათანადო ზომები, რათა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით ფართოდ იუწყოს რესპუბლიკის მოსახლეობას, რომ იმ მოქალაქეებს, რომელთაც უცხო სახელმწიფოებში აქვთ ქონებრივი პრეტენზია ან იმ მოქალაქეებს, რომელთაც ეძლევათ სადაზღვევო პრემია ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ვეტერანთა ბიუროსაგან და აგრეთვე მემკვიდრეებს, თუ ნათესავნი იმ ჯარისკაცებისა, რომელნიც ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში იყვნენ,—შეუძლიათ წარადგინონ თავისი პრეტენზია საქართველოს წითელი-ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებაში.

რათა საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებამ რაც შეიძლება მეტის წარმატებით შეასრულოს მისთვის დაკისრებული ამოცანა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ავალებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და იუსტიციის სახალხო კომისარიატს დაავალონ თავის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს, რათა მათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებას და მის ადგილობრივ განყოფილებებს ზემოხსენებული კატეგორიის მოქალაქეების აღმოჩენის და მოძებნის საქმეში და რიგს გარეშე აწარმოონ იმ მოქალაქეთა მიერ წარდგენილი დოკუმენტების გაფორმება, რომელნიც აცხადებენ პრეტენზიას უცხოეთში დარჩენილ ქონებაზე.

ამასთანავე წინადადება ეძლევა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რათა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის ორგანოების მიერ გამოშვებული პლაკატები გამოჰკიდონ, მოსახლეობისათვის შესატყობინებლად, საბჭოების, სკოლების, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების, ქოხ-სამკითხველოების, გლეხთა სახლების, მილიციის და საფინანსო განყოფილებების სადგომებში და სხვა საჯარო ადგილებში.

ა.-კ. ცაკში

შემნახველ სალაროების ორკვირეული

ამიერ-კავკასიაში შემნახველ სალაროების ორკვირეულის ჩასატარებლად ა. კ. ცაკთან მოწყობილია სპეციალური კომისია ამხ. შ. ელიავას (თავმჯდომარე), მ. გუსეინოვის, ს. იაკუბოვის, ე. კვანტალიანის, იოსოვის, თ. ტაგიევის; კუზნეცოვის; პოზდეევის, ხნეგორევის; ა. საკიანის; ლაკტიონოვის და ანანოვის შემადგენლობით.

მუშა ქალთა საერთაშორისო დღე

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის ჩასატარებლად მიმდინარე წელს კომისიები შეიქმნება მხოლოდ რესპუბლიკანურ ც. აღმასრულებელ კომიტეტებთან. საერთო ხელმძღვანელობას ამ კომისიებს გაუწევს ა. კ. ცაკის პრეზიდიუმი.

სამხედრო სასწავლებლები

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობის სამხედრო სასწავლებლებში მოზიდვის კამპანიის ჩასატარებლად ა. კ. ცაკთან მოწყობილია სპეციალური კომისია ამხ. ს. იაკუბოვის (თავმჯდომარე), ხოჯამირიანის, ბარქაიას, ხნეგორევის, გრომენკოს, ხარაბაძის; კლიმენტიევის; და ეგიკოვის მონაწილეობით.

პილენკოვის რაიონის გადაცემა ა. კავკასიისთვის

პილენკოვის რაიონის (ჩრდილოეთ კავკასია. შავი ზღვის ნაპირად) ამიერ-კავკასიისთვის გადაცემის ჩამოსაყალიბებლად საკავშირო ცაკთან შექმნილ პარიტეტულ კომისიაში ა. კ. ცაკის წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ბ. ლადარია.

არჩევნები შეუკავშირებელ მოსახლეობის შორის

ვინაიდან არ მოიპოვება შეუკავშირებელი მოსახლეობის სწორი აღრიცხვა, ა. კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო აქ სექტორში არჩევნები ჩატარებული იქნეს საარჩევნო კრების ფაქტიურ დამსწრეთა რაოდენობის მიხედვით.

საქ. სახკომსაბჭოში

1927-28 წ. ბალანსების დამამტკიცებელ კომისიაში

1927-28 წ. ბალანსების დამამტკიცებელი საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარეთ ამხ. მარქაროვის ნაცვლად დაინიშნა ამხ. რასულ-ზადე.

საქართველოს სათეატრო მუზეუმის სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანა

სახკომსაბჭომ დაადგინა გადაყვანილ იქნას საქართველოს სათეატრო მუზეუმი სახელმწიფო ბიუჯეტზე 1929 წლის ოქტომბრის 1-დან.

წინადადება მიეცა განათლების სახალხო კომისარიატს სათეატრო მუზეუმის შესანახად საჭირო ხარჯები შეიტანოს კომისარიატის 1929-30 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში.

წყალდიდობასთან ბრძოლის საქმის მოწყობა

წყალდიდობასთან მებრძოლი სადანგიბო კომისიის მიერ წარმოდგენილი მუშაობის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 210.000 მან. რაოდენობით.

წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გაიღოს უსასყიდლოდ წყალდიდობასთან მებრძოლი სადანგიბო კომისიისათვის საჭირო ხე-ტყის მასალა.

ჯებირის აგება გომის სპირტის ქარხნის წყალდიდობისაგან დასაცავად

წინადადება მიეცა წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამოიკვლიოს ადგილობრივ და წარმოადგინოს სახკომსაბჭოს დასკვნა გომის სპირტის ქარხნის წყალდიდობისაგან დასაცავად საჭირო ჯებირის აგების შესახებ.

საამშენებლო მასალის ბაზრის მომწესრიგებელ კომისიაში

საქართველოს ეკონომიური საბჭოს წარმომადგენლად ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებული საამშენებლო მასალათა ბაზრის მომწესრიგებელ საუწყებათაშორისო კომისიაში დაინიშნა ამხ. ა. საკიანი, ხოლო მის მოადგილეთ ამხ. გ. ვაშკოლევიჩი.

ა. კ. მუშათა კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი

გუშინ საღამოს საქართველოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის მუშათა კოოპერაციის წარმომადგენელთა პირველი თათბირი.

დღის წესრიგში აღნიშნულია შემდეგი საკითხები: მუშათა კოოპერატივების მომარაგება სამრეწველო საქონლით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, მასიური და კულტურულ-განმანათ. მუშაობა მუშათა კოოპერაციაში, პურის ცხობის და საზოგადოებრივი კვების საქმის მდგომარეობა და პერსპექტივები ხორცით ვაჭრობა და მიმდინარე საკითხები.

მუშათა კოოპერატივების მომარაგება სამრეწველო საქონლით

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა „ზაკსოიუზი"-ს წარმომადგენელი მოსკოვში ამხ. ბოკოვი, მან პირველ ყოვლისა თათბირს გააცნო სამრეწველო საქონლის კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის განაწილების სქემა. როგორც სქემის განხილვიდან ჩანს, საქონლის განაწილების დროს უპირატესობა ენიჭება ინდუსტრიულობის დამამზადებელ რაიონებს, შემდეგ ინდუსტრიალური მნიშვნელობის რაიონებს, ხოლო დანარჩენი ნაწილი საქონლისა ნაწილდება მუშათა ცენტრებს შორის.

შეეხო რა სამრეწველო საქონლის განაწილებას კოოპერატიული ორგანიზაციებს შორის, მომხსენებელმა განაცხადა, რომ ბამბის ქსოვილები 1927—28 წელში შემოზიდული იყო ამიერ-კავკასიაში მუშათა კოოპერაციის ხაზით 335 ვაგონის რაოდენობით. მიმდინარე სამეურნეო წლისათვის საკონტროლო ციფრები ჯერ შემუშავებული არ არის. წელს, პირველ კვარტალში შემოზიდულ იქნა 94 ვაგონი და მეორე კვარტალში 83 ვაგონი. შემცირება აიხსნება იმით, რომ ამიერ-კავკასიისათვის გამოყოფილი საქონლის ნაწილი გადაიგზავნა პურის დამამზადებელ რაიონში. მოსალოდნელია მომავალში ამ ნორმის შევსება.

შალეულობა შემოზიდულ იქნა პირველ კვარტალში 270 ვაგონის და მეორე კვარტალში 130 ვაგონის რაოდენობით.

სელის ქსოვილები ჯერ-ჯერობით შემოზიდულია 576.000 მანეთის რაოდენობით.

განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს მზა ტანსაცმელის შემოზიდვა, რადგან მთელი შალეულის უმეტესი ნაწილი კოოპერაციას ეძლევა შეკერილი ტანსაცმლის სახით. ამ წლის პირველ ნახევარში ამიერ-კავკასიის მუშათა კოოპერაციას მიღებული აქვს 1.197.000 მანეთის შეკერილი ტანსაცმელი.

ფეხსაცმელების მხრივ ბაზარზე ახამდე საგრძნობი იყო საქონლის ნაკლებობა. მომავალში მდგომარეობა გამოსწორდება.

კალოშებზე 1928—29 წლის მოთხოვნილება უკვე დაკმაყოფილებულია. 1929—30 წლისათვის მოთხოვნილია მთელი ამიერ-კავკასიის კოოპერაციისათვის 1.963.000 წყვ. კალოში.

სასოფ.-სამეურნეო პროდუქტების დამზადება

შემდეგ გამოვიდა, „ზაკსოიუზი"-ს სავაჭრო განყოფილების გამგე ამხ. არაბაჯიანი, რომელმაც გააკეთა მოხსენება მუშათა კოოპერაციის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების შესახებ.

პირველი ნაბიჯი—განაცხადა მომხსენებელმა, მუშათა კოოპერაციის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების მხრივ „ზაკსოიუზ"-მა გადადგა მიმდინარე სამეურნეო წელს.

ნაწილი პროდუქტებისა მზადდება ადგილობრივ, ხოლო ნაწილი მოდის ცენტრიდან საერთოდ მიღებული წესის მიხედვით.

პროდუქტების დამზადების პრაქტიკამ ცხადჰყო მთელი რიგი დეფექტები როგორიცაა საკმაო გამოცდილების უქონლობა, საჭირო საწყობების უქონლობა, მაღალი ფასები ადგილობრივ ბაზრებზე და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისუსტე დამზადების საქმეში.

ყოველივე ეს „ზაკსოიუზს" ავალებს, რათა მომავალში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება აწარმოოს კონტრაქტაციის წესით, რაც უზრუნველჰყოფს ამ პროდუქტების დამზადების საქმეს.

დღეს დილის სხდომაზე გაიხსნება კამათი ამხ. ბოკოვის და არაბაჯიანის მოხსენებების გარშემო.

მოითხოვენ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვებას

ჭიათურის და საჩხერის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ხმა

ამას წინათ ქ. ჭიათურაში შესდგა ჭიათურის და საჩხერის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც დაისვა საკითხი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხ. ღვალაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში მუშებს გამოაქვთ დადგენილებები, გამოშვებულ იქნეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი, რითაც უფრო გაადვილდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის დაწყებული სამუშაოების ჩქარა შესრულება.

კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება, რომ აღძრული იქნეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის დაჩქარებით გამოშვების შესახებ.

— ჩვენ გარანტიას ვიძლევით,—ნათქვამია კრებაზე მიღებულ რეზოლიუციაში,—რომ თვითეული ჩვენგანი შეიძენს ახალი სესხის ობლიგაციებს თითო—ორ-ორი თვის ხელფასის ფარგლებში. ჭიათურა-საჩხერის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ამასთანავე იწვევს საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებს, გამოეხმაურონ ამ დადგენილებას და მათაც მოითხოვონ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის გამოშვება ამ ახლო ხანში.

განვამტკიცოთ კომკავშირელებისა და აგრონომების კავშირი

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მიმართვა ყველა აგრონომებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატი მშრომელ გლეხობასთან ერთად შეუდგა ახალ მეურნეობის შენებას ჩამორჩენილ, მოუწყობელ და გლეხურ სახელმწიფოში.

მრავალი ასეული ქარხანა ამუშავდა. ტრაქტორებს გუგუნი გააქვთ საბჭოთა კავშირის თვალუწვდენ ველებზე, კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობებთან ერთად სცვლიან სოფლის წვრილ და დაქსაქსულ მეურნეობას. ისტორიამ უკვე გამოუტანა თავისი განაჩენი წვრილ, დაქუცმაცებულ მეურნეობას. მომავალი მსხვილ განსაზოგადოებრივებულ მეურნეობას გეგმიან აღმშენებლობას, სოციალიზმს ეკუთვნის. ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში? გაიმარჯვებს ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური სექტორი, თუ გაიმარჯვებს დარჩენილი კერძო საკუთრება. კულაკურ ელემენტებს და კაპიტალიზმს? აი როგორ სდგას საკითხი რომლის გარშემო სწარმოებს დღეს-დღეობით ჩვენი კლასობრივი ბრძოლა.

ჩვენს მხარეზეა საბჭოთა წესწყობილების მიღწევები, პროლეტარიატის დიქტატურა, მშრომელ გლეხობის დახმარება და „მსხვილი წარმოება, რომელსაც შეუძლია აგრეთვე მიწადმოქმედების რეორგანიზაცია" (ლენინი) ჩვენს წინააღმდეგ არის მრავალი მილიონიან წვრილ და უწვრილეს მეურნეობათა ჩვეულებანი წვრილი წარმოება, „რომელიც შობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას მუდმივად, ყოველ დღე, ყოველ საათს, სტიქიურად და მასიური მასშტაბით" (ლენინი).

ჩვენ უნდა მოვახერხოთ საბჭოთა წესწყობილების და სოციალისტურ გეგმიან მეურნეობის საშუალებით გამოყენება, იმისთვის რათა მშრომელთა მილიონების მთელი ძალ-ღონის, ნების, გონების და ცოდნის დაძაბვით დავაჩქაროთ ჩვენი აღმშენებლობის ტემპი და „შედარებით მოკლე ისტორიულ ხანაში დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ეკონომიკის და ტეხნიკის მხრივ".

პარტია სოციალიზმისათვის ბრძოლაში საპატიო ადგილს უთმობს მეცნიერებს, აგრონომებს, მასწავლებლებს და ინჟინრებს, ჩვენ გვჭირდება მინდვრებისა და ქარხნების ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც შესძლებენ მასების ენტუზიაზმის გამოყენებას, რათა ეს ენტუზიაზმი იქცეს პურის ტონებთან, მანქანებათ, შენობებათ და სხვადასხვა სამრეწველო საქონლად.

თქვენც, ამხანაგო აგრონომებო, უნდა გადახვიდეთ ერთეულებთან მუშაობიდან მილიონებთან მუშაობაზე; თქვენც უნდა შეუდგეთ ტეხნიკურ რევოლიუციის განხორციელებას, როგორც გლეხურ, ისე სკოლების და კოლმეურნეობათა მინდვრებზე. ამ საქმისათვის თქვენ გჭირდებათ თანამებრძოლები და ისეთი ადამიანები, რომლებიც უანგაროთ არიან გამსჭვალულნი კოლექტივიზაციის და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის იდეებით. ჩვენ, კომკავშირელებს გვსურს გავხდეთ თქვენი თანაშემწეები. — ჩვენ, კომკავშირელებს, გვსურს შევუერთოთ ჩვენი ენერგია და რევოლიუციონური ენტუზიაზმი თქვენს ცოდნას, რომ თქვენთან ერთად გავილაშქროთ საერთო შრომისათვის საერთო მიწაზე. კომკავშირს, როგორც მშრომელთა ახალგაზრდობის ინიციატივის და შემოქმედებით, ენერგიის ორგანიზატორს და მის კლასობრივ მისწრაფებათა გამომხატველს რომელი უკვე დიდი ხანია, რაც სათანადოთ დაფასებულია საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და მშრომელ მასების მიერ, კომკავშირს, როგორც სოფლის კოლექტივიზაციის და მოსავლიანობისათვის ლაშქრობის ინიციატორს, 1929 წელში სურს აგრონომებთან კავშირის განმტკიცება.

ამხანაგო აგრონომებო! ჩვენ გვპირდებით კავშირს და დახმარებას მოსავლის გადიდებისათვის და გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ წრეში ჯერ კიდევ მოიპოვება საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, ისიც, რომ საბჭოთა აგრონომების უმრავლესობამ მთელი თავის მუშაობით დაგვანახა, რომ ის ჩვენთან ერთად მხარს უჭერს პარტიის ხაზს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხში.

ამხანაგო აგრონომებო! გაიხსენეთ ახეთ დროს ის მილიონები, რომლებიც მუშაობენ საბჭოებში და კოოპერაციაში, მოიგონეთ პიონერები, მოგვიგონეთ ჩვენ, კომკავშირელები, განა მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა, რომელიც კომკავშირშია დარაზმული, თქვენ არ გიჭერს მხარს ახალი სოფლის შენებაში? განა თქვენს მხარეზე არ არის პარტია, საბჭოები, კოოპერაცია და სახელმწიფოს საუკეთესო შვილები? თქვენ, მარტო არა ხართ. თქვენ მხარში მილიონები გიდგათ.

ჩვენ გვჭირდება თქვენი რჩევა-დარიგება, თქვენი დახმარება, თქვენი მეგობრობა. თქვენ გჭირდებათ ჩვენი ენერგია, ჩვენი ენტუზიაზმი, ჩვენი მარჯვენა.

და ჩვენ გვსურს დღესვე გავიგონოთ თქვენი პასუხი: „ამხანაგო კომკავშირელებო, ჩვენ ერთი მიზანი და ერთი საქმე გვაკავშირებს, ჩვენ ვპირდებით ერთმანეთს, ჩვენ ერთმანეთს მხარს ვუმაგრებთ. მთელ სახელმწიფოს წინაშე, ჩვენ ვამტკიცებთ თქვენთან მეგობრობას. ამხანაგო კომკავშირელებო! ჩვენ თქვენთან ვართ პარტიის ხაზის ცხოვრებაში გატარებისათვის, ჩვენ თქვენთან ვართ სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში.

გაუმარჯოს მეცნიერებისა და შრომის მტკიცე კავშირს!

გაუმარჯოს აგრონომებისა და კომკავშირლების მეგობრობას!

მწყობრი რიგებით გავილაშქროთ მოსავლის გადიდებისათვის, გავილაშქროთ კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის!

საქ. ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

ლაშქრობა მოსავლიანობის გასადიდებლად

გუშინ საღამოს ა.-კ. ცაკში ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით გაიხსნა ამიერ-კავკასიის კომკავშირის ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი მოსავლიანობის გასადიდებლად დაწყებულ ლაშქრობის საკითხების განსახილველად. თათბირზე მონაწილეობას ღებულობენ სასოფლო-სამეურნეო ბანკის, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატების, სას.-სამ. კოოპერაციის, კოლმეურნეობათა ცენტრების, „ზაკპილმაში"-ს და სხვა გაზაფხულის თესვით დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება ადგილებიდან.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელ ამხ. ნესტოროვის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ლაშქრობის დაწყება საქართველოში დაგვიანდა, ვინაიდან კომკავშირის ორგანიზაციები ჩაბმული იყვნენ საარჩევნო კამპანიაში. ამჟამად ლაშქრობის ჩამტარებელი კომიტეტები მოწყობილია თითქმის ყველა მაზრებში. ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილებს დაუგზავნა დირექტივები, რომლის მიხედვითაც იწარმოებს მუშაობა ადგილებზე. განზრახულია მოეწყოს მოკლევადიანი აგრონომიული კურსები, რომლის დამთავრების შემდეგ კურსების მსმენელები დაიგზავნებიან ადგილებზე სამუშაოდ. ლაშქრობაში ჩაბმული იქნება სოფლის უპარტიო ახალგაზრდობა და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლენი ახალგაზრდობისაგან მოწყობილი იქნება მუშათა ბრიგადები, რომლებიც პრაქტიკულად დაეხმარებიან ღარიბ გლეხობას, როგორც თესვაში აგრეთვე შემდეგ სამეურნეო პროცესშიაც. კომკავშირი თავის მუშაობის გეგმას უთანხმებს საშეფო საზოგადოების და თავდაცვის ავიაქიმის მუშაობას. კოლმეურნეობათა ცენტრთან შეთანხმებით მოწყობილი იქნება კოლექტივიზატორთა წრეები, რომლებიც შეუწყობენ ხელს მოსახლეობის კოლექტივებში შეკავშირებას. მოწყობილია აგრეთვე კომკავშირის მსუბუქი კავალერია, რომელიც მიზნად ისახავს თესვის კამპანიის დეფექტების გამოაშკარავებას სოფლად. ლაშქრობის ჩატარებაში კომკავშირული ორგანიზაციები იწვევენ ერთმანეთს ამ ორგანიზაციათა შორის ჩატარებული იქნება შეჯიბრება.

ადგილებიდან მიღებული ცნობების მიხედვით ორგანიზაციები უკვე ფართოდ შეუდგენ პრაქტიკულ საქმიანობას. გორის მაზრაში განზრახულია 20 ახალი კოლექტივის შექმნა; კახეთის მაზრის ორგანიზაციები მიზნად ისახავენ თამბაქოს ნათესების 8 პროცენტით და ბამბის ნათესების 6 პროცენტით გადიდებას. ამავე მაზრაში კომკავშირული ორგანიზაციები ქვრივ-ობლებს და წითელ არმიელთა ოჯახებს დაუმუშავებენ 400 ჰექტარ მიწას. ბორჩალოს მაზრაში მოწყობილი იქნება 12 კოლმეურნეობა. სამანქანო ამხანაგობები და სხ. ამავე მაზრის კომკავშირული ორგანიზაციები ასრულებენ საწყალი არხების გაწმენდას და სხ. კომკავშირულ ლაშქრობაში ფართოდ იქნებიან ჩაბმული წითელი არმიის ნაწილებიც.

შემდეგ სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციიდან მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბესტაევი, კახეთის ორგანიზაციიდან ამხ. წიყურია, აზერბეიჯანიდან ამხ. დანელიანი, გრიგორიანი და აბდულაევი, სომხეთის კომკავშირიდან ამხ. გრიგორიანი.

ლიტერატურული შენიშვნები

(ამხ. ვ. ბახტაძის წერილის გამო „ქართული მხატვრული პროზა 1928 წ." *)

დიდი ხანია რაც ტრადიციათ გადაიქცა წლიური ლიტერატურული მიმოხილვა. ეს ფრიად საჭირო საქმეა, როგორც მკითხველებისათვის, ისე მწერლებისათვისაც. 1928 წლის ლიტერატურული მიმოხილვა (მხოლოდ მხატვრული პროზის) გააკეთა ამხ. ვ. ბახტაძემ.

ჩვენი წერილის მიზანია აღნიშნულ მიმოხილვას გაუკეთოთ ზოგიერთი შენიშვნები.

მთავარი, რაც უპირველეს ყოვლისა თვალში ეცემა მკითხველს ამხ. ვ. ბახტაძის სამიმოხილვო ფელეტონებში არის: არ ჩანს გარკვევით, თუ რა ხასიათის პროცესები მიმდინარეობდა 1928 წლის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში? რა განწყობილებანი გამომჟღავნდა? მოხდა თუ არა გარდატეხები და როგორი? არის თუ არა მიღწევები? რომელი სოციალური ფენა მართავდა ლიტერატურის იდეურ გეზს? მთლიანი ოჯახია ქართული მწერლობა სადაც ყველა მწერლები ძმებია და ერთნაირად ძვირფასი მკითხველისათვის თუ არა. სამწუხაროდ ვ. ბახტაძის მიმოხილვაში ამ საკითხებზე არ არის სათანადოთ ყურადღება მიქცეული და თუ არის მეტად მკრთალად და გაუმახვილებლათ.

მკითხველისათვის სრულებით არ არის საკმარისი ლიტონი სიტყვებით არწმუნოთ რომ ყველა ქართველი მწერალი ნიჭიერია, საინტერესო და სიამოვნებით იკითხება. აუცილებელია თვით მკითხველის კლასიური დანაწილების გათვალისწინება. ვ. ბახტაძისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ერთსახოვანი „ქართველი მკითხველი" არ არსებობს.

ამხ. ვ. ბახტაძის მიმოხილვიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვითომც მწერლები იყვნენ ზეკლასიური, ვითომც ისინი დაბნეულ იყვნენ, (ეს მართალია მხოლოთ წვრილ ბურჟუაზიულ ფენის ერთ ნაწილისათვის), არ ჰქონდეთ არავითარი სამოქმედო პროგრამა, არ იცოდნენ სად წავიდნენ და როგორ მოიქცნენ და სხვ. ასეთ ანალიზს გულუბრყვილობის იერი დაკრავს.

მარქსისტულ კრიტიკას არ უნდა დარჩეს „შეუმჩნეველი" ის გარემოება, რომ მწერლების ზურგს უკან არსებობენ სხვადასხვა სოციალური ფენები, კლასები, რომელნიც კვებავენ და იდეურად ხელმძღვანელობენ მწერლებს. კ. გამსახურდიამ და სხვებმა კარგად იციან თუ რას აკეთებენ და ვის ინტერესებს ემსახურებიან. ამხ. ვ. ბახტაძეს ერთერთი მწერალი, „სირცხვილის" გრძნობის გაღვიძებითაც კი უნდა გამოხაროს რევოლიუციისკენ. ის უსაყვედურებს მიხ. ჯავახიშვილს „სირცხვილია ამ ხანაში ნიჭიერმა მწერალმა „დამპატიჟეებით", ჯაყოებით და გივი შადურებით შემოფარგლოს. სირცხვილია".

— რა საჭიროა თავის მოტყუილება, „სირცხვილ - ნამუსი" რა შუაშია, როდესაც საერთოდ კლასთა ინტერესები სწყვეტს ყველა საკითხებს? როდესაც ჯავახიშვილი „დამპატიჟეებს" სწერს და გივი შადურებს ალაყებს და აბოდებს ეს ფრიად პოლიტიკურ კლასიურ ამბებს ეხება; და ეს ხდება ანტი-პროლეტარულ ფინათა კარნახით.

ამხ. ვ. ბახტაძე კიდევ ერთხელ ახსენებს ფრიად სწორ დებულებას:

„ზოგიერთები ასე ფიქრობენ, რომ ბრძოლა მემარჯვენეობის წინააღმდეგ ლიტერატურაში უნდა ამოიწურებოდეს ბრძოლით იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ორგანიზაციულად არ არიან ჩვენთან. ეს უდიდესი შეცდომაა. პარტია მემარჯვენეობას ებრძვის არა მარტო თავის გარეშე, არამედ საკუთარ რიგებშიაც".

სრული ჭეშმარიტებაა. ამ დებულების კიდევ მეტი გამარტივება შეიძლება. სახელდობრ: მხატვრული ლიტერატურის სფეროში მემარჯვენეობას უნდა ვებრძოლოთ არა მარტო საკუთარ რიგებში, არამედ საკუთარ თავშიაც. მხატვრული გემოვნების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სწორ კლასიური ხაზის დაცვასთან. ხელოვნებას აქვს ძლიერი ემოციონალური ზედმოქმედების უნარი—ამიტომ მის არაპროლეტარულ ნაწილს შეუძლიან თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს ჩვენი ამხანაგიც. მაგალითად: მწერალი რომლის იდეურ სწრაფვას თქვენ არ იზიარებთ, კითხვის დროს „გიტაცებსთ" და „გაჯადოებსთ". მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს განწყობილება განზოგადოებულ იქნეს. ამხ. ვ. ბახტაძე გატაცებულია „ნიჭიერ და საინტერესო ქართველ მწერლებით" და ასეთ თავის გრძნობას ავრცელებს ყველა მკითხველზე.

ზოგადათ მაინც თუ გადავავლებთ თვალს ამხ. ვ. ბახტაძის მზრუნველის ხელით დახატულ სურათებს ქართველი მწერლებისა, დავრწმუნდებით, რომ ფრიად ღია ფერებით არის მოცემული ეს სურათები. გავეცნოთ მაგალითებს. ვ. ბახტაძის გაგებით მწერალი მიხ. ჯავახიშვილი გაკოხტავებული და გაკეთილშობილებულია. მას მიაწერეს ისეთი თვისებები, რომელნიც ბუმბერაზათ ხდიან. ვ. ბახტაძის მიხედვით მ. ჯავახიშვილი მკითხველის უსაყვარლესი მწერალია (?) „გამარჯვებული ბედის მქონე" აქტიური, საკაცობრიო და ეპოქის მწერალი, თავის თავად ცხადია, „ნიჭიერიც და საინტერესოც". მართალია ჯერჯერობით მას აქვს „შეცდომები" „საკოდავ" შადურებს და „დამპატიჟეებს" სწერს, ნაკაცურების დახატვას უნდება, ჯერ კიდევ რევოლიუცია არ „შეუყვარებია", „მაგრამ, თავისი-თავისადმი პატივისცემა არ მისცემს უფლებას... ადრე თუ გვიან არ მიადგეს ეპოქის კარებს", დაახლოვებით ასეთია მწერლის სახე, ვ. ბახტაძის ათვისებით. მ. ჯავახიშვილის შემოქმედება მუშათა მკითხველს, აძლევს საფუძველს სულ სხვაგვარად შეაფასოს მისი ლიტერატურული სახე და გზები: ის არც თუ ხრამის წინ სდგას არამედ უკვე საკმაო სისწრაფით მიემართება მის სიღრმისაკენ. — მის მუშაობას გასულ წელს ახასიათებდა გარკვეული მემარჯვენეობა. ეხლა არ არის დრო მის ნაწარმოებთა დაწვრილებით გარჩევისა (ეს მიმომხილველის მოვალეობა იყო), მოვიყვანთ მხოლოთ ერთ მაგალითს მის უკანასკნელ ნაწარმოებიდან. ავალაპარაკოთ იგივე „გივი შადური" (ე.ი. მიხ. ჯავახიშვილი,—რადგან ამ „გმირის" მოსაზრება სავსებით გაიგივებულია ავტორთან). ამჟამად ჩვენ ხელთ არის ჟურნალ „ქართული მწერლობის" გვერდის კორექტურა მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობიდან; მწერლის სახის სრულ გამოსამჟღავნებლათ მოვიყვანთ იმ ადგილებსაც, რომელიც რედაქტორის მიერ კორექტურაში ამოგდებულ იქნა. (მწერლის გასალამაზებლად ალბათ ბ.) „გმირი" შადური მოუთხრობს მწერალთა თბილ კომპანიას ანეგდოტებს, არშიყობის მოწინააღმდეგე ბერის შესახებ და ასკვნის: „ასეთი ბერები მწერლობაშიც გამრავლდენ. კეტებით დასდევენ მთვარეს, ლამაზ ქალებსა და მომხიბლავ სიტყვებს. არ გაექცეთ პოეტებო. თქვენც აიღეთ მარგილები და ურტყით მათ, გარეკეთ, გააჩუმეთ, თავიანთ საქმეს დაუბრუნეთ" (ამის შემდეგ დაბეჭდილ ტექსტში ამოგდებულია შემდეგი მწკრივები:) დეე ჩუსტები დააკერონ, ქუჩები მოკირწყლონ, ან მოედანზე გავიდნენ და ჩექმები წმინდონ. პოეტი მათ საქმეში არ ერევა. მაშ ნურც ისინი შემოიჭრებიან თქვენს სამფლობელოში თავიანთი ცოცხებით, სადგისებით და ბირდაბირებით. აგრე გენაცვალეთ კალმის წვერში. შეუტიეთ, დასცხეთ, იფრინეთ. მაგრამ ჩუმათ. გივი შადური. ჩუმათ თორემ გაგიგებენ და შენეე გიფრენენ, ხე-ხე.

უტყუარი ამბავია რეაქციის ბრჭყალების ნიშანი; თუ ვინმე მხატვრულ ნაწარმოებში მოხერხებულათ ჩაჩხოვილ „არშიყობაში" ეგრე ადვილად ვერ გაარჩევდა მწერლის სახეს,—ამ მიშველი პუბლიცისტური ბწკრების შემდეგ აშკარა გახდება ყველასათვის, თუ რაოდენ ზიზღს, მგლურ სიძულვილს იტევს მწერალი „ცოცხების, სადგისების, ბირდაბირების" მქონებელთა, „ჩექმების მწმენდელთა", ქვის მთლელთა და სხვ. ე. ი. მთლიანად პროლეტარიატის წინააღმდეგ. დამთხვეულ შადურების თავხედობა იქამდისაც კი მიდის, რომ საკუთარ „სამფლობელოების" ქონებას და ხელშეუხებლობასაც ითხოვენ; ჩვენ ხომ „მათ" საქმეში არ ვერევითო. კლასიურ ბრძოლის მჭრელი იარაღის მწერლობის მონოპოლიურათ ხელში ჩაგდება მოინდომა შადურების ხროვამ, თავიანთ ბნელი ზრახვების გასანაღდებლათ. ყვირის, ლოზუნგებს ისვრის გააქტიურებული შადურ-ჯავახიშვილი, „შეუტიეთ, დასცხეთ, იფრინეთ". — მაგრამ თვითვე დამფრთხალი საკუთარ ყვირილისაგან ჩურჩულებს, „ჩუმათ-ჩუმათ, ხე-ხე",—ხითხითებს შავი კბილებით მოღლვარე შადურ - ჯავახიშვილი და გესლიანი კალმის წრიპინით დაიმედებული საომრათ ემზადება მათ წინააღმდეგ, ვინც შეადგენენ ეპოქის გულს და სოციალიზმის მშენებლებს. ფრიად საოცარია თუ როგორ მოახერხა ამხ. ვ. ბახტაძემ წარმოედგინა მიხ. ჯავახიშვილი „ეპოქის საკითხებით დაინტერესებულ", „ეპოქის მწერლათ". — რა საბუთები ჰქონდა მას, როდესაც განაცხადა: „მისი ნაწერები საინტერესოა, როგორც ეპოქის ადამიანის დოკუმენტები"-ო. საიდან არის ეპოქის მწერალი ჯავახიშვილი? რომელ მის ნაწარმოებში ჩანს ეს? რით შეიგნო მან თანამედროვე ეპოქა? ეპოქის რომელი საკითხები, პრობლემები, დასვა მან?

რით ჩანს მისი ეპოქალურობა. ბულვარული „კვაჭი კვაჭანტირაძით?" „მუსუსების", „ოქროს კბილების" „ჯაყოების" — ავადმყოფური პორნოგრაფიით? ეს ხომ ძველთა ძველია. ან იქნებ მახინჯ, შეთხზულ „დამპატიჟეებით", გესლიან და დამთხვეულ „შადურებით".. ან იქნებ რომელიმე მწერალმა თეიმურაზებისთანა ზიმილიტი ადამიანები რომ გვიჩვენოს, ამით გახდება „ეპოქის მწერალი"... არა მგონია, რომ კმაროდეს ეპოქის ქუჭყის ჩიჩქნა. ამა თუ იმ მწერალმა ერთხელ რომ თავის თავი მოგვიყვეს და ამით გვიჩვენოს ზედმეტი ადამიანი, ამით ის კიდევ ვერ გახდება ეპოქის მწერალი. მიხ. ჯავახიშვილის კალამი ბლაგვია ეპოქის ათვისებისათვის და მით უმეტეს ის შორსაა ეპოქის გმირების ჩვენებისაგან. როგორ აითვისებს ჯავახიშვილი ცოცხის, ჩაქუჩის, ბირდაბირის, სადგისის— მქონე ხალხს რომელნიც ეპოქის, რევოლიუციის მკეთებელ კადრს შეადგენენ, როდესაც ის გრძნობს მათდამი ძლიერ კლასიურ სიძულვილს. ის მათში გრძნობს თავის დაუძინებელ მტრებს, რომელნიც ცოცხს მასაც გააყოლებენ, თუ მწერალი საბოლოოდ შადურის ლვარძლიან „ფილოსოფიასთან" დარჩა. ამაოდ იღებს ამხ. ვ. ბახტაძე სიტყვას ყველა მკითხველების სახელით და ამტკიცებს რომ ჯავახიშვილი ქართველი მასიური მკითხველის უსაყვარლესი მწერალია და „გამარჯვებული ბედის მქონე"-ო. ეს ფრიად მნიშვნელოვანი თავის მოტყუება ან შეცდომაა.

ვ. ბახტაძისაი თქმით: ეპოქის მწერალმა ჯავახიშვილმა — ეპოქის გული ახალი რევოლიუცია ვერ შეიყვარა თუ არ შეიყვარა". ამ დებულებიდან გამომდინარეობს ვ. ბახტაძის მოსაზრებისადმი ძირითადად დაპირდაპირებული დასკვნები. მწერალი რომელმაც ვერ თუ არ შეიყვარა რევოლიუცია, ჯერ ერთი არ არის ეპოქის მწერალი და მერე ის რომ, არ შეიძლება ასეთი მწერალი იყოს „საყვარელი" მასიურ მკითხველისათვის და „გამარჯვებული ბედის" იქნეს. ეს არც არის ასე.

ყოველგვარ საფუძველს იქნება მოკლებული, რომ მასიური მკითხველის ყველა ფენა ჩავთვალოთ ჯავახიშვილის „მოტრფიალეებათ". წვრილ-ბურჟუაზიულ მეშჩანურ, ობივატელურ ფენებისათვის, ჯავახიშვილი მართლაც და საყვარელი მწერალია, მაგრამ რა შუაშია ამ სიყვარულთან — მკითხველის ახალი უდიდესი მუშათა ფენა. ამხ. ვ. ბახტაძე ერთხელ მაინც რომ დასწრებოდა მუშათა კლუბში საღამოებს, სადაც ჯავახიშვილის შემოქმედება ირჩეოდა მაშინ დარწმუნდებოდა, თუ როგორ და რამდენათ უყვარს მუშათა მკითხველს ჯავახიშვილი.

ვერ დავეთანხმებით ამხ. ვ. ბახტაძეს, მასში რომ ვითომცდა: „ჯავახიშვილისაგან ჩვენმა ახალგაზრდა პროლეტარულმა მწერლებმა უნდა ისწავლონ ის, რაც მწერლობაში მთავარია: მკითხველის — ცხადია თანამედროვეობით გამსჭვალულ მკითხველის დაინტერესება. უნდა ისწავლონ საინტერესო წერა". მიხ. ჯავახიშვილის „საინტერესოობის" საიდუმლოება მდგომარეობს ავადმყოფურ, იაფ ფასიან პორნოგრაფიაში. იმპონტენტურ ფანტაზიორობაში. მწერალი მკითხველს აინტერესებს ბულვარული სიშიშვლით „მუსუსის" იაფ ფასიანი ეფექტით, „ოქროს კბილის" ქალის ინტიმური ტანისამოსის ეგზოტიკით და სხვა. ამგვარ ერთ-ერთი მუშათა კრიტიკის საღამოზე, ერთმა ახალგაზრდა მუშამ ხაზგასმით აღნიშნა: ჯავახიშვილის ნაწარმოები უმთავრესად იმიტომ იტაცებს ხალხს—რომ ურმებზე არის მოქმედებაო. ამხ. ბახტაძის რჩევა მიუხედავათ მისი მეგობრული ტონისა მავნეა პროლეტმწერლებისათვის. ამდაგვარ „დაინტერესებას" პროლეტარული მწერლობა არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს. დეე ისევ მხოლოდ ჯავახიშვილს შერჩეს. იაფ ფასიან გამაღიზიანებელის როლი.

ჩვენ გაკვირვებული დავრჩით კ. გამსახურდიას ისეთ შეფასებითაც რომელსაც იძლევა ამხ. ვ. ბახტაძე. ეს მწერალი უკიდურესად მემარჯვენეა. ვ. ბახტაძე მას შორი ახლო უვლის, მშვიდათ ესაუბრება, ხოტბასაც ასხამს და მის „რაღაცაში" დაჯერებას სცდილობს.

ვ. ბახტაძის აზრით კ. გამსახურდია მოკლებულია საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც" სიამოვნებით იკითხება გამსახურდიას ნაწერები". ამ მიზეზით აღტაცებული ავტორი მას „დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს"მაგრამ იქვე დასძენს რომ ის მალე მოკვდება როგორც თანამედროვე საქართველოსთვის საინტერესო მწერალი. (მაშ ახლა საინტერესო ყოფილა. ბ.) ვერაფერი გავიგეთ, დავიბენით, აუცილებელია და საჭიროა კ. გამსახურდიაზე უფრო გარკვევით ვილაპარაკოთ. ის ამისათვის სათანადო მასალას იძლევა. გულუბრყვილობა ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. მარქსისტ-კრიტიკოსის მოვალეობაა გარკვევა მისი სოციალური ბუნების. გამსახურდია დიდი ხანია რაც „ჩაუფიქრდა თავის ბედს" რომელმაც მისცა ბედნიერება ქვეყნის სამსახურის ერთ-ერთ ფრონტზე მუშაობისა" (sic!) მან კარგათ იცის თუ რას აკეთებს და რისთვის. ვ. ბახტაძე თხოვს მწერალს უპასუხოს მკითხველს თუ რაშია საქმე, კვდება ის ახალ საქართველოსთვის თუ არა? ვ. ბახტაძეს ავიწყდება, ან და ვერ შეამჩნია, რომ გამსახურდიამ უკვე უპასუხა მკითხველს. ის მას ყოველ თავის ახალ ნაწარმოებიდაც აძლევს პასუხს. ის გულის „მესაიდუმლეა" რეაქციონური განწყობილების მკითხველის. ის შეტევაზედაც გადმოდის და სცდილობს მუშათა მკითხველების დაპყრობასაც. მუშათა მკითხველი არაფერ სანუგეშოს არ ელის გამსახურდიასაგან და ამიტომ არც „მოთმინება ელევა". ახალი მუშა მკითხველი არ არის ასეთი გულუბრყვილო. მისი კლასიური ალღო არასოდეს ისე არ დაჩლუნგდება, რომ ვერ გაერკვეს ამა თუ იმ მწერლის ზრახვებში. მან კარგათ იცის, რომ მგელი—ცხვრათ არ გადაიქცევა და ყველა„ნიჭიერი"მტერი მისი მოკეთე არ გახდება. მით უმეტეს ის არ მოსტყუვდება კ. გამსახურდიას მზგავს, რეაქციონურ სიბეცით დამბლადაკრულ, ბრმა შემოქმედებაში მხოლოდ მავნებელი მემარჯვენეობა და ლიბერალური „კეთილ-შობილება" რომელიმე „ესტეტისა", შესძლებს ასეთი მწერლის ბედის შესახებ კიდევ გაკვირვებული საკითხების დასმას.

სხვა მწერლების შეფასებაც ისეთივე „გულუხვი" როგორც ზემოთ მოყვანილ ორი მწერლის. ვ. ბახტაძის წარმოდგენაში ყველა დანარჩენიც „საინტერესო, ნიჭიერი და საყვარელი მწერლებია" აგრეთვე გაკეთებულია მეტისმეტად ჩქარი და უსაფუძვლო დასკვნები. ზერელეთ და ადვილათ გაცემულია თანამგზავრობის პატენტებიც. არისტო ქუმბაძე ვ. ბახტაძის აზრით ჩანს ყველაზე მეტ თანამგზავრათ. ეს სიმართლეს არ შეეფერება. ერთი პატარა მოთხრობით „მოსისხლენი", ჯერ კიდევ არ შეიძლება უყოყმანოთ თანამგზავრთა რიცხვში მოხვედრა. ა. ქუმბაძე [illegible] მარჯვენე აკადემიკოსთა ბანაკში იმყოფებოდა და თანამგზავრობა მან უმთავრესად მომავალ მუშაობით უნდა დაგვიმტკიცოს.

მიმოხილვის ავტორს ხშირათ იპყრობს გაზვიადებული ქების მადა. ეს შეეხება თითქმის ყველა მწერალს (გარდა გრ. რობაქიძისა—ნეტავ მან რაღა დააშავა; და პროლეტარულ მწერლებისა) განსაკუთრებით გაზვიადებულია დემნა შენგელაია; მწერალი რომელიც განიცდის გარკვეულ კრიზისს: საზოგადოებრივათ ჯერ კიდევ გამოურკვეველია — არა აქვს შემოქმედებითი მასალა და ჯერ კიდევ სუსტადა აქვს განვითარებული მემარცხენე, თანადროულობის ალღო. მისი ნაწყვეტები„რუსეთუმე" „ბათა-ქექია" დაბეჭდილი, 1928 წ. მცირე საზოგადოებრივი რეზონანსის იყვნენ და მკითხველის (გარდა ვ. ბახტაძისა) ყურადღების გარეშე დარჩნენ.

დ. შენგელაია ცნობილი და მნიშვნელოვანი მწერალია და კიდევ შეიძლება რაოდენობით გამართლდეს მისი ერთგვარი გადაფასება. მაგრამ ყოვლად გაუგებარია მიმოხილვის მიერ სტეფანე კასრაძის ლიტერატურის მწვერვალზე ამოტივტივება.—მას აქვს მხოლოდ 2—3 მოთხრობა,სადაც გამომჟღავნა თავის განურჩევლობა, ობივატელური აპოლიტიურობა და ყრუდ აცილება თანამედროვეობისადმი. ყველა ეს თვისებები იძლევიან საბუთს. დავასკვნათ რომ ს. კასრაძე შეუმჩნევლათ დარჩება ლიტერატურის გარეშე. მისი „ქება-დიდება" კი გაუგებარი უადგილო და უსაფუძვლოა.

საინტერესოა გავიგოთ თუ რა პრინციპით არის შერჩეული განსახილველი მწერლები. სუბიექტიურ „მოწონებას" აქვს ადგილი თუ რაიმე მეთოდს? მიმოხილვის ხასიათი ადასტურებს, რომ მასში უმთავრესია „მოწონება".

მაგალითად: ვის ახსოვს, ვის აინტერესებს, ვის აღელვებს განხილვაში შეტანილი მწერალი აკაკი პაპავა. რა საზოგადოებრივი ღირსება აქვს მის მდარე შემოქმედებას?. აკაკი პაპავა უკვე „დავიწყებული" დაკარგულია. ასე რომ მიმომხილველის ზრუნვა ვეღარა უშველის.

პროლეტარული მწერლები მიმოხილვაში ფრიად მკრთალად გამოიყურებიან. არსად სჩანან მთელი რიგი ავტორებისა, რომელიც იბეჭდებოდნენ 1928 წელში. კრიტიკის მოვალეობა არის არა მარტო საინტერესო „მარგალიტების" ძებნა, არამედ გარჩევა, შეფასება, კარგის და ცუდის გამომჟღავნება. ვ. ბახტაძის მიმოხილვაში, პროლეტარულ მწერლობის მიმართ ამას ვერ ვიპოვით. მიმომხილველმა აღნიშნა, რომ ე. პოლუმორდვინოვის მოთხრობა „შაშილარ"-ის „თემა" საინტერესოაო: — მაგრამ იქვე საჩქაროთ მონახა მეორე მოთხრობა სვანეთის ცხოვრებიდან (ლეო ქიაჩელის) და დაასკვნა რომ „იგი უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს ვიდრე ელიზბარ პოლუმორდვინოვის „შაშილარ". ჯერ ერთი: ძირითადში შემცდარია ნაწარმოების დაპირდაპირება. მეორე: „შაშილარ" ლეო ქიაჩელის მოთხრობას „ალმასგირ კიბულან"-ს არ შეედრება. პირველში მოცემულია ძველისა და ახლის ბრძოლა. სვანეთის ყოფა-ცხოვრებაში მეორეში:—ნაჩვენებია ეპიზოდი სვანი მამაშვილის დაღუპვისა. მოიჯარადრესთან მუშაობის დროს. ფრიად საეჭვოა თუ რამდენათ შეეფერება სინამდვილეს მწერლის მიერ მოთხრობილი ამბავი. რომელსაც შეუძლიან ითამაშოს ობიექტიურათ რეაქციონური როლი. ასე რომ ამ ნაწარმოებთა შედარება არ შეიძლება „კიბულანის" სასარგებლოთ გათავდეს, როგორც ამას სჩადის მიმომხილველი.

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამხ. ვ. ბახტაძე მეტათ ხშირათ ხმარობს სიტყვებს „ნიჭიერნი" „საინტერესო" და რადგანაც მისთვის ყველა ნიჭიერი და საინტერესო აღმოჩნდა, გაურკვეველი შეიქნა თუ მართლაც და რას გულისხმობს ის ამ სიტყვების ქვეშ.

საინტერესო და უმეტეს შემთხვევაში ნიჭიერიც შეიძლება იყვეს ის მწერალი, რომელიც გამსჭვალულია თანამედროვეობის მოწინავე იდეებით. ის ვინაც შეიგრძნო პროლეტარიატის სწრაფვა, განიმსჭვალა მისი ინტერესებით, როგორც თანამედროვეობის ეპოქის მამოძრავებელ კლასის. დღეს ეპოქის მწერალი და საინტერესოც იქნება მხოლოდ ის ვინც ცოცხლობს ეპოქის იდეებით. შეცდომაა „ნიჭიერობისთვის" განსაკუთრებული მისტიური ელფერის მიცემა და ამ ნიადაგზე ოდნავი კაპიტულიაციაც კი. საჭიროა ანტი-პროლეტარულ მწერლების გავლენასთან ბრძოლა, მაგრამ არ „შერცხვენით". კლასიურ ბრძოლაში „სირცხვილია" არ მოქმედებს და „ნიჭიერებაც" არავითარ შუაშია. (ნიჭიერი ემიგრაციაშიაც ბევრია) მარქსისტულ-კრიტიკისათვის აუცილებელია კლასიური ალღოს მეტი გამახვილება.

ბენ. ბუაჩიძე.

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 1, 2, 3, 4.

ქრონიკა

მისალმება ქუთაისის ქაფ-სალებ ქარხნის მუშებს

ქუთაისის ახალ ქაფ-სალებ ქარხნის გახსნის გამო, საქ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ ქუთაისის აღმასკომს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტს გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ქუთაისის ახალ ქაფ-სალებ ქარხნის გახსნა მოასწავებს ახალ გამარჯვებას ჩვენში აღმშენებლობის ფრონტზე. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მოვესალმები ახალი ქარხნის მუშებს და ხელმძღვანელებს და გამოვსთქვამ რწმენას, რომ ისინი არას დროს არ დაზოგავენ თავიანთ ძალ ღონეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისათვის.

ავტომობილების მიმოსვლა შეწყვეტილია

„ზაკავტოპრომტორგში" მიღებული ცნობით, გზატკეცილებზე დიდი თოვლი სძევს. ავტომობილების მიმოსვლა ყველა გზატკეცილებზე მთელს ამიერ-კავკასიაში დროებით შეწყვეტილია.

პროფტექნიკური განათლების ფონდი

ამიერ-კავკასიის პროფტექნიკური განათლების ფონდი 309.496 მანეთის რაოდენობით ა.-კ. სახკომსაბჭომ რესპუბლიკათა შორის გაანაწილა შემდეგნაირად: აზერბეიჯანს მიეცა 160.938 მანეთი, საქართველოს — 102.134 მანეთი და სომხეთს — 46.424 მანეთი.

სათადარიგო მოწყალების დათა კურსების გახსნა

26 თებერვალს, საქართველოს წითელ ჯვართან გაიხსნა მოწყალების დათა სათადარიგო კურსები (ქართულ ენაზე). კურსებზე მიღებულია 60 ქალი. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში სამჯერ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 6-დან—9 საათამდე.

გლეხური მეურნეობის დაქუცმაცებასთან ბრძოლა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ამუშავებს ღონისძიებებს სოფლად გლეხური მეურნეობის დაქუცმაცებასთან საბრძოლველად. ღონისძიებები დამუშავებული იქნება მიწათმოწყობის განყოფილების და სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

ქალაქის კომენდანტისაგან

ქალ. თბილისისა და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ დღეს, 28 თებერვალს მლაშე ტბის მახლობლათ იწარმოებს ზარბაზნების სროლა. 28 თებერვალს და 1-ლ მარტს „თეთრი დუქანის" რაიონში, საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე იწარმოებს თოფების და ტყვიის-მფრქვეველების სროლა ჯავშნოსანი ავტომობილებიდან. 28 თებერვალს, სად. ნავთლუღის რაიონში იწარმოებს ასაფეთქებელი სამუშაოები.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **რენტგენის კაბინეტი ქუთაისისათვის.** ჯანსახკომში მიღებულია საზღვარგარეთიდან გამოწერილი რენტგენის კაბინეტის მოწყობილობა ქუთაისის საავადმყოფოსათვის.

◆ **საექიმო რაზმის გაგზავნა.** 1-ლი მარტიდან შორაპნის მაზრაში იგზავნება საექიმო რაზმი, ჩხარის რაიონში სამუშაოთ.

ს. მ. უ. საბჭოში

◆ **კრედიტები ადგილობრივი მრეწველობისათვის.** ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ შეიმუშავა გეგმა ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოებებს შორის კრედიტების გასანაწილებლათ.

◆ **ბეტუმის ქარხანა.** მომავალი საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან ნატანებში დაიწყება ბეტუმის ქარხნის აგება. ქარხანა დაჯდება 800.000 მანეთი.

◆ **მადნეულობის გატანა.** სამთო ტრესტის ცნობით მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოდან გატანილი იქნება 2.000 ტონა დიატომიტის მადანი.

სხვადასხვა

◆ **თურქული გაზეთი ახალ ანბანზე.** გაზ. „ენი კენდ", რომელიც თბილისში გამოდიოდა ძველი თურქული ანბანით 1-ლი მარტიდან გადადის ახალ თურქულ შრიფტზე.

◆ **გლეხთა სახლის გახსნა.** გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის ცნობით, სოფ. წითელ წყაროზე (კახეთი) გაიხსნა გლეხთა სახლი.

◆ **1442 ჰექტარი ჩაის პლანტაციები.** საზ-ბა „საქართველოს ჩაის" ცნობით, წელს გაშენებული იქნება ჩაის ახალი პლანტაციები 1442 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე.

◆ **სამზადისი 8 მარტისათვის.** განათლების კომისარიატმა მიმართა ყველა სამაზრო განათლების განყოფილებებს ფართოდ ჩააბან სკოლები ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩატარებაში.

რკინის გზებზე

ა.-კ. რკ. გზის აღმშენებლობის გამოფენა

გუშინ, ამ.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის შენობაში გაიხსნა ა.-კ. რკინის გზებზე წარმოებულ აღმშენებლობის გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია გზებზე დღევანდლამდე წარმოებული აღმშენებლობის ნიმუშები და პერსპექტიული გეგმები დიაგრამების, ნახაზების და ესკიზურ პროექტების სახით.

გამოფენაზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის განყოფილება. ეს განყოფილება ნათელ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს უღელტეხილის ელექტროფიკაციას საერთოდ და კერძოდ სატრანსპორტო მეურნეობისათვის და როგორ ეკონომიას მისცემს იგი გზას. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ელექტროენერგიის გადამცემი ხაზის ანძის მოდელი.

გამოფენაზე წარმოდგენილია კაზანცევის სისტემის ორგამტარი მუხრუჭის მოდელი, რომელიც მუხრუჭის მოქმედების თვალსაჩინო სურათს იძლევა. ცალკე დაფაზე გამოფენილია ა.-კ. რკ. გზებზე მომუშავე ინჟინერ-აღმშენებლების ნაშრომები.

მრავლად არის აგრეთვე წარმოდგენილი გამოფენაზე უკვე აშენებულ და შენების პროცესში მყოფ ნაგებობათა ფოტოგრაფიული სურათები. ამასთანავე წარმოდგენილია ის მასალები, რომელთაც ხმარობენ რკინის გზებზე აღმშენებლობაში.

გამოფენასთან მოწყობილია კიოსკი, სადაც მრავლად მოიპოვება ლიტერატურა აღმშენებლობის და სპეციალურ საკითხებზე.

110.000 მანეთი სასკოლო მშენებლობისათვის

გზათა სახ. კომისარიატმა ა.-კ. რკინის გზების გამგეობას გადასცა 110.000 მანეთი სასკოლო მშენებლობისათვის.

ამ თანხიდან 75.000 მანეთი გადადებულია ხაშურში შვიდწლიდი შრომის სკოლის ახალი შენობის ასაგებად და 35.000 მანეთი—თბილისში ამხ. შ. ელიავას სახელობის საგზაო ტექნიკუმის შენობაზე მესამე სართულის ასაშენებლად.

ხე-ტყის მასალები შიათურისათვის

მარგანეცის ტრესტმა ა.-კ. რკ. გზების გამგეობას წაუყენა მოთხოვნილება 850 ვაგონზე ფოთიდან ჭიათურაში ხე-ტყის მასალების გადასაზიდად.

ამჟამად გზა ამზადებს ვაგონებს ტრესტის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მზადება თესვისათვის

ა.-კ. რკინის გზა იღებს ყოველგვარ ზომებს გაზაფხულის თესვისათვის საჭირო მასალების ადგილებზე დაუყოვნებლივ გადაზიდვისათვის.

ამ მიზნით ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაციას მიცემული აქვს წინადადება რიგს გარეშე მიიღონ და გასცენ თესვის კამპანიისათვის საჭირო სათესი მასალები, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და სხვა.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

„რომეო და ჯულიეტა", მუს. შ. გუნოსი

ჩვენ ვერ გავიგეთ, თუ რა ტექნიკურმა პირობებმა გამოიწვიეს ამ ოპერის ისეთი დამახინჯება, და უმსგავსო განსახიერება, როგორსაც ადგილი ჰქონდა 24 იანვარს. აუდიტორია მრავალ დრამატიულ მომენტების განსახიერებას ეგებებოდა ხან სიცილით, ხან კი ცხადი უკმაყოფილებით. ნუ თუ ოპერის მესვეურები გულისხმობდნენ, რომ ი. კოზლოვსკის შემოქმედება საკმარისია ამ ოპერის შეუწყნარებელი დამახინჯების დასაჩრდილავად? სინამდვილე სულ წინააღმდეგს გვეუბნება: კოზლოვსკის არც ერთმა საუკეთესო და ღრმად მოფიქრებულ განზრახვამ ვერ მოიპოვა გამართლება მასთან მონაწილე დასის შემოქმედებაში; უფერულად ჩატარდა რომეოს (კოზლოვსკი) ყველა დუეტები ჯულიეტასთან (აფრამეევა), და შექსპირის და გუნოს შეერთებული ნიჭის გაქანება გაქარწყლდა მსმენელ-მაყურებლის თვალში.

ი. კოზლოვსკის გარდა, კეთილსინდისიერი მოპყრობა თავის სასიმღერო და სცენიურ როლებთან შეეტყო მხოლოდ სუხოდოლსკის (მღვდელი ლორანი) და ოვჩარენკოს (სტეფანო). ამ უკანასკნელის შესახებ ეს უფრო აღსანიშნავია, ვინაიდან მან შესცვალა აფიშებში გამოცხადებული ვლადისლავსკი, და, ცხადია, რომ მას არ ქონდა საშუალება ორკესტრთან ვარჯიშობისა და მიზანსცენის დამუშავებისათვის. დანარჩენ მონაწილეთა და მათთან ერთად გუნდის შემოქმედებას—არ შევეხები, ვინაიდან ამ შემთხვევაში მომიხდებოდა ლაპარაკი არა შემოქმედებაზე, არამედ „უმოქმედებაზე" და გაუმართლებელ მოუმზადებლობაზე.

შევჩერდები მხოლოდ მომღერალ აფრამეევას გაუგებარ მისწრაფებაზე კოლორატურულ პარტიებისადმი. საერთო მოვლენაა, რომ ბგეროვანი მასალა, ნაძალადევად დამუშავებული არა ბუნებრივი, არამედ უცხო ფერებში, კარგავს მიმზიდველობას, ბგეროვან სისუფთავეს და ძნელად ემორჩილება მომღერალს მსუბუქად მოსატრიალებელ ადგილებში. ამისთანა ხმის შეფარდება საერთო სასიმღეროში მეორე, სუფთა და ნორმალურად დამუშავებულ ხმასთან ჩრდილავს ამ უკანასკნელის მიმზიდველობასაც. სწორედ ამიტომ კოზლოვსკის ყველა დუეტმა აფრამეევასთან დაკარგა სიმტკიცე. თუ ამას დავსძენთ, რომ აფრამეევას სიმღერის დროს თითქმის ვერც ერთი სიტყვა გარკვეულად ვერ აღწევს აუდიტორიის ყურთა სმენამდე, ცხადია, რომ მისი გამოსვლა ჯულიეტას როლში გამარჯვებად ვერ ჩაითვლება.

ზემოთ ხსენებულ პირობებში ლოტბარი განიცდის უხერხულობას და მხოლოდ თეატრალური დისციპლინა აკავებს მას სალოტბარო ადგილზე წარმოდგენის დროს. როდესაც ასეთ პირობებში ჩავარდნილია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ფალიაშვილი, მიზანშეწონილად მივაჩნია მოვითხოვოთ მეტი სიფრთხილე ამ ლოტბარის ღირსეულად გამოყენებაში.

კოტე მელვინეთ-უხუცესი

თათბირი მწერალთა ფედერაციაში

ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული განყოფილების გახსნის გამო

მოსკოვში ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული განყოფილების დაარსების გამო, საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა მოიწვია საგანგებო გაფართოებული თათბირი, რომელზედაც საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ამაღლობელი. ამაღლობელმა თათბირს გადასცა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული განყოფილება და რა მიზნები აქვს დასახული აღნიშნულ განყოფილებას.

თათბირზე წაკითხულ იქნა ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის—კოგანის მიმართვა, რომლის საპასუხოდაც მწერალთა ფედერაციის გაერთიანებულმა თათბირმა მისასალმებელი დეპეშით უპასუხა მას აკადემიასთან ქართული განყოფილების გახსნის გამო.

თათბირის შემდეგ გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეარჩიოს იმ ანთოლოგიისათვის, რომლის გამოცემაც გადაწყვეტილი აქვს ხელ. მეცნიერებათა ქართულ განყოფილებას. ანთოლოგიისათვის კომისიამ უნდა შეარჩიოს ქართველი მწერლების სანიმუშო ნაწარმოებანი. ამავე კომისიას დავალებული აქვს შეიმუშაოს იმ მწერლების სია, რომელთა ნაწარმოებნიც საჭირო იქნება პირველ რიგში იქნეს გამოცემული.

აღნიშნული კომისია მუდმივად იმუშავებს საბჭოთა მწერლების ფედერაციასთან. კომისიაში შედიან: გრ. რობაქიძე, ს. ეული, გ. ბუაჩიძე, ბ. ჟღენტი და მ. ჯავახიშვილი. კომისია სისტემატიურ მიმოწერას გამართავს აკადემიასთან და იქნება მასთან მჭიდრო კონტაქტში.

მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ხელოვნების აკადემიასთან ქართული ხელოვნების განყოფილების შექმნას და შესაძლებლობის ფარგლებში მიაწოდოს მას შესაფერი მასალები.

კინო

„ს ა ლ ა მ ა ნ დ რ ა"

„მეჟრაბპომ - ფილმის" ნაწარმოები. სცენარი ა. ლუნაჩარსკის და გრებნერის. რეჟ. გ. როშალ.

დასავლეთ ევროპასთან კულტურული თანამშრომლობის საკითხის ირგვლივ გაცხოველებულ კამათი სწარმოებს დღეს საბჭოთა პრესაში.

სათანადო პრაქტიკული ნაბიჯი გადადგმულია. საბჭოთა კინო - წარმოებამ ამ მიზნისათვის დაამზადა მრავალი სცენარი, და ერთი მათგანი „სალამანდრა" გერმანიის კინო-წარმოებასთან ერთად უკვე დაიდგა.

უნდა ითქვას აშკარად, რომ ეს პირველი ცდა, სამწუხაროდ, ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

მიუხედავათ იმისა, რომ „სალამანდრაში" მონაწილეობს უდიდესი კულტურის აქტიორი გეტცკე და საბჭოთა მაყურებლისათვის საყვარელი ფოგელი, სურათი მაინც ვერ იზიდავს მაყურებელს.

ფილმის მელოდრამატიული შტამპით განვითარება არ ეგუება იმ გადამწყვეტ ბრძოლის ხასიათს, რომელიც დღეს სწარმოებს მატერიალისტურ მსოფლმხედველობასა და საშუალო საუკუნოებრივ წყობილებას და აზროვნებას შორის.

თუმცა ფილმის თემატიური მხარე აქტუალურია და სწორად დასმული (ადამიანის ფსიქიკა და ფიზიკური თვისებანი იცვლებიან იმ პირობების მიხედვით, რომლებშიაც მოექცევიან). მაგრამ სცენარული გაფორმების სისუსტე თვით თემასაც ასუსტებს.

შედარებით კარგადაა გამომჟღავნებული კათოლიკური მოძღვრება და საქმიანობა. ამ კადრებში კათოლიციზმით გაბრუებული გერმანელი იგრძნობს იმას, რაც საბჭოთა მაყურებლისათვის დიდი ხანია ნათელია.

„სალამანდრა"-ს სისუსტე არ იქნებოდა ისე საგრძნობი, რომ გერმანიის კინო-ტექნიკა ამ ფილმში სათანადოდ იყოს გამოყენებული. აქ უფერულობას ვხედავთ და არა იმ უმაღლეს ტექნიკურ კულტურას, რომელსაც მიაღწია გერმანიამ და რომელიც საბჭოთა კინოსათვისაა ყველაზე უფრო საჭირო.

ბ. ბ.

სასამართლო

არ „ჩაუფარცხეს" ზალიკანიანს 40.000 მანეთი

„პატივცემულო მელიტონ!

მე რუსეთში გავიგე, რომ რაღაც უბედურება მომხდარა ჩემს თავზე—აღმოჩენილა დოკუმენტი. თუ ძმა ხარ, მაგ ერთად-ერთ შვილს გაფიცებ—ნუ გამთქვამ. მომწერე დაწვრილებით ყველაფერი: ხალხმა თუ გაიგო? გადაეცა თუ არა საქმე „ჩეკა"-ს? წარმოიდგინეთ, ძმაო მელიტონ, ძალიან გაჭირვებული ვიყავი და ვარ, მაგრამ კაცი არ ვიყო, თუ ჩემი შვილები მიყვარს, ხვალვე ისეთ პატივისცემას გაგიწევ, რომ თქვენ თვითონვე გაკვირდებით. ოღონდ ნუ გამცემთ. გეხვეწები არ მომატყუოთ, სიმართლე მომწერე: შეგიძლია თუ არა ჩაფარცხო საქმე? მე სამსახურში ველარ მოვალ და ვერც შემოგხვდებით.

... თქვენს წერილს საიდუმლოთ შევინახავ და თქვენის რჩევით, იმედია, გადავრჩები „ჩეკა"-ში ჯდომას. მომწერე სიმართლე. გამოატანე ამის მომტანს. მაშინ დავრწმუნდები, რომ ქართველი ხალხი კიდევ ცოცხლობა (!). მოსვლით ვერ მოვალ და ვერ გინახულებ პირადათ. მრცხვენია (!), ვერ გაუძლებ თქვენს შემოხედვას. თუ ძმა ხარ, ორი სიტყვით გამაგებინე: შეგიძლია ჩაფარცხო თუ მომელის პასუხისგება?

კოტე".

გულქვა აღმოჩნდა ამიერ-კავკ. რკინის გზების სალიანდაგო განყოფილების მე-6-ე უბნის კანტორის გამგე მელიტონ ჩხეიძე. მან არ „შეიცოდა" ქართველი ხალხი, გასტეხა ფიცი, უკუაგდო შეთავაზებული პატივისცემა და საქმის „ჩაფარცხვაზე" უარი სთქვა.

რა იყო „ჩასაფარცხავი"? ვინ არის ეს კოტე, რომელსაც, მიუხედავათ იმისა, რომ „გაჭირვებული იყო და არის", ისეთი პატივისცემის გადახდა შეეძლია, რომ განცვიფრებაში მოიყვანს კაცს?

ზემოდ მოყვანილი წერილის ავტორი გახლავთ კოტე იგივე **კონსტანტინე დავითის ძე ზალიკანიანი**, ძველი „ჩინოვნიკი", რომელსაც ჯერ კიდევ 1914 წელს შეურგავს ცხვირი ა.-კ. რკინის გზათა უწყებაში, საიდანაც ბევრი გემრიელი ლუკმა ახსოვს თავის თავს უწოდებს „პატარა ამერიკის". ისე მოაწერს ხელს თქვენს მაგიერ, რომ ეჭვს ვერ შეიტანთ. ვერ იტყვით, რომ თქვენი ხელის მოწერა არ არის.

ზალიკანიანი მსახურობდა ა.-კ. რკინის გზების სალიანდაგო განყოფილების მე-6-ე უბნის კანტორაში უფროს მოანგარიშეთ. დიდი ნდობით სარგებლობდა ზალიკანიანი, როგორც ძველი და სტაჟიანი მომუშავე. ის იქიდანაც სჩანს, რომ იგი ხშირად გამგის თანამდებობასაც ასრულებდა. მაგალითად, 25—26 წლის განმავლობაში ზალიკანიანის ხელში იყო მთელი კანტორა. სანამ გამგედ არ დაინიშნა ამხ. **მელიტონ ჩხეიძე**, რომელსაც ასეთ გულის ამაჩუყებელ წერილს სწერს კოტე ანაპიდან. ჩხეიძემ კანტორა ჩაიბარა 1926 წლის ივნისში. ზალიკანიანი დარჩა უფროს მოანგარიშეთ. კანტორა იყო აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობაში. საქმის წარმოებაში იყო სრული ქაოსი. ეს იმიტომ, რომ „ამერიკის" ინტერესი მოითხოვდა არევ-დარევას.

იშვიათი ზნე სჭირდა ზალიკანიანს. ძალით თუ გაძევნიდით, თორემ არასოდეს არ მიდიოდა შვებულებაში. ამანაც განამტკიცა აზრი, რომ ზალიკანიანი მუყაითი მუშაკია. არავინ იცოდა, რომ კოტეს თავის კომბინაციების გამჟღავნების ეშინოდა და ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს, რომ „მავნე თვალს" არ შეეხედა დაწესებულებაში, თუ გაწყრებოდა ღმერთი და სადმე შეუსაბამობას აღმოუჩენდნენ, კოტე იქვე იყო და იმ წამსვე გამოაცხობდა „გასამართლებელ საბუთს". ამიტომ გაურბოდა იგი შვებულებაში წასვლას.

მაგრამ 1927 წლის ზაფხულში კონსტანტინე იძულებული გახდა წასულიყო შვებულებაში. ადგილობრივი აგარაკები მას არ აკმაყოფილებდა და ანაპისაკენ გაემგზავრა მთელი თავისი ჯალაბობით.

როგორც კი ზალიკანიანი დაწესებულებიდან წავიდა, მაშინვე ფარდა აეხადა მთელ იმ ბოროტმოქმედებას, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ჩადიოდა „პატარა ამერიკა". აღმოჩნდა აურაცხელი ყალბი უწყებები, რომლებითაც ზალიკიანს გამოჰქონდა ფული სალაროდან და ითვისებდა. ზალიკანიანი თვითონ აწერდა ხელს გამგის, კანტრალიორის, კანტორის მოხელის და სხვა ადმინისტრატიულ პირების მაგიერ. ხელის მოწერას აკეთებდა ისე ოსტატურად, რომ ეხლაც გაოცებულნი არიან რკინის გზის სამმართველოს თანამდებობის პირები. სავსებით წაგავს მათ ხელის მოწერას. ციფრების გადასწორებაშიაც ბადალი არ ჰყავდა ზალიკანიანს. სადაც იყო „ათი", გადააკეთებდა ასათ, სადაც იყო „ასი"—გაჩნდებოდა „ათასი" და ასე.

ასეთი ყალბი უწყებებით ზალიკანიანს გამოტანილი აქვს რკინის გზათა სამმართველოს სალაროდან ორმოცი ათას მანეთამდე.

აი ამ ორმოცი ათასი მანეთის „ჩაფარცხვას" სთხოვდა ზალიკანიანი თავის წერილში გამგე ჩხეიძეს. ეს წერილი ჩხეიძემ გადასცა პოლიტსამმართველოს თანამშრომელს. ზალიკანიანი დაპატიმრებულ იქნა. მან სცადა ამ საქმეში სხვა თანამშრომლების ჩაბმაც, მაგრამ გამოძიებით სავსებით დადასტურდა, რომ მთელი ეს თანხა მარტო ზალიკანიანს აქვს გატანილი და მითვისებული.

ზალიკანიანი ახლო მომავალში გასამართლებულ იქნება თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს მიერ.

მერ.

შემთხვევები

თვითმკვლელობა

გუშინწინ, თოფით თავი მოიკლა საპონ-ზეთის ტრესტის № 2 ქარხნის (კომუნალური ქ., 121), დარაჯმა ალექსანდრე ხომასურიძემ. გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

— 27 თებერვალს, რევოლვერის ტყვიით თავი მოიკლა ევდოკია ფილიპის ასულმა პანამარიოვამ (მცხ. საბჭოთა ქ., № 143).

თავდასხმა

23 თებერვალს, ვიღაც ბოროტმოქმედი ვასირის ქუჩაზე, მოკვლის მიზნით თავს დაესხა მოქ. მიკირტიჩ მიკირტიჩიანცს, რომელსაც დანით ტანზე მიაყენა რამდენიმე ჭრილობა და მიიმალა. გუშინწინ მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა რაფაელ ოგანეზოვი (მცხ. ვასირის ქ., 5).

ჯიბგირთა ბანდის ლიკვიდაცია

უკანასკნელ ხანებში ცენტრალურ და ახალ ბაზარზე გახშირდა ჯიბიდან ფულის ამოცლის შემთხვევები. გამოირკვა, რომ ამ ბაზრებს შემოესია ქურდების და ჯიბგირების ერთი ჯგუფი, რომლის წევრები „სევასტოპოლიდან" ჩამოვიდნენ თბილისში. ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციამ ჯიბგირთა ბანდის წევრები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: ალექსანდრე ილიასძე ერშოვი, ლევანტი ვასილისძე დარგუშინი, პლატონი პლატონისძე პლატონოვი (იგივე მოროზოვი), ნიკოლოზ ალექსანდრესძე ანანინი, ივანე ანდრიასძე ლიპშინსკი, მიხეილ ნიკოლოზისძე ბალაშოვი (იგივე ზელინსკი).

კოოპერატივის გაქურდვა

24 თებერვალს, ღამით, გაქურდეს „ზაკტპო"-ს მაღაზია (პლეხანოვის პროსპ., 101). წაიღეს 1000 მანეთის ტანსაცმელი. ქურდი ალექსანდრე ანდრიასძე სკიდინი დაპატიმრებულია.

ქურდობა

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციიდან მოიპარეს ხელით საბეჭდი მანქანა,—

— სასტუმრო „პალას"-ის გაქურდვის ცდისათვის დააპატიმრეს მიხეილ ივანესძე ტოდორცევი (უბინაო).—მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ქალაქის სასკოლო საკუჭნაო.—საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობის კანტორიდან (სეჭინოვის ქ.) მოიპარეს სახაზინო ფული 220 მანეთი.

ჯიბგირობა

შალვა შარმიაშვილს კინო „დარბაზში" ჯიბიდან ამოაცალეს 174 მანეთი.—ამავე კინოში მოქ. ვასილ ჟუჩკის ვიღაც უცნობმა პირმა ჯიბიდან ამოაცალა 60 მანეთი ფულად და 60 მანეთის ობლიგაციები.

ვისია იარაღი?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ნაგანისა და ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 4, ხილაძესთან.

ჭადრაკი

თბილისის ჩემპიონატი

მესამე ტური

გოგლიძე—ახოვსკის პარტია, ახოვსკის ავადმყოფობის გამო, არ ყოფილა გათამაშებული. **მაისტრო ნენაროკოვმა** ლაზიერის პაიკის დებიუტში **დანილოვის** წინააღმდეგ, თავშივე მიიღო პოზიციონური უპირატესობა, შუა თამაშში დაუსუსტა დანილოვს პაიკები, დაცვალა ზედიზედ რამოდენიმე ფიგურა, გადაიყვანა თამაში ენდშპილში, მოიგო ორი პაიკი, რის შემდეგ დანილოვი მალე დანებდა.

შიშოვს თეთრებით—კაროკანის დაცვაში **მირზაევის** წინააღმდეგ დაეტყო თეორიის უცოდინარობა, რასაც შედეგად მოჰყვა ლაზიერის ფრთის დასუსტება; საკმაო მანევრების შემდეგ შუა თამაშში მირზაევმა შესწირა ორი ფიგურა, ხარისხში და ორ პაიკში, რასაც შედეგად მოჰყვა კიდევ მესამე პაიკის მოგება. შემდეგში, შიშოვის სუსტი თამაშის გამო, მირზაევს საშუალება მიეცა ხარისხის და ერთი პაიკის უკან შეწირვისათვის ორ მხედარში, მან მიიღო ორი ზედმეტი გამსვლელი პაიკები და მალე შიშოვი აიძულა პაიკის ლაზიერად გასვლის დამუქრებით დანებებულიყო. ლამაზად მოუგო **საროკინმა ვეიზერს**. ახალ ინდიურ დაცვაში საროკინმა უკეთესი ფიგურათა განწყობა მიიღო, ფიგურათა აქტივობა საროკინმა კარგად გამოიყენა, თანდათანობით, ლამაზი მანევრებით მან აიძულა ვეიზერი დაესუსტებინა თავისი პაიკები, რის შემდეგ საროკინს შესაძლებლობა მიეცა პარტია ლამაზი კომბინაციით (მხედრის შეწირვით) ვეიზერის სრული განადგურებით დაემთავრებინა. **მალუნცევმა—სმიროდსკის** წინააღმდეგ დებიუტით მიიღო თანასწორი მდგომარეობა და წინადადება მისცა სმიროდსკის დათანხმებულიყო ყაიმზე; სმიროდსკიმ უარი განაცხადა. შუა თამაშში სმიროდსკიმ დაუშვა შეცდომა და წააგო პაიკი. ეხლა უკვე პარტია უნდა წაეგო. მაგრამ მალუნცევმა მთელი რიგი სუსტი სვლებით პარტია მიიყვანა საყაიმო მდგომარეობამდის. სმიროდსკის წინადადებაზე, რომ იგი დათანხმებულიყო ყაიმზე უარი განაცხადა. დაუშვა კიდევ ერთი საბოლოო შეცდომა, რითაც საშუალება მისცა მაისტროს ეტლით შეჭრილიყო მის ბანაკში, რის შემდეგ მალუნცევმა წააგო პაიკები და პარტია მალე დასთმო. **ლევიტასის და წერეთლის** პარტია უამრავი შეცდომების შემდეგ დამთავრდა ლევიტასის მოგებით. **ტალვიკის და კასპარიანის** პარტია გადადებულია კასპარიანისათვის უპირატეს მდგომარეობაში (ხარისხი—მხედარში და ერთ პაიკში).

ვ. გოგლიძე.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 1 მარტი

დღეს თბილისის რადიო-გადამცემი სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საღ. 5 საათიდან—[illegible] საათი „პიონერები და [illegible] მოსწავლეობისათვის", სომხურ ენაზე. 5 საათსა და 25 წუთზე—საუბარი „[illegible] რაციონალურად დამუშავება" (წაიკითხავს ქურდიანი) ქართ. ენაზე. 5 საათსა და 50 წუთზე—რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე. 6 საათსა და 35 წუთზე—გაზეთი „ენი კენდ" რადიოთი თურქულ ენაზე. 7 საათიდან—ამხ. ტაგიევის მოხსენება „შემნახველი სალაროების ორგანიზაცია" თურქ. ენაზე. 7 საათსა და 25 წუთიდან—საუბარი ციკლიდან—„როგორ უნდა მოეწყოს კვება" (შესავალი საუბარი რუსულ ენაზე. მომხსენებელი სახ. უნივერსიტეტის დოცენტი ჩენცოვი). 7 საათსა და 45 წუთიდან—რადიოს მეგობართა საათი (ტექნიკური კონსულტაცია).

პარტიული კალენდარი

ლენინის რაიონის მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 28 თებერვალს, საღ. 6 საათზე შესდგება დელეგატების მეცადინეობა. 1-ლ ჯგუფს—პლეხანოვის სახელობის კლუბში. მე-2 ჯგუფის რკ. გზ. სამმართველოში, მე-3 ჯგუფს ძერჟინსკის სახელობის კლუბში, მე-4 ჯგუფის რკ. გზ. სამმართველოში.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს, 28 თებერვალს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია ორგკომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: **აბესერიძე, გაბიძაშვილი, ყუჩიაშვილი, გუსტაირი, კალანდაძე დავითი, კალანდაძე** [illegible], **სახელაძე გრიშა, გველესიანი** [illegible], **გამსახურდია კარლო, ბაჯაძე იოსებ,** [illegible] **ეფრემ, კომახიძე დიმიტრი.**

ჩამოთვლილი ამხანაგების გარდა უნდა დაესწრონ ფაკულტეტების პარტიისა და კომკავშირის უჯრედის მდივნები და კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგები; დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ალმასბიურო აცხადებს უნივერსიტეტის სტიპენდიანტთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 1 მარტიდან 7 მარტამდე იწარმოებს **ხელ-ახალი რეგისტრაცია** უნივერსიტეტის ალმასბიუროში ამხ. შ. ბუბაშვილთან დილის 10—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე. ვინც არ გატარდება რეგისტრაციაში, მათ მარტის სტიპენდია არ მიეცემა. სტიპენდიანტებმა თან უნდა იქონიონ თითო ფოტოგრაფიული სურათი.

საქ. კ. პ. (ბ) ბოსლევის უჯრედი და საქ. ა. ლ. კ. კ. ბოსლევის თემის უჯრედები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წლის 23 თებერვალს, ქ. ჭიათურის საავადმყოფოში გარდაიცვალა კომკავშირის სათემო კომიტეტის წევრი ენერგიული და დაულალავი ახალგაზრდა მუშაკი

ამხ. დავით დომენტის-ძე აბრამიშვილი

დაკრძალვა ბოსლევის თემში სოფ. მარჯვენა რკვიაში. 628

მშობლები: ეკატერინე და ივანე კაპანაძეები, დები: ზინულა, ელენე და პეპელა, ძმა დათიკო, სიძეები: მიხეილ წინამძღვრიშვილი და ერმოლოზ აბულაძე ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელის

მარიამ ივანეს ასულის კაპანაძის

უდროოთ დაკარგვას. დაკრძალვა თებერვლის 28-ს, სოფ. ქვემო ნიქოზში (გორის მაზ.) 629

დამწუხრებული შვილები: ლავრენტი, იაკობი, ვანო და ივლიტა, რძლები: ნატა, მარიამი, ბენიგნა და ანასტასია, სიძეები და შვილიშვილები აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს

იოთამ ნიკიფორეს-ძე გველესიანის

გარდაცვალებას. დასაფლავება პარასკევს, 1 მარტს, სოფ. საწაბლის სასაფლაოზე. (ს)

განთიადი	არაჩვეულებრივი სურათი	**ყინულთა სამეფოში** (ლაშქრობა ყინულებში)
აპოლო მინიონი	მხატვრული სურათი	**სალამანდრა** სცენარი ა. ლუნაჩარსკის და გ. გრებნერის რეჟისორი როშალი. ოპერატორი ფორესტიე
სოლეი არფასტო	მხატვრული სურათი	**ასია** რეჟისორი ივანოვსკი
კაპასი	ნინა ლი მხატვრულ სურათში	**ქარიშხლის კანონები**
დარბაზი		**ტარზანი—ჯუნგლების მბრძანებელი** 3 და 4 სერია
პროლეტარი ავლაბარი	მხატვრული სურათი	**კომუნარის ჩიბუხი** რეჟისორი კ. მარჯანიშვილი

ცირკი
კოლოსი
ტელეფ. № 8—64

დღეს
განახლებული სანახაობა
პროგრამა 3 განყოფილებად
ტურნიკზე მოვარჯიშეთა დასის **ალისონის** გასტრ.
ზანგების ჩეჩოტკების შემსრულებელის **ბოჩკოვსკის** გამოსვლა. მონაწილეობს აგრეთვე მთელი დასი.
ილიუზიონისტ **ფრანკფორდის** და სხვ. გამოსვლა
გარდა ამისა დარიგდება დიდძალი საჩუქრები თავდაცვა-ავიაქიმის ლატარიით. გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ ყველა მაყურებელნი.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე
წაიკითხეთ აფიშები !!!
3—1 ნ. 2315

დღეს
ხუთშაბათიდან, 28 თებერვლიდან
კინო-თეატრებში
არფასტო და სოლეი
მხატვრული სურათი
# ასია
ი. ს. ტურგენევის როლში კ. ხოხლოვი
ვ. პ. ტურგენევის როლში დამსახურებ. არტისტი ნ. სკარსკაია
ნ. ა. ნეკრასოვის როლში ნ. კარენინი
ასიას როლში ოლგა როზოვსკაია
ნ. 2322

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობა აცნობებს ქ. ქუთაისისა და მისი რაიონის ხელისმომწერლებს, რომ
ა. დიდმანიძე 1929 წლის 10 თებერვლიდან
გამომცემლობის სამსახურში აღარ
ითვლება
და მას უფლება არა აქვს გამომცემლობის სახელით გაასწოროს რაიმე ანგარიში
3—3

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დილის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დილის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

შაბათს, ა. წ. 2 მარტს, საღამოს ზუსტ 6 საათზე, მუშკოოპის სამმართველოში (ქორესის ქ. № 7)
დანიშნულია
მუშკოოპის მე-XV-ტე რწმუნებულთა ყრილობა
დღის წესრიგი:
1) 1928—29 წ. მუშაობის გეგმა (ამხ. მელქარსკი).
2) დიფერენციალური პაი (ამხ. ფირიაშვილი)
3) პურის საკითხი (ამხ. საკიანი).
4) ინფორმაცია გერმანიის კოოპერაციის შესახებ (ამხ. ერისთავი)
5) მიმდინარე საკითხები.
ყველა რწმუნებულთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა
მუშკოოპის გამგეობა
2—1 ნ. 2319

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს, 2 და კვირას 3 მარტს დილის 11 საათზე სასახლის ქ. № 3
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ გაიყიდება ბუფეტები, ხალიჩები, სარკეები შიფონერკები, გარდეროობები, სკამები, კამოდები, ტყავეულობა და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 2320

ექ. **დ. ლ. თევზაძე**
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 3 მარტს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2318

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

განცხადებების შემკრები აგენტი მოქ.
მაქსიმე ონისიმეს ძე გაყონია
1928 წლის დეკემბრის 14-დან მოხსნილია სამუშაოდან და მასზე გაცემული მოწმობები
გაუქმებულია
3—3 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ყველა
ხელისმომწერლების და კონტრაგენტების
საყურადღებოდ
გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობა აცხადებს, რომ წლიური ხელის მოწერა გაზეთზე კარლ მარქსის „კაპიტალი"-ს დამატებით
შეწყვეტილია

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა"
იბეჭდება — ჟურნალ
„ბოლშევიკ ზაკავკაზია"
№ 9—10
შინაარსი:
მოწინავე—პარტიის მომავალი წმენდის საკითხისათვის; **ქ. ორაგველიძე**—გლეხური მეურნეობის განსაზოგადოების პრობლემა; **რ. მერს**—ს. დევდარიანის ფილოსოფოსობა საქართველოს ეკონომიკის საკითხებზე; **ქ. ოდილავაძე**—სამუშაო ხელფასის მდგომარეობა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში; **ი. ვისანოვი**—სპარსეთის სოციალურ-პოლიტიკური ძალები; **ა. კარინიანი**—სომხეთის ნაციონალისტურ მიმდინარეობათა დახასიათებისათვის; **ა. ბოლოტნიკოვი**—ნ. გ. ჩერნიშევსკის სოციალურფილოსოფიური შეხედულებანი; **გ. ტატულოვი**—სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობა ამიერ-კავკასიაში.
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:
მ. შუკიანი—ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მებამბეობის რაიონების გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტების შესახებ.
ორმაგი ნომრის ფასი 80 კაპ. ნ. 2311

გაზეთ „კომუნისტი"-ს წლიურ ხელისმომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ
ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში
მარტის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ.
თებერვლის დამლევამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლ მარტიდან შეწყვეტილი იქნება.
პროვინციის წლიური ხელისმომწერლებმა მარტის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ. მთლიანად, ფოსტის ხარჯების გამოუკლებლივ, აუცილებლივ უნდა გამოუგზავნონ მთავარ კანტორას თბილისში (რუსთაველის პრ. № 34) იმ ვარაუდით, რომ ამ უკანასკნელმა იგი მიიღოს მარტის 1-მდე. წინააღმდეგ შემთხვევაში—მარტის 1-ან მათაც შეუწყდებათ გაზეთ „კომუნისტი"-ს გზავნა.
0—8 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

მოითხოვეთ !!!
სურნელოვანი ფრანგული ყავა
„ფორს"
მუშკოოპის ყველა მაღაზიაში 100 გრამიანი კოლოფი 43 კ.
4—3 წარმოება საბჭოთა ქუჩა № 68. ნ. 2302

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა"
იბეჭდება — ჟურნალი
„ნა რუბეჟე ვოსტოკა" № 2
ნომრის შინაარსი:
ალაჯანი—გზაში (რომანის ნაწყვეტები); **ხ. რუსტამი**—დედა (ლექსი); **ა. სიტკოვსკი**—ტრინდი-ბრინდი (ლექსი); **აქსელ ბაკუნცი**—იონატან მარჩ (რომანი); **ფრიდონ ნაროუშვილი**—პოემა სხვადასხვა თემებზე.
ლიტერატურული მემკვიდრეობა: **ე. ნინოშვილი**—ტარიელ მკლავაძე.
ნარკვევები: **პ. მაგერი**—სამხრეთ-ოსეთის მთებში.
თეორია და კრიტიკა: **ნ. ენიკოლოპოვი**—გრიბოედოვი საქართველოში; ოვანეს თუმანიანი; **ბენ. ბუაჩიძე**—ლიტერატურული შენიშვნები; **ა. ქ—ნ** გიორგი იაკულოვი; **შალვა რადიანი**—მიხეილ ჯავახიშვილი; **მ. მაჩაბლიანი**—ეკლექტიზმის მოციქული.
ხელოვნება: კინო-ორგანიზაციებში; თეატრებში; ბიბლიოგრაფია ლიტერატურულ ორგანიზაციებში. მიწერ-მოწერა მწერლებთან.
ნომერში მოთავსებულია ილუსტრაციები: ახალი კადრები საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის სურათ „თეთრი მხედარი"-დან, ა. ს. გრიბოედოვის, ო. თუმანიანის და გ. იაკულოვის პორტრეტები.
ფურცელი გადიდებულია (108 გვერდი), ხოლო ფასი შემცირებულია 50 კაპეიკამდე ნ. 2321

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. შემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულებანი — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). ნ. 25

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელმშენი—11—78.
18—5. 25—1

უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში
საღამოობით 4—6 საათამდე სწარმოებს ავადმყოფების მიღება დაკლებულ ფასებში. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126
ნ. 19—25—11

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
სამედიცინო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკა. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახლდა ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. კალ. 5-6 კაც. 6 8

კალინინის ქუჩა № 33 (ყოფ. ნიკოლოზის)
ექ. **ი. დ. თოფურიძე**
კანის, ვენერიული და სიფილისი (მონორეიის გართულებები)
მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ. ქალები 10—11 დილით

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტ. ორთქლის ვანებში და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება: დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

დაკარგა: პასპორტი, № 1784 რაჟდენ ბართლომეს ძე ხუციშვილის სახელზე. ჩ. ბ 624

დაკარგა: თბილისის ქიმიურ ტექნიკუმის კურსის დამთავრების მოწმობა № 662 ერვანდ სტეფანეს ძე სარქისოვის სახელზე. ჩ. ბ 626

დაკარგა: სამსახურის მოწმობა № [illegible]211 ალექსანდრე ბუხნიკაშვილის სახელზე. ჩ. ბ 627

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.